



44

ԱՐԵՎՈՒՄ

Արքայի Ցույցը Խորհրդական

899.962.1-1

9. օկտոբերի 33  
Ը 1. VIII - 366.  
Քառության

Ա Տ Մ Ե Զ Յ

ԿԱՐԵՎՈՐԻ ԺՈՂՈՎՐԴՅԱՆ



ԳԵՎԵՐԻ ՀԱ ՑԽՈՅՑ

ՕՅՈՂՈՆԵՐ 1936

SK/1119

3/მგ. რედაქტორი—აკაკი ჭუთაშვილი,  
მხატვარი—იოსებ ქოქიაშვილი  
კორექტორი—დ. კორძაია.  
გამომშვები—შ. ბერიძე.



## წინასიტყვაობის მაგივრი

გაზეთ „კოლექტივიზაციის“ მიერ წამო-  
წყებული დიდი კულტურული მნიშვნელობის  
საქმემ თავისი მეურვე ჰპოვა. „კოლექტივი-  
ზაციამ“ დააგროვა დიდძალი მასალა ხალხუ-  
რი შემოქმედებისა. ხალხურ ლექსთა კრებუ-  
ლის პირველი ტომი კიდევაც გამოსცა. და  
ახლა, როცა გაზეთი უკვე აღარ არსებობს,  
დაგროვილ მასალებზე მზრუნველობა იკისრა  
„შრომა და ტექნიკამ“.

„საუნჯის“ მეორე ტომი ისევე მდიდარი  
და მრავალმხრივია ხალხური სიტყვიერების  
თვალმარგალიტებით, როგორც პირველი. ჯე-  
რი მესამე ტომზეა, რომელიც ახლო მომავალ-  
ში უნდა გამოვიდეს. და ეს სამტომეული ხალ-  
ხური შემოქმედებითი „საუნჯისა“ უდაოდ და-  
იჭურს ერთერთ საპატიო ადგილს ჩვენი დია-  
დი დროის მხატვრული ლიტერატურის საგან-  
ძურში.

შოთა რუსთაველი მეტობელი

## შოთას 1


ეგ შენი ბასრი კალამი  
არხოტსაც კიდევ მავიღა;  
კაცმა და მანდილოსნებმა  
სუყველამ ერთად გაიგა.  
გაგვიგონია; შოთაო,  
შოთა ქაჯეთში შავიდა,  
ავთანდილი და ფრიდონი;  
სულ ტარიელთან წავიდა:  
ნესტარ-დარეჯან დაუხსნავ,  
ყილიყელს გადაუჭდია.  
ლაშქარს არ ნანობს ფრიდონი,  
სუყველა იქ შაუსხმია.  
შოთაო, შენი ნაწერი

ქაჯეთის ციხეს უგია.  
ამ ლექსის მაღეჭებელსა  
მე, აბა, რა გამიგია,  
ჯარჯო ვარ არხოტიონი,  
კალამი ძლივს ამიღია.  
შაინც ნუ მოშლი წერასა,  
შეაქე ვინც, რომ გიქია.



## შაქება

შაქება დიდის მწერლისა,  
რუსთაველს შაუხლებისა.  
ის იყო ამყვავებელი,  
დიდება ჩვენი ქვეყნისა;  
მრავალი საუკუნის წინ  
დროიდან თამარ მეფისა.  
მკითხველთ გონების მამხსნელი,  
გამომხატველი ლექსისა.  
დიდი სიკეთის მომქმედი,  
დამტოვებელი ჭკენთვისა.



## რუსთაველის სურათის

როგორც შუქურა ვარსკვლავი  
ერთადერთია ცაზედა,  
მას შუქით ვატყობთ ყველანი,  
რომ ის მეტია სხვაზედა,  
და როგორც მთვარე მოსცურამს  
გავსილი თავის გზაზედა,  
შოთავ, შენ თითონ ეგრე ხარ  
მსოფლიო-ქვეყანაზედა.

შუქურა ციდან გვინათებს,  
შენ მიწაზე ხარ მნათობი,  
მზისა და მთვარის სხივებით,  
ადამის წესით ნაშობი.

ქვეყნად ფასღაუდებელი,  
შენი ქმნილების ნაყოფი,  
ჰკვა და გონების სალარო,  
გრძნობა-გონების სამყოფი.


შოთავ, შენ თითონ ეგრე ხარ,

ბრძენთაგან თავსა მჯდომარე,  
შეუდარები, უებრო,  
ანგარიშ მიუწლომარე,  
შორს მჟვრეტი, ჩაფიქრებული,  
ზღვა და ხმელეთზე მხტომარე,  
კაცობრიობის მხატვარი,  
გონება მიუწლომარე.  
შენი უკვდავი ნაყოფი,  
ყამირი მოგვაწნევინე,  
დაუზარელად გვაშრომე,  
ზედ ხარჯი გაგვაწევინე,  
რაც დაგვითესე ნახნავში,  
უტყუვრად მოგვამკევინე,  
მაგ შენი ტვინის ნაყოფით,  
ზედ ძეგლი დაგვადგმევინე.



## ნაზავეთი

ტარიელს აქორწილებენ  
მოყმესა შაშვენებულსა:  
ცხენს უკაზმებენ მსახურნი,  
ლურჯასა გახელებულსა,  
ზედ შასმენ პირშიშველასა,  
მოყმესა შაფერებულსა.



სოდენი მარტივი  
სამოღვავო

## განახლებულ სოფელზე<sup>5</sup>

გვახარებს ახალი სოფლის—  
წინსვლა და გამარჯვებაო,  
სიკვდილის პირას მიმდგარი,  
ქველი სულს ღაფავს, კვდებაო.  
თავს ადგას ჭირისუფალნი,  
ნალექი ბნელეთისაო,  
ჩაუცვამთ ძაძა, ფლასები  
გლოვის და შავის დღისაო.  
ჩასჩიფჩიფებენ მომაკვდავს:  
„ღონე, მოიეც, გალალდი!“  
ხმა გრგვინავს მილიონების:  
„აღარ გვინდებხარ, ჩაძალლდი.“  
ახალ სამყაროს ვაშენებთ,

მშრომელთა სახეტაროსა,  
უსამართლობის, ჩაგვრისას,  
ძველს მიწა დაეყაროსა.  
მის მეურვეს და შემჭირველს,  
სიცოცხლეც გაემწაროსა,  
ჩვენს ავისმდომელს და ორგულს,  
ნურას დროს გაეხაროსა.  
მუქთახორებმა ვერ იყმონ  
ამიერიდან სოფელი,  
აღიგვეს პირის ქვეყნითგან,  
უშრომნი, უქმაღმყოფელი.



## კიროვის ხსოვნას<sup>6</sup>

საბჭოთა ხელისუფლებას  
დაგვატყდა ღიღი ზიანი,  
მოგვიკლეს სერგო კიროვი,  
შინამძლოლი და ჰქვიანი.  
გრძოლაში გამოწრობილი,  
თავდადებული, ფხიანი,  
მშრომელი ხალხის დამცველი,  
მოსაზრე ათასფრიანი.  
ცდილობენ ხელის ჩაშლასა  
სოციალიზმის მტრებიო,  
დასისინებენ სამტროდა  
გველებთან შესაღრებიო.  
ვერ დაგვაკლებენ ვერაფერს,

ათასი წლისა მკვდრებიო,  
ისრეც ესენი არიან,  
საფლავში მიმავლებიო;  
ყველამ იცოდეს, სიმართლეს  
არ ეკარგება ფასიო,  
სიმართლის მტერი ვინც არი  
გემეელევა გნასიო.  
თუ სიკვდილია, იცოდნენ  
ძალას მოვარტყათ ძალაო,  
მას ისტორია გაეგებს,  
ვინ ივლის ყირამალაო.  
მუშათა მტერი რუსეთში  
მოსპო და გააწყალაო,  
ევროპიასაც მოელის  
დღეს იქნება თუ ხვალო.  
წყალწალებული ბურუუ  
დასჭირებია ხავსსაო,  
დღეს ჩქიფა დანას მიჰმართა,  
ვერ აჭრევინებს ხმალსაო.  
მოგვიკლეს სერგო კიროვი  
სთესენ შურსა და ავსაო,  
ჩვენ წითელ დროშებს ავმართავთ  
იმათ ჩავაცმევთ შავსაო.

აქა გვეყავს ბრძენი სტალინი,  
მტრებს ის დაუგებს ხუნდსაო.  
ამ სტრიქონების დამწერსა,  
ისაკოს სტაციონბს გულსაო.



## ლ გ ნ ი ნ ს 7

ძვირფასო ძიავ, ღენინო, შენ მოგიგო-  
ნოთ მკვდარიო,  
ჩვენში შენ მოსპე მონობა, ახლა დაგვი-  
დგა ღარიო.

როგორც ჩამოჰკარ პირველში თავისუფ-  
ლების ზარიო,  
მოსპევი ბურჯუაძია, მშრომელთ მიანდე  
ზავიო.

ღროშა რომ ააფრიალე, შეიძრა მთა და  
ბარიო,  
ეძებდი თავისუფლებას, აღარ დაწოგე  
ჯანიო.

კარგია ჩვენი სტალინი, მისი სული და  
გულიო,

უნდა იყვავდეს ქვეყანა, ასე აქვს გან-  
ზრახულიო.

შემოაშუქებს სოფლებში ცხოვრის-  
მოცუქულიო,

ხარობს მუშა და გლეხები, მტრებს კა  
უკვდებათ გულიო,  
უნდა აყვავდეს ქვეყანა, ღარიბი, დაჩა-  
გრულიო.

მართლა აყვავდა ქვეყანა, ყველამ გააღო  
თვალები,

ჩვენც დავეხმაროთ მთავრობას, რომ არ  
დავადოთ ვალები.

რაც უნდა გოლვა დაგვიდგეს, არ მოგ-  
ვიცდება ყანები,  
იყაშენოთ და შოგვირწყამს ჩვენი ჰე-  
როპლანები.

მთელს მსოფლიოში ჩამოჰკრა თავისუფ-  
ლების ზარმაო,

ტალღა შემოჰკრა ბურჯუას აღელვებუ-  
ლმა ჭეავმაო.

SK III/9



## ეს რა ვნახე

შზობის წირვა დაირექა,  
მოგვეფინა საკმეველი;  
მთელი ხალხი იქ მობრძანდა  
მოხუცი და დედაბერი.  
აგერ წირვაც გამოვიდა,  
შინ წაბრძანდა მამა-მღვდელი.  
ფოფოდიას მიულოცა,  
კოხტად ჩამოართვა ხელი;  
ჯერ დაუკოცნა ლოყები,

შერე თეთრი, ბროლის ყელი.  
შეზობლის პაწაწა გოგონა  
ასე უცქერს, როგორც შველი!  
—დედი, დედი, ეს რა ვნახე,  
ეს რა მყრალი, საძაგელი;  
კაცი ქალადა ქცეულა,  
ჩაუცვია კაბა გრძელი;  
თუ მართლა დიაცი არი,  
პირზე რალათა აქვს წვერი?  
—არა, შვილო, მოძღვარია,  
„მაღლიანი“ მამა-მღვდელი;  
ახლა აქ კი არ მსახურობს,  
აბარია ახალშენი.  
მაშინ იმან გაასვენა  
ცხონებული მამაშენი.  
ერთი კოდი პური მივე,  
ხუთი ლიტრა კარგი ქერი.  
ტაბლა კარგი გაუგზავნე,  
სულ ზედ ეწყო ყველაფერი,  
კოტრანა და ფლავ-კორკოტი,  
ნაზუქი და ქადა მთელი.  
სულ ყველა ხომ ზედ მივართვი,  
ზედაშე და სეფისკვერი.

ლაფიღალე მეჩონგურე;  
ჩარექასა ვსტაცე ხელი.  
ახალკაცოს მეძახიან,  
ვარ ლექსების გამომთქმელი.  
აქ ნურავის გეწყინებათ,  
მღვდელს წამოვსცხე შოლტის წვერი.



## ხევსურითის გზა<sup>9</sup>

კუირა დილა გათენდა,  
როგორ სიწმინდის დარია,  
ვადმოვიტანე ჩონგური,  
ახალ ჩაუდევ ლარია.  
ლექსებს დაგითვლის ბერკაცი,  
მას ძლივლა უჭრის თვალია,  
ვანო გეჯაძემ \*) იცოცხლა,  
მაგან გაგვიღა კარია.  
დარჩების სახსოვარადა  
მაგის სახელი, გვარია.  
საბჭოის ხელისუფლებამ  
საჭმე ქნა გასახარია,

\* ინუენერი.


გზა გახსნეს ხევსურეთშია,  
მთას შაუერთა ბარია.  
მახტინა სინათლის სხივი,  
რაც მთიელთ არემარია,  
მავიღა ხევსურეთშია,  
ავტომობილის ჯარია.  
მალეჭეს საჩუქარ უნდა  
მაღლია მისცათ ჩემფერსო,  
საჯამავიროს ნადგომსა,  
ხაზეინები მცემდესო.



## ს ა ჩ ა ნ გ უ ს ა მ 10

ოქტომბერმა გავვითენა  
სიხარულის დილა.  
კულაკებს და მუქთახორებს  
უწყაპუნა სილა,  
წუცებსა და თავაღებსა  
გამოუხსნა ფთილა.  
და იმათი სალოცავი  
კუპრში ჩავარდნილა.  
ჩარჩ-ვაჭრების მაღაზია  
მაგრა მიკეტილა.  
კულაკები დაარჩივა,  
ერთად მიაწყვილა.  
სოფლები და ქალაჭები

სულ მთლად გამოცვლილა,  
ელექტრონის ჩირალდნები  
ყველგან მოფენილა.  
თაბრიკები, ზაოღები  
ბლომად მოწყობილა.  
ამის აშენების ბედი  
რუსეთს ენაწილა,  
ჩვენსა სტალინს ჩააბარა  
და თან გააფრთხილა:  
გლეხები და ჭარხნის მუშა  
შენებრ გყავდეს ტკბილად,  
მათი მტრები და ორგული  
მორჩეს, გაწყვეტილა.



## ტრაქტორო, ჩვენო უველაო ۱۱

ტრაქტორო, შენი ჭირიმე  
რომ ძლიერი ხარ ღონითა,  
არც თივა-ქერი გჭირდება,  
და არც ბალახი ძოვნითა.  
ტრაქტორო, რკინის ლაბა ხარ  
დაუღალავი შრომითა;  
არ დამდგომიხარ სახნავში,  
არც ზარმაც გამოყოლითა,  
მიღიხარ, როგორც დევგმირი.  
წინ დაგიხვდები ვერაო!

შენი ჭირიმე, შენია,  
ფეხზე დამიღვი კერაო.  
ნიკოლოზის ღროს შენს თავსა  
ვინ გვალირსებდა ჩვენაო!  
მათ მხოლოდ ცემა შეეძლოთ,  
არსაით გვქონდა შველაო.  
უხლა კი სოფლად შეიჭერ  
კოლექტივებში შენაო,  
და ღარიბ-ტანჯულ გლეხებსა  
მოგვეცა ტანჯვის შველაო.  
კულაკიც შენს შნოს ვერ უძლებს,  
ტრაქტორო, ჩვენო ყველაო.  
მას ვეღარ შველის ხრიკები,  
რაძვრება, როგორც მელაო.



## კოლეურნი გოგოს ۱۲

ახალ სოფლის შვილი ვარ  
კოლმეურნე მეო,  
ერთი გოგო შემიყვარდა  
მისი ჭირიმეო.  
ისიც კოლმეურნე იყო  
ბეჯითი და მხნეო,  
დამკვრელია, წინამძღვალი,  
მთელი სოფლის მზეო.  
დამკვრელურად მიუდექი,  
სიტყვა გაღუგდეო:  
—გოგო, ნეტა რა იქნება  
ცოლად გამომყეო.  
მიპასუხა:—მოვრიგდებით,

ჩვენ მაგ საქმეზეო,  
თვით ბუნებამ გაარჩიოს  
ჩვენი ყოფნის დღეო.  
სოციუჯიბრში თუ ბიჭი ხარ  
აღე, გამომყეო,  
ტემპებშიაც არ ჩამომრჩე,  
მუდამ თან მომყენ.  
გამბაშია მან მაჯობა,  
ტრაქტორზედა მეო,  
ცოლობას მაინც დაშპირდა,  
მისი ჭირიმეო.




## შაშუჩქით, პროლეტარიატი<sup>13</sup>

ლექსსა გამოვთქვამ; დავძაბუბ,  
აზრები დავამშვენო,  
მარცხენავ, ძალი მომართე.  
დაჰკა მარჯვენა ხელო!  
ხელმძღვანელი გვყავს სტალინი,  
პარტიის ხაზის მცველო,  
მუდამ დღე გაზეთს გვიგზავნის.  
გლეხო, შეიგნე ჯერო!  
შაქუჩქით პროლეტარებო,  
მუშავ, მრავალო სულო!

ჭუგუნით ვაიპრენით,  
ვარ მტერი დააბნელო.  
წინ ვაიმძლვარეთ ტრაქტორი,  
შოთერი შეუყენო;  
თან ტკბილი ნანა უთხარით,  
ტკბილო ბანებო გრძელო.  
ხელშიაც დროშა ასწიეთ,  
დროშა, წითელო ფერო,  
ნახატო ჩაქუჩ-ნამგალო,  
მუშურ-გლეხურო კვერო.  
ნახნავო გრძელო მიწებო,  
გრძელო და ვაკი ბრტყელო.  
გამართეთ გრძელი ბეღლები,  
მუშების სამრეწველო.  
გრძელი მარნები დამართეთ,  
გვერდიდან საწნახელო,  
შიგ რქაწითელი მიუშვით,  
გენაცვათ, ყურძნის წვენო.  
თათბირს გვიგზავნის სარდალი,  
ვარაშილოვი, ძველო,  
გაიშალენით მუშებო,  
მტერი მეღვარის მკვრელო.

მე წითელ ჯარებს გადავშლი,  
გარ მტერი დავაბნელო.  
მიტინგ გადუშვებ ინგლისში,  
მათ ჯარი ავალელვო.  
იმსთი მუშა გავფიცო,  
მათ განზე გავუყენო.



## მოროგილის სიმღერა<sup>14</sup>

მიყვარდა ძმასთან ოფლის ღვრა,  
შემოძახილი ყანისა,  
ცრთი შრომა და გმირობა,  
სიმღერა ტკბილი ხმანისა.  
რაღამც მოვესწარ ამ დროსა  
შუქი წამოდგა მოვარისა;  
ვენაცვა ხელისუფლებას  
დამაარსებელს ამისა.  
შევერთდით მუშა-გლეხები:  
ხარი, გუთანი, კავიცა,  
ჩვენი ნაშრომი ვენახი,  
ნაკვეთი მთა და ბარისა.

ରାତ ଗ୍ରେନଲା ମଲ୍ଲପଟ୍ଟେଲ୍-ଫିଂଗରନ୍ଦି,  
ମୁଖରେ ମୁଖମେଲ୍ଲି ଅରିବା;  
ସବ୍ରିଯାଳି କାହିଁ ଧେବରିବ,  
ତଥ କି ଶ୍ରେଷ୍ଠରେବା ଅରିବା.



## მთიელი კოლეგიურნე<sup>15</sup>

სონდისველამ\* შეადგინა  
კოლექტივი არტელია,  
მენაც შევედი ლარიბი,  
ცოცხალ მკვდრებში სათვლელია.  
კოლექტივიცა ყოფილა,  
საწყლის კაცის სათერია,  
ბელელი პურით ავავსე,  
ქერი მერგო რამდენია.  
ჩალის ზვინები ავაგე,  
ბზით ავავსე საბძელია.  
ფილიპე ბუბუნაურო \*\*  
მაღლი ჰქენ და სახელია,  
ერთი პერანგი მაჩუქე  
თეთრი, ტანზე საცმელია.

\* სოფელია

\*\* კოლმეურნეობის თავმჯდომარე

არ ვინა მყავ შემკერავი,  
სახლში ხინკლის ჩამყრელია,  
დედაკაცი მომიუვანეთ,  
ქვრივი, ჩემი საფერია.



## ა. შეჩეთლის გარდაცვალების 20 წლის თავზე<sup>16</sup>

ჩაფიქრებულხარ აკაკი,  
ფიქრს მოუცვიხარ მწარესა,  
გეტყობა, ამბავს გადმოგვცემ  
რაღაცას სამწუხაროსა.  
ლექსებს გადმოგვცემ შენებრივ,  
მოჰყენამ ყველა მხარესა;  
ძირ ჩვენ გვახარებ მსმენელსა,  
მალლა მზესა და მთვარესა.  
ამოთქვი—ყური დაგიგდოთ,  
დავტკბეთ მაგ შენი სმენითა,  
ჩაგვიწკრიალე ლექსები  
შენებრ მოქნილი ენითა.

შენთან მოვდივართ, ყურს გიგდებთ  
ჰოგი ფეხით და ცხენითა.

რომელი რომელს მოუსწრებს,  
ისრე მოვრბივართ რბენითა.

თუმცა ამ ქვეყნის მნათობი  
პირველი შოთა არიო.

აღარც შენა ხარ ნაკლები,  
იმასთან შესაღარიო.

გადარებ, კიდეც ლირსი ხარ,  
არა, არა ვარ მცდარიო.


ორთავეს გულზე გიხატამთ,  
ერთიც არ გვყევხარ მცდარიო.



## წინანდელ ომებ რა იყო<sup>17</sup>

წინანდელ ომებ რა იყო,  
წინანდელ თოფ და ხმალია,  
საპირისწამლეს აყრიდენ,  
ჩახმახს ეჭირა ტალია  
გათარსულ იყო ქვეყანა.  
ის გახდა როგორც ალია,  
ზღვაში ძირს დადის გემია,  
მალლა ჰაეროპლანია,  
ისე გამოდის ტყვია,  
როგორც — კრანტიდან წყალია.  
არ გაუშვებენ ცოცხალს  
თუ კაცს გააბეს თვალია,  
სისხლით დატყეპილ ხალხ დადის,  
როგორც მგლის ნავლეჯ ცხვირია.

ବାୟୁଲେଖରୀ କେମନ୍ଦାଙ୍ଗ ଲେଇେବୀଳା,  
ଶୁଣିଲେଖ ମନ୍ଦିରିକା ମିଳିବ,  
ରେଇବୀଳା କେମନ୍ଦାଙ୍ଗ ପ୍ରକ୍ରିବାଲି,  
ଦୟାଳ ଗରାନିପ୍ରାଣୀ ମଧ୍ୟବାରିବ.



## მოგვადარა ჩვენი ლენინი<sup>18</sup>

მომკვდარა ჩვენი ლენინი,  
ალარა გვყავის მცველია;  
დამგლოვიარდენ მშრომელთო,  
გულს დაიკრიფეს ხელია.  
ლენინის ადგილას არის  
ეხლა სტალინი ჩვენია,  
შეხარის ქარხნის მუშები...  
შენი ჭირიმე, შენია!  
შორი-შორ ერიდებიან:  
„არ მივაკაროთ მტვერია“.  
ხელში ფანქარი უჭერავ,  
მოუღერებავ ყელია...

დარცვა არი ძველი ღრო  
გზირი, ხატი და ლვდელია.  
ვაჟაის გვარისა არის,  
ემაგ ლექსისა მთქმელია;  
ბალლია პატარუნაი,  
არც ეწამება წვერია,  
ლექს იტყვის ჩვენსა მაშაზე,  
კალამი დაუჭერია.



## ალგეთს<sup>16</sup>

შენ გეუბნები, ალგეთოვ,  
წყაროვ არხოტის მთისაო,  
ატირებული ყინულის,  
ცრემლებო კლდეკარისაო.  
ხან მორაკრაკევ ქვიშნარზე,  
ღინჯი მოხუცის ჭკვისაო,  
ხან დედავ ნიალვრებისავ,  
გულშემზარავი ხმისაო.  
იღინე, ღიღხანს იღინე,  
სანამ შუქი ჰეთენს მზისაო,  
ჩარეცხე ჭუჭყი და ხავსი,  
წარსულის სიძველისაო.

ნუ შეგაშინებს ნაძვნარი,  
 ნურც რიყე ლოდებისაო;  
 ჩაითამაშე ხეობა,  
 კვალი გაკაფე გზისაო.  
 გზაზე დაგწვდება ველები,  
 ნათესი სიმინდისაო,  
 დიდი ოჯახი ჰპატრონობს  
 ათასი ძმის და რძლისაო.  
 გადაეც მთიღან სალამი  
 ხოპისის კოლექტივსაო,  
 შემდეგ ვენსხებს ესტუმრე  
 ასურეთ მარაბდისაო.



## აკაპის<sup>29</sup>

შენა ხარ ჩვენი ქვეყნისთვის  
სიამაყე და მშვენება,  
და ყველას გულში გაისმის,  
ოთხკუთხივ შენი ხსენება.  
გამაიცვალნენ, მომწიფედენ,  
გვემულ გლეხების შვილები,  
მაშინ შავებით მოსილნი,  
დღეს წითლად შამოსილები.  
ჩარხი უკულმა ნაბრუნი,  
დღეს წალმა გადმოტრიალდა,  
მის მაგიერად წითელი  
ვარსკვლავი ამობრჭყვიალდა.

და შენ რომ გმირებს ეძებდი  
ნაღარითა და დაფითა,  
დღეს თავმოყრილნი არიან  
როგორც ასხმულნი ძაფითა.  
გაანადგურეს მიწასთან  
ბნელეთის მოციქულები,  
და გააყოლეს ერთმანეთს  
ხელიხელ ჩაკიდულები.  
ის ვარდი, შენ რომ ეძებდი,  
ობლად რომ ამოსულიყო,  
მის გვერდზე დასამშვენებლად  
კარსკვლავი ჩამოსულიყო.



## კოლეგიაზენი<sup>21</sup>

ციებამ თქვა: ჭაობებში  
ბინა მქონდა თბილადო,  
აწლა ურიგოლ მალანია\*  
შემომიჩნდა ჭირადო,  
ათას ბაყაყს ვუთავაზებ,  
ათი ათას კოლოსა.  
ოლონ ექსკავატორები,  
აქედან წაილოსა.  
ნოდია და გეგეჭკორი\*\*

\* გრ. მალანია — ს.კ.პ. (ბ) ფოთის ქალაქ კომის მდივანი. გარდაიცვალა 1934 წლის ნოემბერში.


\*\* კოლხიდაში ჭაობის დაშრობაზე მომუშავე ინჟინერები.

უკან გააყოლოსა,  
ციტრუსები ამოთხაროს  
ჭალადიღის ბოლოსა.

მალანიამ უპასუხა:  
შეხედეთ ამ ბრიყვსო,  
აქამდე რომ გადამირჩა,  
აგი არ უკვირსო?

ნოდია და გეგეჭკორის  
მკლავი კარგად სჭრისო,  
კოლოები ამოწყვიტეს  
კაპარჭინას\* პირსო.

ციება და ბაყაყები  
ახლა ფიჩორს\* ზისო,  
მათაც ბუნაგს ამოვუგდებთ,  
იმ ჯაისის პირსო.



---

\* მდინარეებია კოლხიდაში.

## მღვდელ-დიაკვანი <sup>22</sup>

დიაკონმა უთხრა მღვდელსო:  
— საცეცხლურში ჩავყრი ცეცხლსო,  
მოგილოცავ ხალხის ტანჯვას,  
მოგცემ — ჩავიკოცნი ყელსო.  
სულ ყველანი მადლს გიხდიან,  
შენ, რომ აყრი თვალში ფერფლსო,  
წოგი მუხლზე დაჩოქილი,  
წოგი ფეხზე გიხრის ქედსო,  
ღმერთს ევედრე, მუდამ ტანჯვა  
არ მოაკლოს ამ შენს მრევლსო,  
ჭალები ეშხით კვდებიან  
შენ, რომ აცმაცურებ წვერსო.  
ხომ კი ხედავ, ეს ჭვეყანა  
სულ საჭმელად გაგვჩენია,  
საკურთხში და საწირაფში  
ჭუჭრო გამოსარჩენია.

თუ რომ ჭიუით დავუხვდეშით,  
სულ საჭმელი გვექნებაო.  
დაუფაროს ღმერთმა შტერ ხალხს,  
განათლება-შეგნებაო.  
მღვდელმა უთხრა: — დიაკონო,  
დაგლევია ჭიუა თავში!  
ვერ უყურებ, შე საწყალო.  
რა ამბავი არის ხალხში?  
აირია სტუდენტები,  
უკავიათ ტროსტი ხელში —  
იმან, რომ ხალხს უქადაგა  
გამიჩინა ცეცხლი ყელში.  
სთქვა, რომ — სწავლა-განათლება  
დროა გამოიჩინოთ,  
მგლები — მღვდელი, დიაკონი,  
რატომ უნდა არჩინოთ.  
რაც გვაწვალეს, სისხლი გვწოვეს  
ზედმეტია, გვეყოფაო,  
აწი მაინც გამოფხიზლდეს,  
დატანჯული გლეხობაო.  
ამის შემდეგ სუსველანი  
მე გამიღენ განზედო,

აღარავინ პატივს არ მცემს,  
არ შკოცნიან ჯვარზედაო.  
ცხვრის დუმა და ძროხის ბეჭი  
მელანდება თვალზედაო,  
ძროა პირი შევაჩვიოთ  
ლობიო და ფხალზედაო.  
ჩვენი საქმე წამხდარია  
დიაკონო ბაგრატაო!  
სიმშილით დავიხოცებით,  
ვერ გავძლებით მაგრათაო,  
ხომ კი იცი ეს მთავრობა,  
ვარს რომ გვეტყვის დრამზედაო!  
შენ რა მოსაზრებისა ხარ,  
რას მეტყვი ამაზედაო?  
დიაკონმა უპასუხა: — რას მეუბნები  
მამაო!?

დავიღუპეთ — გვეკარგება  
ტკპილი პურისა ჭამაო!



## გზა სოციალიზმისა<sup>23</sup>

ფშავ-ხევსურეთის ხეობავ  
მიუვალ იყავ ხალხისა,  
ამ მეორე ხუთწლედშია  
თქვენ ღირსნი გახდით ჭარბისა.  
წინეთ არავის შეეძლო  
თქვენში მოზიდვა ბარგისა,  
ეხლა მიხედეთ თქვენ კლდეებს,  
ავტომობილი გარბისა.  
ბარისახოში ქალაქით  
ორიოდ სათში ადისა,  
ქალაქს წამსვლელი ხევსური  
სოიუზტრანცით ჩადისა.

ფშავხევსურეთის ხეობას  
 ახლა ფარდა ახალესო,  
 მიყრუებული მიღამო  
 ხო ქალაქად გახადესო  
 კულაკები იძახიან:  
 ძველო დრო, სად წახვედიო,  
 ხალხს მშენებლობა აჩვენეს,  
 ჩვენ გაგვიტყდა სახელიო.  
 ბურჯუამაც ვერ მიშველა,  
 იმედი მქონდა ძმისაო,  
 ხარობს მუშა და გლეხი  
 ჰაილა დედა მტრისაო!  
 წინეთ ვინც იყვნენ ბნელაში  
 შუქი მიაღვათ მზისაო,  
 სადაც წაველი, წინ დამიხვდა  
 გზა სოკიალიზმისაო.



## ԱԾԱՑԱՆՏ

Սածքուս եղլուտ ցայտօն  
Ընդու ալաննուս արենու,  
Հռմ թալմա դասტիրուալուս  
Բայնու պեռզրեծուս հարենու.  
Ապօծոնուս մինձզրեծու  
Ըս ցարասյրաս ծարենու,  
Ցուսկուս ցալլա ըս Շնիժնու,  
Հայ արուս հասամարենու.  
Ցարշեմու Շեմոյսարս  
Քիթոյ-ցանցուս ցեղեծսա,  
Քոնատ հռմ դածլա Ֆէցեմազօն

ირმებს, დათვებს და შუველებსა.  
უხსოვარ დროის მანძილზე  
უბრალოდ ხეტიალობდი,  
ჩუმ-ჩუმად იპარებოდი,  
იკლაქნებოდი წვალობდი  
მთლად უსარგებლო იყავი,  
არაფერს არა გვწყალობდი,  
მხოლოდ გვაძლევდი ზიანსა  
გვახსნობდი, არა გვტრალობდი.  
აუჩქარებლად მისდიხარ,  
ზანტად და ეშმაკურადა,  
კაცს როცა ხელში იგდებდი,  
ეჩვენებოდი ძმურადა.  
ძველი გზა დაგაგდებინეთ,  
როგორი ბიჭი ბრძანდები,  
სუყველას გავაგებინეთ.  
დაგქსაქსეთ, დაკაჭუცმაცეთ,  
ხარჯები გაგალებინეთ,  
უსაქმო გზაზე ტარებით  
მთლად ხელი აგალებინეთ.  
თუმცა ჩვენ ხარჯი გავწიეთ  
და შაგიკარით თაღები,  
რომ გვემსახურო, მოგვირწყო

ზვრები, მინდვრები, ბალები,  
შეგვმატო ერთი ათადა;  
რაც გვინდა გასასალები:  
და გაჭანჭყაროთ იმდენი,  
მოგხადოთ ერბო, ნალები.



## იორამ ჩარბოლაშვილი<sup>25</sup>

იორამ ჩარბოლაშვილი  
ამოღებული ხმალია!  
გავარდა ყაჩაღებთანა,  
მთლად დასძრა მთა და ბარია,  
დაეცნენ გვარდიელები,  
გავარდა, როგორც ქარია,  
მაეჭკა ცალი მხრიდანა,  
კლდის შავარდენი ჩქარია.  
დატყვრა და დატყვრა თოფები,  
წავიდა სისხლის ღვარია.

— დაიცათ, გვარდიელებო,  
თქვენც მოგცეთ სამართალია,  
მოღიან ბალშავიკები,  
სროლა იციან მწარეა,

გასწყვიტონ თქვენი სახელი  
დღე დაგაყენონთ ცხარეა!  
ახლა არაგვზე წავიდე,  
ფშავსაც დაჭავლო თვალია,  
ბეჩავაც გვარდიელია,  
სოფლისა კამისარია.

—შაჰკარით, დაატუსალეთ  
ჩარბოდაშვილი ბიჭია.

დუშეთის ციხეში ჩამსვეს,  
ფშავისკენ მიმავალია,  
უყირე ციხის უფროსსა,  
—მალე გამილეთ კარია!



## სტალინგვარე<sup>26</sup>

უნდა ვიამბო ახლები,  
ერთ აღარ იყოს ძველია,  
ეგები უთხრათ სტალინსა,  
ლექს ნაუბარი ჩემია,  
გაითქვა სამზღვარს გარეთა  
სტალინ, სიმძლავრე შენია,  
გამაგრდა გრანიცები,  
მაგრა ჩაშჭიდე ხელია,  
მტერ მიჯნას ვეღარ გადმოვა,  
დაედო მკვდრისა ფერია.  
კარგებ გყავ პარტიელები,  
ეგეთი, როგორც ვეფხვია,  
წამოვა მთის ხევსურები,


ოღონ ხმა დასწევდეს შენია,  
მხარზე ქართულებ თოფები  
წელზე გამჭრელი ხმლებია.  
მობრძანდი ხევსურეთშია;  
ადგილ იხილე ჩვენია,  
გაიცან მთის ხევსურები,  
ზოვ ახალ, ზოგიც ბერია,  
წამოხვალ მაშინაითა,  
თან წამოგყვება ბერია.



## ამხ. ბერია ხევსურეთიში ۲۷

აღარ მინდიხარ ზამთარო,  
ზაფხულო, მოდი ჩქარაო,  
იღვიძებს მთების წვერები,  
შირული გაიზარდაო.  
გადაიყარა თოვლ-ჭირხლი  
ხელპირი დაიბანაო,  
შამაშრა მთების ფერდფები,  
ყვავილებ გაიშალაო.  
ჭიუხებ ეძახს ერთურთსა  
ნიკალა გაიპარაო,  
შვერიცარიას გასცილდა,  
საღარა დაიძალაო.  
შენ წალი, ძველო დროებავ,  
აღარ გვინდიხარ, არაო,  
ახალ დროება მოვიდა,  
მატულობს თანდათანაო,

გვიმართვენ სასახლეებსა,  
ჰოგი დღეს, ზოგი ხვალაო,  
ავტონობილებ მოვიდა,  
გრიალი მაიტანაო,  
ჩვენში ბერიას მოსვლამა,  
მთას გული გაუხარაო.  
ელექტრონს გაგვინათებენ,  
შეც სახლში გავიყვანაო.  
მაშინ ნავთ არ დამჭირდება,  
არც ბოლიანი ლამფაო.  
ჩვენმა კეთილმა ბერიამ  
ხევსურებ დაიბარაო.  
შატილშიამდე გადვიდა,  
ველ კეთილ გადიარაო,  
საღ ჯიხვებ ვერ დადიოდას,  
იმაზედ გაიარაო,  
ბერია ვერ შააღარდა  
ყინულიანმა მთამაო.



Ապողօք - Ապօք { Յոշոյօք

## საქონელი სტუდენტის 28

ერთხელ მესტუმრე, გივარგი,  
ამბავს გიამბობ მთისასა:

ვეფხვების ნაწოლს გიჩვენებ,  
აღრინდელს, დიდის ხნისასა,  
კოდალას საქმიანობას—

დინჯ შრიალს ფოთლებისასა,  
ცივ წყაროების წანწკარსა,  
ნაყარსა ირმებისასა.

მემრე, არწივის ბუდესა  
ჩხავილსა ყორჩებისასა.

ჰაერიც მოგეწონება,  
რომ ნახავ მალლის მთისასა;  
მე აქ მირჩევნავ სიტიტვლე,

სიმდიდრეს ქალაქისასა.

დიდ ცეცხლს დაგინთებ ტყეშია,  
მწვადებს შაგიწვავ შვლისასა,  
ფოთლებს გაგიშლი სუფრათა,  
შამფურებს გავთლი ხისასა.

ცუდს ნუ წაიღებ ამბავსა

იმ შენი მასპინძლისასა!

ჩემთან მობრძანდი, დოსტოევსკი,  
როგორც ძმა მივა ძმისასა.

შევრს რასმე გეტყვის მთიელი

ზარისასა და მთისასაჯებ უცხოებები

მე ალგეთისას ფიაშბობ, როგორ სცხინი  
შენ გუგოთხავ ალაზნისაზე დედობები



## თვეების ანბანიში

თვისანგარიშს მოგახსენებთუნ თავი თა  
ღამდეგ გიორგობისთვესა, თოლები  
თოვლი ბევრი ჩამოყარა, მინოს  
ტოტი სულ ამტვრის, ხესა ქარეფი  
ქრიშობისთვე რომ ღაღგება, უც  
ქარიშხალი ამოტყდესა, მყობი თავისა  
ისე გახადა წისქვილი ძირი ნორ ცნ  
კეტიც ვეღარ აუგდესა, მივ თონტიც  
იანვარიც ამას ამბობს: დაშეძე იუილი  
მე მოვიყვან კაი მზესა, ეს იჩინ წილ  
გამოვკვებავ ჯანდაკებია\* უცით რეან

\* დაუძლეურებული პირუტყვი.


შუადღისას უთბობ წელსა,  
თებერვალი ეხვეწება:  
შეც შენ მოგიმართავ ხელსა,  
სოფლის ბიჭები მოღიან,  
კარ-კარ აჭენებენ ცხენსა,  
სახლებში ჩაგიდგებიან,  
გამოლევინ შერსა, ბზესა.  
თვეები შემოქუჩულა,  
უძახიან ერთმანეთსა:  
მარტის თვე უკან ღამდგარა,  
მოღის ღა მოიქნევს ხელსა,  
ნო იცით ჩემი ამბავი,  
ავღრით ღავიბარცხნი წჯერსა,  
შალაქის გზაზე ღავდგები,  
ცოდვებს ღავაბრუნებ ბევრსა,  
სულ გავსწყვიტამ ჯანდაკებსა,  
სიცივით მოვსწყვიტავ წელსა,  
მე რომ უკან გეგულებით,  
უჩემოთ ვინ აწერთ ხელსა?!  
აპრილი ეხვეწებოდა:  
ნუ იქ, მამი შენის მზესა!  
მოღი, კაიკაცობა ქენ,  
ყველა ქებას ვიტყვი შენსა,

თორებ გადაგახდევინებ  
უწინდელსა ჩემსა სესხსა,  
მე შენი სესხი არ ვიცი,  
წალი თხოვე დედა-ჩემსა.  
წავიდა და მოახსენა,  
შვილი ჩაღის ამ საქმესა.  
უი, რა საქმე უქნია,  
იმ არამს, არღასაცლელსა,  
სალამოზე სახში მოვა,  
სულ სახრით მოვწყვეტავ წელსა.  
აპრილი ამას ამბობდა:  
მე გავაშრობ ტყესა, ველსა,  
ძველ ბალახს კი არ შევარჩენ,  
მალ-მალ დაუნამავ წვერსა.  
მაისსა ღმერთო დაგვასწარ,  
ხარი უძახოდა ღმერთსა.  
მე მანამდი ვერ გავძლები,  
მაშინ ამოვივსებ ფერდსა,  
ავხტები და ვითამაშებ,  
პატრონს იამება ჩემსა.  
თიბათვე მოჩანჩალობდა,  
მოიქნევდა ნამგალ, ცელსა,  
ამ ცელით ბალახს მოვთიბავ,

ამ ნამეგლით მოვხუხნი ქერსა.  
მკათათვე შამითაღია,  
უკიფიან ერთმანეთსა.  
ზოგიერთი კაი მუშა  
ხელით მოიწმინდავს ოფლსა,  
ზოგიერთი ცუდი მუშა  
ჩეროში ატარებს დღესა.  
საბარო ურემს შეაბამს,  
ფოთოლს ჩააგებდა ბევრსა,  
იმის კარავს გაიკეთებს,  
იქ დაემალება მზესა,  
სალამოზე სახლში მოვა,  
ქათამს დაუკლავენ ჭრელსა,  
ძალიან თბილად დახურეთ,  
ნაოფლს არ შეგვიციდესა.  
და იმის ნამუშევარი  
სამი ათეული თვესა.  
მარიამობისთვე დგება,  
კოხებს\* უპირავენ პირსა,  
პურსა ბელელში ჩაყრიან,  
საბძელში ჩაყრიან ბზესა.

\* ჭაჭის ჭეა.

ეწკეზისთვე რომ დაღგება,  
 ვაზებს გადუსვამენ ხელსა  
 ზოგს მოწყვეტენ, შეინახენ,  
 ზოგით გაიტკპობენ ყელსა.  
 ლვინობისთვე რომ დაღგება,  
 ბევრი გოგო გათხოვდესა,  
 სიძლერა კაი იციან,  
 ლვინოს მოუღერენ ყელსა.



## სა მცენარე 606

ამცმლოვანი ინტერიერი მარ  
 თმილუნი არ ქიმოუდე  
 ბილფიში ინცენტონთაკ  
 ამილუნით არ მიმუავთ  
 არიცეული ინტენსივი არ  
 თმილუნი ემნის უნიმატინ  
 აჯაყნ ამცურამასტი ითერი  
 ამილუნ ჰუცცრონტ არის

## აივ კლდეშ ა ა

აიმ კლდეშია ყორნები  
ბუდობას არ იშლიანო.  
გადმოხედნება მწალიან,  
თვალნი არ ღაიშლიანო,  
— რას გამამჩები კვლევითა,  
მიწანიმც ჩამოგშლიანო!  
ისეთი ქმარ-მაზლები მყავს,  
მთას ქორებულა მდიანო,

ბევრ შენისთანა ვაჟასა  
ტანზეით ხმალსა ხსნიანო,  
თუ უნდა დაატყვევებდენ,  
თუ უნდა დაიხსნიანო.



## ତ୍ୱାଲତା ଶ୍ରୀକିରଣ

ତ୍ୱାଲତା ଶ୍ରୀକିରଣ ତାତ୍ପରୀ,  
ଶ୍ଵେତମନ୍ଦିର ପାଦରୀ,  
ଜୀବିତରେ କାହାରେ କାହାରେ,  
ମନ୍ଦିରରେ କାହାରେ କାହାରେ.  
ତ୍ୱାଲତା ଶ୍ରୀକିରଣ ତାତ୍ପରୀ,  
ଶ୍ଵେତମନ୍ଦିର ପାଦରୀ,  
ଜୀବିତରେ କାହାରେ କାହାରେ,  
ମନ୍ଦିରରେ କାହାରେ କାହାରେ.

## შალის თხოვება

მარტყოფო აშენებულო,  
შენ ნორიო, რატევანო,  
შანდ, რომ ქალი დავიკარგე—  
განჯას აღასა ვყევარო.  
მანდაურო ვაჟკაცებო—  
სუ ჩემო მოსაღევარო,  
მოკრიფეთ თითო თუმანი,  
დამიხსენ—თქვენი ტყვე ვარო.  
თუ დამიხსნით—დამიხსენით,  
თუ არა და მივყევარო  
წინ მიღვა ოქროს ლანგარი,


ზეღ მიდევ ქვიცის თავია,  
ალმასის ღანა ზეღა ძევს,  
ფირუზის ტარი ჰყობია.  
მშიან და ვერ მიჭამია,  
რჯული ვერ დამიგდია.



## საოცენებო

წუხელის რწყილმა მიკმინა,  
გათენებისა ხანსაო,  
ავდეჭ; ავანთე სანთელი,  
დავადეჭ იმის კვალსაო.  
ვავიჭე, წემევეწივე,  
იმ მაღალ გორის თავსაო;  
გადავკარ გძელი კომბალი,  
გადმიტყდა შუა ტარსაო.

შაგვექნა ბრძოლა ფიცხელი,  
მიწა იძროდა, ცაცაო.  
ხელიხელ ჩაკიდებული,  
ტვინი ანთხია საცაო.



### “ მ ჯ ა ღ ძ მ ”

მინიჭი იმყოფები აირ  
კუმბა ამინცე  
ოუფიმი ციდება ჭ  
კუმუცე აინი ცეც  
ცერვენცე აი  
კუმცო პირია უკუკ  
უკინეთ კუცხე რაც  
კუმრა ცეც იყერი

## სიკვდილი


სიკვდილო ვერ დაგემალე,  
 ქლდე გამოვკაფე სალია,  
 გაგეძე,— ვერსაღ წაგიველ,  
 ცხენი არა მყავს მალია.  
 ქრთამი გაძლიე— არ გინდა,  
 თვალმარგალიტი, ლალია. *და კუნის*  
 ქნელია მოკვდეს ვაჟკაცი,  
 უდიროოდ მოიშალოსა, *ოულის იმპიად*  
 ახალი ნაქორწილავი, *ს იხილ ცერის ენი*  
 ცოლი შინ მოიყვანოსა. *ნოუცნ იძიგნ*


 იუნის იუნის ახა  
 ამცხველნის იმცხველნის  
 იმცხველნი იმცხველნი  
 ამბობნის იუნ ახან  
 ჩინებული ცეკვის ამ ახა.

## ଶ୍ଵେତା<sup>35</sup>

ଦୀର୍ଘବ୍ୟାଜୁଲି ପିରନନ୍ଦ,  
ଦୂରକ୍ଷାରଗ୍ରେ ସାମି ଦାତିବ,  
ମଧୁନିବ ମେଲାମ ଚାମାରତ୍ୱା,  
ନିମାଶ ନାମ୍ବୁଶି ଅକ୍ଷଣ୍ଵିତ;  
ନିଜୁରଙ୍ଗେଶି ଗାମନିରଙ୍ଗିଲୁଶ,  
କଦିଲ୍ଲେବି ହାମନବ୍ରତ୍ୱିବ,  
ମାନାଶ ଦାତି ଗାମନରବିଶ,  
ନିମାଶ ରା ସିପକ୍ଷେ ଅଭ୍ୟବି?


— წელან მელამ დამპატიუა.  
სოფლის ბოლომდის მამდია,  
წამოდი, ნახე სოროი,  
მერე ის ჩემი ბარტყია.  
ქალებო, თქვენი ქათმები,  
სულ ასო-ასო აწყვია.



## სიკვდილეა ჩამოიარე<sup>36</sup>

სიკვდილმა ჩამოიარა,  
არავინ დაწვდა შინაო,  
ობოლი შემოეგება,  
ხონჩა მიართვა წინაო.  
სიკვდილო, მე წამიყვანე,  
ობლობა მომეწყინაო.  
შენ ვერ წაგიყვან ობოლო,  
არავინ არ გყავს შინაო,  
ერთი კოჭლი მამიდა გყავს,  
იგიც არ არის შინაო.

კანი ძმანი გამრავლებულა,  
 უნდა ჩაუდგეთ შინაო,  
 ისინი უნდა გავთიშოთ,  
 ცალცალკე მივცეთ ბინაო.



## ფორფორის ცეკვა

ფორფორის ძმანი. მულ  
 იცილებულის ფორფორის  
 ფორცემის უცა ცეკვის  
 ძმიუძმ ქიბრაზ საუკუნის  
 ფორცემის, ფორცემის  
 ძმიუძმის უცა ცეკვის  
 ფორცემის უცა ცეკვის

## სული გვიანა ხდებოდა<sup>37</sup>

სული გვიანა ხდებოდა,  
ჩამოდიოდა ვარსკვლევი;  
მთვარეც სულ იხოშებოდა.  
მაღალის მთების ნადირი  
სატირლად ემზადებოდა,  
ცხენიც ტიალი მინდისა  
მაღმალ ტოტებზე დგებოდა,

ცოლიც იმისი, ბეჭავი,  
სულ შავაღ იმოსებოდა,  
დედაც ტიროდა, მამაცა,  
თმა წვერით იხოშებოდა.




„**კურნების და ც**  
**კურნების და ც**  
**კურნების და ც**  
**კურნების და ც**

## გაშინ პარვი ხარ <sup>38</sup>

მაშინ კარგი ხარ, პირიქით,  
 გორებზე მწვანილ ვზღდიოდე.  
 მთას თოვლო, გადაზღდიოდე  
 ჭალას ყირვანო ზღვებოდე,  
 ხაგირში ხარო მოხნაო,  
 ბიბინით წამოზღდიოდე,  
 ითესებოდე ქერ-ფევოლო,  
 ხორბალო, ამოზღდიოდე.  
 ჭალაზე ცხვარო-ბატყანო  
 ჟივილით შემოზღდიოდე,  
 იწველებოდე შიშაქო,

ყველ დიდო აშობდიოდე!  
დარჩეულ მშრალო ბატკანო,  
მთის წვერებს მეედებოდე—  
მთებ ცხვრისაგან გათეთრებულო  
ლამაზად იყურებოდე.



## სიკვდილი და სიცოცხლე<sup>39</sup>

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს:

— ხელს არ გოგუემს ჩემთან ბრძოლა,

ასეთ მიჯნურს მოგაშორებ,

უით შეკრული ვარდის კონა.

„რაც შენ გამშორდი, მიჯნურო,

მას აქეთ ეს გამიგია:

სიპი ჭვა მიღევ მუთაქად,


ჭვიშა ლოგინად მიგია.



## წუწკი ქაცი ۴۰

ზოგიერთი წუწკი ქაცი,  
გაეყრება ცოლით ძმასა,  
აღგება, გომში შაძვრება,  
გვერდით გამოაბამს ქარსა.  
ძმა მაშინ მოაგონდება,  
ყანას რომ დაუწყებს მკასა,  
მეძნეური აღარა ჰყავს,  
ხელეური მიაქვს ქარსა.  
იმის წუწკი დედაკაცი  
ჭოპით დაიხურავს თავსა,

გაივლის და გამოივლის,  
ბიჭებს გადაავლებს თვალსა,  
ახალ-ახალი სჯობია,  
თვალი დაუღება ქმარსა.



## მიმოხილვა

რეაზ იტერშ თორი  
იძანს თორუო იტე  
აძლევხონ ინწოვ ა  
აძლევ მხიარუნივ თივ  
აძლევმოვონ მინ  
ალენ პრეცერი ჩორ  
ავიყონ არავი იტე  
აძლენ ქახიონ იტე  
აკერაო იტერშ  
ავიყონ ქვილუნივ ა

## შისტის ქალის ლეპსი ۱۱

ჯაღათი მწყემსობა წამლალეს,  
ხევზუვთ ვაძოვებ ცხვარსაო,  
ვავტედავ საჯიხვეებსა, გაღაკრიახულ  
მთათაო,  
წვარ არის მონაღირეი, ვიყურებ თო-  
თვის ხმას. ხმასო  
თვეორ ჩოხამ გადმაიარა, მასრან უცემენ  
თვალსაო:

გენაცვალე გუროელაო\*, სასლად\*\* გა-  
ზრდილო ტანსაო,  
გუროს დავნატრი ციხეთა, ქვაზე მაღალ-  
სა ქვასაო,  
შიგა ნაჯდომსა ვაჟკაცსა, ხელიგაფ თა-  
თარასაო\*\*\*.

ლიშნად თუ გელიშნებოდეს, იმედ ჩო  
მიღევ ქალსაო,  
არც მე მოიყონ დიაცსა, ნურც შენ წაუ-  
ხელ ქმარსაო,  
ეხლა კი ნუღარ გეშინის, არ გაღმოუღა-  
ხავ მთასაო,  
შიგნით არ წაგალალვიებ გამახელაის  
ქალსაო.

კიდევ ვინ მისცემს ურბეთსა ჩემსა გამა-  
სა, ძმასაო.

კიდევ წაუალ, ხევსურო, შენზე უკეთეს  
ქმარსაო.

სათითე გამამიგზავნე, მეც შემიხდების  
ქალსაო.


\* სოფელია ხევსურეთში.

\*\* წვრილად.

\*\*\* კაცის სახელია.

გიქარგავ ხელისახოცა, მაღმალ ჩაგო-  
წერ ჯვარსაო.

ეგ ლექსი დაუბარებავ ქისტის ფინჩაოს  
ქალსაო.



## ქალო, გიშებენ საჭმარეს ۴۲

— ქალო, გიშებენ საჭმარეს,  
თორმეტს გავითლი ხისასა!

შენ რო მიზდიოდ წყალზედა,  
ველისას, განა ტყისასა.

გზის თავიდანა გადმოვძახ:

—პირი მომიბრუნ ღვთის მაღლსა!

შენ მე პირ არა მოვიბრუნ,

წყრომასა ჰევანდა ხეთისასა.

წინდაზე ცრემლებს აყრიდვ,

ნაწვიმსა ჰევანდა ცისასა.

ერთ ცხენი მყავს, ქალო,

მიმინოს ჰევა მთისასა,

დავიკარგები—დავკარგავ,

ელვას გამსგავსებ ცისასა.  
გადავარდები ქისტეთში,  
სახელს დავირქმევ წიკასა.  
სხვა გვარ ტანსამოს ჩავიცმევ,  
ლეგ-ლუგა ქისტურ ცხვრისასა.  
ქისტეთს დავკიდებ ციხეზე  
მარჯვენას შენი ქმრისასა.  
დნებოდეს, ჩამოღიოდეს—  
ლიბოს არღვევდეს ქვისასა!

— მაგას ნუ ჭეტყვი, მომყეო,  
არ მემეტები; ლვთის მაღლსა!  
ეგ რომ ჩემ ქმარევო გაგიგონ,  
ჩაგდგენა თოფის ლიშნათა.  
წუხელ სიზმარში ვართევდი  
შენსა საჩოხეს წმინდასა,  
ჭრელებს გიქსოვდი წინდებსა;  
ვადებდი ლქროს შიბასა.

ფრინ იულინი ან ლემონოდ  
კრუიგობნ  
  
ციხი ქიმიონ  
კრუშელი ნი დოლოს ილი იდო  
ორეში

## პველი ოჯახი<sup>13</sup>

დედაბოძი მის ძირს კერა, მთლად ოჯა-  
ხი მასთან ყველა,  
საკიდელზე ყურიანი, გამურული ქვაბში  
წველა.

იხტიდიდგანა შუაცეცხლზე, საკიდელზე  
ქვაბის მზერა,  
დედაბოძზე ზეღ მიკრული შინდის ჩხაა  
მრავალწვერა.

ზეღ ჰერიდია ამ ოჯახის პაჭიჭ წინდა  
ქალმნის ძველა,  
ოთხი ხუთი სათარია, ამ ცეცხლზედა და-  
საწველად.

დიდ საკირეს ემგზავსება, გუჟგუჟებდა  
ცეცხლი ძველად,  
საქარეში ქარი ღმუის, აღარა აქვს ყურ-  
სა სმენა.

დარბაზია ძველებური, სიგრძეცა აქვს  
ძრიელ გრძელად.

გაუშლიათ ლურჯი სუფრა, ღამე არის,  
ძრიელ ბნელა,

ძირს მიწაზედ გაუშლიათ, ნეჭეშია სხე-  
დან ყველა,

ზურგის უკან ბარცალებზე, ღოშაკაშა  
ჰვავს ბალიშ მზერა.

პატრა ბალლებს აძინებენ, ბაბო ამბობს  
ზღაპარ ძველა,

ასთავიან ღევის ამბებს, მას შაჰურებს  
პირში ყველა.

ვინც იტყოდა ძველად ზღაპარს, ხილს  
საჩუქრად მიაძლვენდა.



## ჩემი ცათლიდედაო 44

ჩემო ნათლიდედაო,  
ღმერთი შეგეწევაო,  
შორი გზიდან მოვდივარ,  
კოტა მეშივებაო.  
ხვიჩილაი დამიკალი,  
ჟარჩვა ნუ ეკლებაო,  
ვარიეთ ქე გუუშვი,  
დედლად გაგეზდებაო.  
ჩაჭაპური გამომიცხვე,  
ყველი გეშონებაო,  
ჩხავრის ღვინო ამოილე,  
ჭურში გეშონებაო.  
ცხენსა ჩალა მიმირთმიგ,

წვინზე გეშონებაო...  
ჩემო ნათლიდედაო,  
ცოტა მეჩქარებაო.  
თუ შინ აღრე არ მივედი,  
დედა გამიწყლებაო,  
უზნოური ქალი მყავს,  
შინ არ დამიხთებაო,  
მეზობლისას გადიარს,  
გამიარშიყდებაო,  
ახალგაზდა კაცი ვარ,  
თავი მომეჭრებაო.  
ჩემო ნათლიდედაო,  
ჭაპა დაგიძველდაო,  
ნათლიერ გავიკოტრდა,  
ვეღარ შეგიჭრაო.



## ფშაური ლექსები 45

თეთრ ჭუდავ, წითელ პერანგავ,  
ცხენს რო უცემდი პალოსა,  
ერთი აქეთ მაიხედე,  
ცრემლითა ვლეწავ კალოსა.  
კარგ ყმას შაჰევარდი, ქალაო,  
ნურც ცუდსა მღიღარისასა,  
კარგი ყოფა და ცხოვრება,  
მუხლს მოაქვს კარგი ყმისასა.  
ვაი, რა ცოდო ბრალია,  
შავარდენი ჰყავს ძერასა,  
წავა და გაუფრინდება,  
შორით დაუწყებს ცქერასა.

ქალ გამირიე საჭომია,  
ამხანაგობა მწადიან,  
სხვაგან ვერა ვძლებ, ლამაზო,  
სულ მუდამ შენთან მწადიან.  
ამიყვანე, წამიყვანე,  
წითელ ქუდავ, ცხენიანო,  
ამაზედ მეტს ვეღარ გეტყვი,  
პატარა ვარ, მცხვენიანო.  
ნეტავი შენსა დედასა  
შენ გაუზრდიხარ შვილადა,  
არ გინდა საპნით პირბანა,  
არც წარბის ლება ხშირადა.  
შერი კაცი ვარ ბაჩლელი,  
ცოცხალი მკვდრებთან სათვლელი,  
ზაფხულში ჯალაბით ჯერ მაკლაფ,  
ზამთარში ძროხის საჭმელი.  
საგირმა გიორ წმინდელმა,  
ლუდი აღულა სვიანი,  
დალიეს ჯალაბაურთა,  
დადგა ხანჯლების ტრიალი.  
ქალო, შენსა დერეფანსა;  
ბოძს შავუდგამ, არ წავაქცევ.

შენი ქმარი ისეთია—

შავუბერავ, გადავაქცევ·

ქალ, საით გაიყურები,

მოგიგრეხია კისერი,

ნეტა ვიცოდე, ლამაზო,

მოუთმენლად ვის ელი!

ქალ, შენი სილამაზითა,

მზეს ეუბნები, ჩამოდი;

ვერ გავძეხ სიყვარულითა,

მთავარო სულო, ამოდი.

არ ვარგებული წაწლობა;

ღასწყევლოს ფშავლის კანონი!

ალაზნის პირას გავწირე

სამ უღელ ცალა საქონი.

გაისარჯე ვაჟიკაცო,

მინამ გორზე არის მზეო;

კორკოტისა შაჭამანდასა,

დაუმატე ქალო, რძეო.

კაცსა ხვთისა გაჩენილსა,

თვალი უზის ეშმაკასა,

რაც უნდ კარგი ცოლი ჰყავდეს,

მაინც მოსწონს სხვა და სხვისა.

ნეტავი ნამტირალავსა,  
ხმა შენი გამაგონაო,  
დამიგო კარგი ლოგინი,  
შენ მკლავზედ დამაგორაო.  
ჭალ, ჭისტეთს გაგათხოვებენ,  
ჭალმანი გინდა რკინისა,  
მოგაგონდება კახეთი,  
სურვილი მოგკლავს ღვინისა.  
ვაპშე, რა ძლიერ ავალ ვარ,  
ლამის დავხუჭო თვალები,  
ჩემს სანახავალ მოღიან,  
ლამაზ-ლამაზი ქალები.  
ზოგსაც მოაქვს ჭიშმიშები,  
ჭოჭს ლამიზაშებით ბალები.  
ერთი შეხედვით შავატყობ,  
რომელსაც შევებრალები.  
სხვები როცა კარში გავლენ,  
მას ჩემსკენ რჩება თვალები.  
ბახტირიონელი არა ვარ,  
წამოვჯდე გორაკაზედა,  
მე ხირბალელი არა ვარ,  
ცხვრები ვიპარო წყალზედა,


მე ახმეტელი არა ვარ,  
სულ ვიჯდე დუქნის კარზედა,  
ქისტაურელი არა ვარ,  
ჩხუბი გავხადო გზაზედა.  
ბატნელი ბიჭი გახლავარ,  
დავიყურები მკლავზედა.



## ხალხური დახასიათება

ბაზრობა ქალაქური,  
შეშა დიღმური,  
ჭურჭელი მცხეთური,  
საგოდრე ძეგური;  
ლობიო სასხორული,  
ერბო მაღალი წინარეხული,  
კირი ქავთისხეური,  
ჭილობი იღლური,  
წყარო ჩავიძიანთ უბნური,  
სემკა (ძალლი) გომური,  
ლოდნარე (ლოდიანი აღვილები) ნია-  
ბაური,

მამალი ჩოჩური,  
კუდაზნაურა მეტეხური,  
ძილი ხანდაკური,  
ხველა სასირული,  
თბილი წყარო დოული,  
პატარძალი გრაკალელი,  
ჯოჯო უფლისციხური,  
არშიყობა გორული,  
ქალი და რძალი ხიდისთაური,  
ღვინო ატენური,  
სეტყვა ხოვლული,  
ყბედა ახალჭალაჭური.



## 860 အာဒရိ စုစောင်တာ ၁

ဂုဏ်စိ အာဒရိ စုစောင်တာ  
မရှေ့လတ အာဒရိ အာန် ကြာလှုပါ.  
အမ်းဖျော်လာမီ လာ အမြောက်မီ  
ဥရတ္ထုပဲ ဗျိုလ်ရေး မြောက်ပါ.  
အိုးကြံး နိုင်ချော်များ၊  
ပို့ဆောင်ရွက် ပုံမှန်ပါ၊  
ပုံမှန် ပုံမှန် ပုံမှန် ပုံမှန်:  
နာပာဇ လာနှုန်း နံပါတ်ပါ.  
နာဒရိ—အိုးကြံး အိုးကြံး၊  
အိုးကြံး အိုးကြံး၊ အိုးကြံး၊  
အိုးကြံး အိုးကြံး အိုးကြံး

დაკაფეს როგორც ხარიო.  
აშანდით დაიქცევიან,  
მგელთ ვერ მოხელეს კვალიო.  
აუტყდა მძიმე მდევარი,  
გზირთ ვერ მოხკიდეს თვალიო.  
ორნ გამოღმეტდეს მდევართა  
დავლათ გვაქ ძალიანიო.  
ძალიან დავლათ ხქონიათ,  
ისრემცა წყალობს ჯვარიო.  
ნასხდომთ ზე მიხყუდებიან  
ქოდ იყვნესა ბრძანიო.  
ჯამრულამა და იმედამ,  
ერთუცს მისჭირეს მხარიო.  
ერთუცის მემჯობიაბა,  
ლაშჩი ახვიეს ალიო.  
კისრისას ამოზღიოდა  
კბილი და კბილის ძვალიო,  
აუტყდა მძიმე მდევარი,  
ეცოტავების მკვდარიო.  
ეგიც მაზედაც შადევით,  
ეხლა გაქვთ საჩივარიო.  
დაბრუნდეს საშინაოდა,  
პირწალმ ილოცეს ჯვარიო

ერთმანეთს ეუბნებიან:  
დიდ დაგველივა ხანიო.  
შაგვწუხდებოდეს ჯალაფნი,  
საკარყმოს ჩვეულ ჯვარიო.



## ქალ-მუშაოს პასტერნიკა<sup>48</sup>

### ჭაფი

პირდაპირ ჩამოხვიდოდი,  
მოხქეოვდი ჭრელის წინდასა,  
მაგრამ სიზმარში ასთევდი  
ჩემსა საჩოხეს წმინდასა.

### ჭალი

— ნეტა რა გათქმევს, ვაჟაო,  
თავის სირეგვნის სიტყვასა,  
ჩემა საქმარემ გაიგოს,  
ღაგიდებს თოფის ლიშანსა,  
ცოლსა ქვე საით წაართომ  
ღარიში ჭალი მდიდარსა!

## ვაჟი

— გადავად, გადაგიყოლებ,  
სახელს მეტყვიანი წიქასა,  
ლეგას ტალავარს დავიცვამ,  
ლეგ-ლეგა ქისტებისასა,  
დავხკიდებ ციხის წვერზედა,  
მარჯვენას შენის ქმრისასა.  
ჩამოდიოდეს ნაწვეთი,  
ლიბუს აღნობდეს ქვიშასა.

## ჭალი

— ჩემ საქმარებ რომ გაიგოს,  
პეჭუი დაგადებს ლიშანსა,  
სისხლს მევე მსკრეფიებენ,  
მავ შენის მხარ-პეჭისასა.



## ჯიხვი მოექლა ჯარჯოსა<sup>49</sup>

ჯარჯო ჩახედავს ჯიხვებსა:  
რა მშვენიერი წვანანა-  
რქა რქაზედ გაღაუდებავ,  
ანგელოზებსა ღვანანა,  
მაგრამ კი მონალირესა  
ჯიხვებმაც ბევრას ანანა.  
წრიაპით ციცაბო კლდეზედ  
ძვირად დაუსვა ჩავლამა.  
ჯიხვი მოეკლა ჯარჯოსა,  
გაღალმა ფიცარს კლდეშია,  
იქ გაატყავა ჯიხვიცა,

მონახა დიდი ეხია,\*  
 ცეცხლი დაანთა, წვადსა წვამს,  
 რაც მონაღირეთ წესია,  
 წყალიც კლდეშივე ჩამოსწვეთს,  
 შიგ არეული ლეფშია.  
 სასთუმლად ლოდი დაიდო,  
 დაწვა და სძინავს ეხშია.  
 სიზმარი ნახა ჯარჯომა:  
 უღრანს, უდაბურს ტყეშია.  
 დევებსა ცეცხლი დაენთო,  
 რაღაც მიუვალს ხევშია,  
 წვევდეს მთელ-მთელა ირმებსა,  
 თვითოს ეჭირა ხელშია,  
 დიდის კოკითა ლვინოს სმენ,  
 წყლად მიმღინარსა ხევშია.  
 ცეცხლ უნთავ, ალი ცას სწვდება,  
 ირგვლივ სხვავ დევთა ჯარია.  
 ბოლოს დროს რაღაცაზედა,  
 ომი მოუხდათ მწარია,  
 იმათ ფარხმლების ჩხერამა,  
 სულ შეძრა მთა და ბარია.

\* გამოქვაბული.

დევების ყრილობაშია  
ერთი ცხრა თავიც სტანია,  
ძირით დასწვდა და მუხები  
და ის დევთ ჯარში დარივა,  
სისწლის მორევი გაკეთდა,  
შიგა ყრავთ დევთა მკვდარია.  
გამოეღვიძა ჯარჯოსა,  
შემქრთალსა, გულმწუხარესა,  
გამოვა ეხის კარზედა,  
თვალს ავლებს არემარესა,  
ცა ვარსკვლავებით სავსეა,  
გაუნათებავ მთვარესა,  
ვეღარსაღ წეღავს დევებსა,  
ვერც იმათ ომსა მწარესა.  
მარტო ბუის ხმა არღვევდა  
იქაურს არემარესა.  
შავიდა ეხში ჯარჯოი,  
დაწვა და ფიქრით სავსეა:  
ტყუილი სიზმარ არ იყო,  
რაც ეხლა ძილში ვნახია,  
ალბაღ წყეულმა მაცდურმა  
დამიგა რამე მახია.  
ან ბეღი არის ჩემ თავსა,

ან ეშმაკების საფრთხია,  
რატომ დროითვე არ წავალ,  
რაღა ამ ეხში დავდია!  
ჯარჯოსა, ფიქრით სავსესა,  
დასძინებოდა ისევა,  
რაც წელან ნახა სიზმარი,  
იმასვე ხედავს კიდევა,  
ცხრათავიანი ყვიროდა,  
მთაბარი ერთობ ინგრევა,  
აკვირვებს მათი შუბთელვა,  
მათი ხმალდახმალ მიწევა.  
აღვა და ცხრათავიანმა  
მოთხრა დაიწყო მიწისა,  
იქ დიდი ორმო ჰქონიყო,  
ახალა დიდი სიპიცა,  
ხელი ამოჰკრა, ამოჩნდა  
ლამაზი თმები გიშლისა.  
ჯარჯომაც იცნა ლამაზი,  
თმები საყვარლის თვისისა.  
გული რას შვრება, იფიქრეთ.  
გული ვაჟკაცის მქისისა.  
უყურებს შორი ახლოთა,  
ამოეფარა ხის ძირსა,

არ იცის მხლით სცას ცხრათავსა,  
არ იცის მოკლას ისრითა .  
ორიოთვე მოკვლა უნდოდა,  
შავრამ ვერ ბედავს. შიშითა  
ქვეყანა მოიშხამება,  
რომ მოკლას, დევის სისხლითა.  
დევმა ქალ ამოიყვანა,  
ჯარჯომ იმარჯვა ხმალია,  
გაღუნეტა დევთა ყრილობას,  
არ დააკალა ხანია,  
სულ წინწინ შეხვდა ცხრა თავსა,  
ვისაც ხელთ ჰყვანდა ქალია,  
მეცხრეს თავს ჩამოუქნივა,  
შუა გარდატყდა ხმალია.  
უხმლოდ მიგარდა ცხრა თავსა,  
პირს მიალეწა ფარია.  
გამოელვიძა ჯარჯოსა  
ვონება დაბნეულია,  
ოფლიც სულ სისხლი ეგონა,  
ღიგთაგან დათხეულია.  
ხმალი უქნევავ კლდისთვისა  
ფრანგულიც დამტვრეულია,  
ბევრი უბრძოლოვ კლდისთვისა,

ფარიც სულ დანჯღრეულია.  
დაბრუნდა ჯარჯო სახე შია,  
სიზმარს შესჩივის ყველასა,  
აბა, ვინ ეტყვის ჯარჯოსა,  
ამბავს მის გულის მწვერადა.  
სატრფო იკითხა ჯარჯომა,  
პასუხს აძლევენ ვერასა,  
შიშისგან თავბრუ დაესხა,  
ვერავინ ანძრევს ენასა.  
ჯარჯომ გაიგო, მისთვის,  
რაც უქნავ ბედის წერასა,  
ჯარჯომ სიათა აიღო,  
აღგა, გაიჭრა ველადა.  
იმ კლდეში დადის უფრორე,  
საც სიზმარ ნახა ძველადა.  
თუ შეხვდა ცხრათავიანსა,  
საქმეს დაუსვამს ცერადა,  
თუ პურის ჭამა მოუნდა,  
ჯიხვს იქვე მოჰკლავს ხელადა.  
ჯარჯივ, ნუ მისდევ ჯიხვებსა,  
მოგინელებენ ტიალნი,  
არ დაიჯერა ჯარჯომა,  
ჯიხვ მაინც მოჰკლა რქიანი.

— ჯიხვნი და დევნი ერთნია,  
ორთავ მე მიყვეს ზიანი!“.

წინ ჯიხვმა, უკან ჯარჯომა  
ტლდეზე გადიღეს ხრიალი,  
ომაროს ჭიალას გავარდა  
ჯარჯი ფეხწრიაპიანი.

ვინ ეტყვის ჯარჯოს დედასა,  
ჯარჯო წევს პირსისხლიანი?  
რაღ ტირის ჯარჯოს დედაი,  
შვილს სტირის, თავის ჯეარჯოსა,  
ჯიხვებისაგან მკვდარსაო.

თვალი შეასწრო ყორანსა,  
წვერებზე დამავალსაო:

— რაღ იარები, ყორანო,  
დაბლა რაღა ხრი თავსაო,  
რას ეთელები ხევრურა,  
რათ იცერები მხარსაო?

წინწინ შენ ღნახავ, ტიალო,  
გილზე დამრჩალსა მკვდარსაო,  
მიხოლ და მასზე დასჯდები,  
დაიწყებ სისხლის სმასაო.

იქნება შენ ხრავ, ტიალო,

იმ ჩემის ჯარჯოს მკლავსათ.  
იქ დაღის ჯარჯოს დედაი,  
ჯარჯოც იპოვეს მკვდარია,  
კლდეზეიდ გარდავარდნილი,  
ჯარჯოს დაჭრილი ტანხა,  
თავპირი გადაფლეთილი,  
ყორნის დაოხრილნი თვალნია.  
დედამ რომ ნახა, იტირა,  
ცრემლი დაღვარა ცხარია.  
აქნამდე ჯარჯოს იმედი,  
აშ პატრონობენ სხვანია,  
გაოხრდა ჯარჯოს სახლვარი,  
ქავი და ქავისჯარია.  
წამოასვენეს ჯარჯოი,  
სტირის ქალი და რძალია,  
და ჩაასვენეს კუბოში,  
დააკრეს კელაპტარია.  
ზედ თეთრი ძეგლი ააგეს,  
შორით სწვდებოდა თვალია,  
ძეგლზედ ჯარჯოის სახსოვრად,  
დააკრნეს ჯიხვის რქანია;  
ერთს მხარეს ჯარჯოს სიათა,  
მეორეს მხარეს ხმალია,

ომის ღროს ხელში ნაქონი  
ზედ დააფარეს ფარია,  
ზედ დააწერეს ქალალდი:  
„ჯარჯო, ჯინვთაგან მკვდარია“.



## მუშაოსი, მე ჩაუხანილო <sup>50</sup>

დაიწვი მეცხვარეობავ,  
ახალ სოფელო ყვარელო,  
გაბმულო ციცაბ კლდეებო,  
შილდაო ლეკის მთავილო.  
ლეკის მთავ, შამონავეუებო  
აღგილ და აღგილ ხევებო,  
აღგილ და აღგილ ვეღებო.  
ზედ გადასულო გალებო,  
აღგილ და აღგილ ზვავებო,  
თან წყაროვ ჩამონაღინო,  
წინათ ვჩიოდი ბარათ,  
ეხლა შენ ცრემლებს მაღენო.  
დაგწყევლი შენცა საჩუვნო,

და ენისელსაც თანავო,  
პურის და ღვინის მომყვანო,  
მთელი ოჯახის ძალაო.  
თქვენ თავზე ლეკის მთა არი,  
კლდე კარი, დიდი ჭალაო.  
ხელიგულივით ბილიკი,  
ჭვა ყრია, როგორც დანაო;  
იმაზე ავლა ძნელია,  
ცხენ გაუწყდება ჩარაო,  
ერთ ასვლას ნალი არ უძლებს,  
ლურსმანი წყვიტა, ყარაო.  
ცხვარი რომ კლდეში ცვივოდა,  
ფეხზე ვერ წამომდგარაო,  
მწყემსისთვის გული მომწყვეტო,  
გაუნახევრე ფარაო.  
გაღმივ-გამოღმა დაგწყევლი,  
ვარყო, მუშავო, ჯვარაო:  
იქით დაგწყევლი ბაგითო,  
აქითკინ აკინტალაო.  
იქით ზურგის ძვალს დავწყევლი,  
საბატქნო ლაზიტალაო,  
ატირდა მწყემსი მემცხვარე,  
ცრემლები გაღმოყარაო.

შიაფურთხა და დასწევევლა  
—აქ ხომ ეშმაკი მდგარაო!..  
გრიგალათ დაიარებით,  
ტურაშნა ღიღო ფარაო;




## ქალის ციფლები

სკამი, დავიღგამ ჩემს ოთახში,  
ჩამოკჯდები ნელათაო:  
სათითაოდ დავამღერებ,  
გულა რასაც მღერასაო,  
შშობლებმა ქმარს მიმათხოვეს  
აბდადას და შტერასაო!  
და რეც წილი გამირიგეს,  
მომცე' კიდეც მთელათაო.  
მუშაონა კი ცოდნია  
ჩემს ქმარს, ცხვირ-პირ გრძელასაო!  
სამუშაო იარალი  
სრული აქვს და მთელადაო.  
ის ყანისკუნ წაეთრევა,

სამუშაოდ ველადაო;  
მე კი ჩემს მასალებს ვეძებ—  
უმარულს და ფერასაო.

შევითუთქავ ამ მასალით,  
მოვწონდები ყველასაო!  
ქმარმა თუნდაც კი გამიგოს;  
თავიც არტყას კერასაო!



## მოთხუამიშვილი 52

სეიმონამ უთხრა დათასა:

— ნუ დამიკარგავ ნათვლასა,  
ვინც ამ ჩემ ცხენს მიიბარებს,  
ფულით გაუვსებ კალთასა.  
კვირაში ორ მანეთს ვაძლემ,  
ეხლა კი გეტყვი მართალსა;  
ხვალ მექორწილეს მოველი,  
სახლში მომგვრიან შავ თხასა.  
ჩავიცვამ და დავიხურამ,

დავემგვანები ხვანთქარსა,  
თან მაყრათ წამიყვანებენ,  
ხელში დავიჭერ კათხასა.  
რაც უნდა სმაში დავესწრო,  
კაცი ვერ მნახავს დამთვრალსა.  
— მეორე ცხენი რა უყავ?  
ჩამციებია ცოლია.

— გზაში დავსტოვე საწყალი,  
ვერდში გაუდგა ქარია,  
მე ვსტქი, იაფათ ვეყიდე;  
არკი დავისვი ღარია.

თურმე არაცრათ არ ვარგა  
არკი დამთხარა თვალია.

წამოსაყვანად ჩავედი,  
ცხენი ხომ დამწვდა მკვდარია.

ქვემოური მეფიცება:

— არ არის ჩემი ბრალია,  
სიკვდილის ჟამში რომ იდგა,  
ჩამომიმტვრია კარია,  
სახლი სახლათ მომიბილწა,  
ფინთი არის და მყრალია.  
გამოსათრევად მოუნდა  
სამი უღელი ხარია.

ხორცი შეჭამეს ძალლებმა;  
თუ გინდ წაიღე ძვალია.  
ხელცარიელი რომ მიხვალ,  
შინ გაგიწყრება რძალია.  
ჩიხირთმა დამზადებული,  
ნასესხები აქვს ძმარია.  
რათ გინდოდა მკვდარი ცხენი,  
გაყიდნა ერთი ცხვარია.  
მასში მიცემული ფული  
ხომ შეიქნება მქრალია.  
ღავითმა უთხრა სვიმონას:  
— არ გამოგვაღებ ცხენია,  
ჩვენ ზარალს კი არ ღავიძებ,  
მარჯვა მეზობლის მრცხვენია.  
მონაწილობა მომეცით,  
რო მირგოს ერთი გძელია.  
თქმენ რაჯ გინდათ, ის იყიდეთ,  
ღმერთმა მოგიწყოთ ხელია.  
იოსები თავს იკლავდა:  
— მოთით, გამსჭირით ყელია,  
ერთმანეთს ხელი მოგვიდოთ,  
ვერას დაგვაკლებს მტერია.


თორემ ცალ-ცალკე გაფხუტით,  
როგორც მშექრი მგელია.  
ყველა ჩვენ წამოგვაწვება  
ერის კაცი და მღვდელია.



## ჭეკავ, ულხინე მთიულსა

53

ჭეკავ, ულხინე მთიულსა,  
ბეღისგან განაწირსაო!  
არს უშოვარი მუშაკი,  
მცხოვრები მაღლის მთისაო.  
მინდობილია შავს მთასა,  
ვითა ნაღირი ტყისაო,  
მას ღვინის მაგიერადა,  
წყარო ზრდის ტინი კლდისაო.



## თვეების სიმღერა ۵۴

იანვარი გვესტუმრა  
ახალ წელიწად დღესა,  
ქველ ანგარიშებს აბარებს,  
იმ ქრისტემობის თვესა.  
მოყვება დღესასწაულებს  
და ქვირა-უქმებს სწერსა,  
მას განუცხადებს საყდარში  
დიაკონსა და მღვდელსა:  
შემდეგისათვის, იცოდეთ,  
ეს წაუკითხეთ მრევლსა.  
ნათლულებს დაიპატიუებს,  
იმ ნათლის ლების დღესა,  
ლვინოსაც ბევრსა ღალაფენ,

ლოცავენ ახალ წელსა.

ყველაფერს იანვარი ქმნის;

რა ჩჩება თებერვალის თვესა?

ეს თებერვალშა გაიგო,

შეუტია იანვარსა—

რას თავხედობს ეს წყეული,

შეტავი რას მიქარავსა?

მთელ თვეებში ვერა ნახავ

შენისთანა ბრიყვსა თვესა,

კაცი არაფერს აკეთებს—

გარდა სმის და ჭამის მეტსა.

რაც შვილი წარ, კარგად გიცნობ

ტყვილა ღმვერ მაღლა ფეხსა.

ეს მარტი რის მაქნისია,

რომ იშკვერტავს ულვაშებსა?

აგი მარტმა რომ შეიტყო

აენთება, როგორც ალი,

ხომ არ გინდა, თებერვალო,

დაგიყენო ორივ თვალი?

მე ცუდად რომ მისენიებ,

ხომ არ გიქრის თავში ქარი?

მე კი როცა მოვირთვები—


გეგონები პატარიშალი,

ჩემით ია აყვავდება,  
მერე მარწყვი და ტყემალი,  
ბაღში ნუში, თუ ატამი,  
მსხალია თუ ალუბალი.  
აპრილიც მე მეხმარება,  
ჩვენ ვართ გაზაფხულის თველი.  
აპრილი გამობრწყინდება,  
თავის საქმეს არიგებსა.  
ღობე-ყორეს შეაკეთებს,  
მასთან ერთად შარა-ვზებსა.  
ვაზის გამსხვლას დაამთავრებს,  
და თან ახვევს ვენახებსა.  
თუმც ვენახი დავახვიე,  
დაგვიანდა ბამბის თესვა.  
ორშაბათი მჰისია,  
ჩოხის კალთას აიკეცსა,  
წინ ხარებს გაიძლვანიებს,  
ხელში სახნისს დაიჭერსა.  
მინდვრად სამუშაოდ ვავა,  
სიმინდსა და ბამბას თესსა.  
ამინდებსაც ვარგს დაიჭირს,  
დაამწიფებს პურს და ქერსა.  
და ბალახებს მოსათიზად

შესთავაზებს თიბათვესა.  
ეს თიბათვეც მოპრძანდება  
და მოაშვერს მაღლა ხელსა,  
ჯერ ნამგლებს პირს დაულესავს,  
და დააგებს ტარზე ცელსა.  
გამალებით მოედება  
სამუშაოდ მინდორ-ველსა.  
ბინდვრებზე ბალახს მოთიბავს  
და ყანებში მწიფე ქერსა.  
ეს მკათათვე რას აკეთებს,  
რომ იგრეხავს ულვაშებსა?  
აგი მკათათვემ ვაიგო,  
მუხლზე დაიკრა ხელია.  
ნეტავ არ იყო, თიბათვე,  
ბრიყვი და საძაგელია.  
როდესაც წვიმას დაიწყებ,  
მისი ვაღადრა ძნელია.  
მე კი მიყურე, ყანებში  
თუ როგორ დავდგა ძნებია.  
მარიობისთვე გვესტუმრა,  
ის უფრო საყვარელია.  
ორი დღის ციება იცის,  
იგი რა გასამხელია.

თუ ორ კვირაზე გადუცდა,  
კაცს დაეკარგვის ფერია.  
საფერცვალებოდ აკურთხებს  
საყდარში ყურძენს ღვდელია.  
ენკენისთვე მობზრიალობს,  
გასიებია ყელია;  
თავი მაღლა აუღია —  
როგორც ულაყი ცხენია.  
ლელვები ყველგან მწიფეა,  
ბალნები მაღლიერია.  
მწიფობისთვეც კარს მოგვადგა,  
დაგვიმწიფა ჭირნახული,  
საღაც კი არ გაიხედავ,  
დგას ურმები დატვირთული.  
მთელ წლის სარჩოს აგროვებენ,  
ვისაც ქონდა ზაფხულს ხნული.  
ზამთარში კი დაისვენონ,  
და სიმღერა. სთქვან მაყრული.  
გიორგობისთვეც მოვიდა  
წმინდა გიორგის თვეია,  
ყურძნები ყველგან დამწიფდა,  
დადგა გიშრისა ტევრია.  
აბა, ჭვილებო, მიშველეთ,

ვამარეცხინეთ ქვევრია,  
ტკბილი მაჭარი ჩავასხათ,  
თუმცა ბევრი გვაქვს ძველია,  
ჯერ აგი საქმე მოვრჩეთ და  
შემდეგ შემოვჭრათ წკნელია.



## მესტვის მოთხევა

ჭავჭავაძემ დამპატიუა,  
ლვინო შემასვა ტკბილიო,  
აშკარას გამომიყვანა,  
იქ მომივიდა ძილიო.

საღაც კარგი ჩრდილი იყო,  
იქ წამეყო მე ცხვირიო,  
ჩემს ძილში გამომაპარეს  
ჩემი ქამანჩა სტვირიო.

ჩემი ქამანჩის მომპარავს  
გაუსივდეს ცხვირპირიო,  
იმისი ცოლი მენახოს  
გაისამაღროს ქვრივიო!

ჩემი ძმისთვის შომეყვანოს,  
გაღამეხადოს ლხინიო,  
რომ მზითევში მოყოლოდეს  
ჩემი ქამანჩა სტვირიო.

დაუკარ ჩემო ქამანჩა,  
ამოიღე ხმაო,  
მსურს არხიპო ჭავჭავაძეს  
შაირი უთხრაო.

მან ქეიფი კარგად იცის,  
კარგი ჭამა სმაო,  
დამქაშებიც ბლომადა ჰყავს  
აღარ უნდა თქმაო.

ამ ჩემი ძმისა ქორწილში  
დაკლეს ქერა თხაო,

უანგიან ქვაბში ჩააგდეს,  
შვენი არა ქნაო.


აარიგეს-ჩაარიგეს,  
ნეფეს არა ხვდაო,  
პატარძალი წიწმარუტობს,  
ჩემს ქმარს არ უნდაო?



## ღმდა გიტისმზს გულითა

ლექსო, ამოგთქვამ ოხერო,  
თორემ იქნება ვკვდებოდე,  
და შენ კი ჩემსა სახსოვრად  
ამ ჟვეყანაზე რჩებოდე.  
შლეროდენ ჩემებრ სწორები,  
ჩონვურის ხმასა ჰყვებოდე.  
ჩვენ ისიც უნდა ვიფიქროთ,  
ჩვენს სიკვდილს ვინ იტირებსა,  
ვინ ჩამოაბნევს ცრემლებსა,  
საჭმეს ვინ გაიჭირვებსა?  
თუმც ნათესავნი და ძმანი  
აღარ აიხსმენ ღილებსა,  
ცოლიც მიტირებს ბრალადა,

ქვეყანას გააკვირვებსა.  
შეგრიაშ ცოტა ხნის შემდგვა  
სხვა ვისმე გაუცინებსა,  
დედის მეტს ჩემი სიკვდილი  
არავის აატირებსა,  
დედა მიტირებს გულითა,  
ძილსაც არ დაიძინებსა.



## გლობერს ლიტერატურა

გლახამ თქვა:—დღენიმც კრულია  
დაბადებისა ჩემისა!

რამდენიც დილა გათენდა,  
უფრო და უფრო წყენისა.  
სკოლიდან გამომიყვანეს,  
შინ მივე ჩემის ფეხითა;  
მამა მიმზადებს ჭორწილსა,  
ყველა ნაირი წესითა.

ტანისამოსიც მიყიდეს,  
ქამარ-ხანჯალი ვერცხლისა;  
მაყრებიც ემზადებიან,  
ცხენებსა კაზმენ კეხითა,  
ხორხისკე გავემართენით.  
ნათელი გვედგა ზეცითა:

უველანაირი ფერია,  
წითელიცა და თეთრიცა.  
არავის გაუგონია  
უქუხრად დაკვრა მეხისა;  
ეკლესიაში მისულის,  
პირ-ქვე დაცემა ნეფისა!  
ლვდელი კარებში გაჩერდა:  
— ეს რა დაგვეცა ზეცითა?  
ეს არის უბედურება,—  
ერთი-მეორეს ეტყვისა,  
ნათლიის თოფი გავარდა,  
შუცელ გაგლიჯა ნეფისა,  
— რა ქენით ,ჩემო მაყრებო?  
საჭმე გასწიეთ ცეტისა.  
არ შეგერგებათ მაყრებო.  
ნახნავი ხარის ქედისა!  
ისე იწოდა მაყრები,  
როგორც აბედი კვესითა.  
გიგოლას ამბის მიტანა  
სუყველამ დაიზარაო,  
ისევ ნათლია წავიდა.  
მთა ჩქარა გაღიარაო.  
გიგოლას თავის ნათლისში

კარებზე გაუარაო;  
სამჯერ გაულო კარები,  
სამჯერვე გაუჯარაო.  
— კარზე გამოდი, გიგოლავ,  
ეჯიფშა დაგიბარაო,—  
ნათლიის თოფი გავარდა,  
ნეფე თან გადიტანაო,  
გამაემართა საწყალი.  
არ ჰქონდა მუხლში ძალაო.  
ულვაშზე ხელი გადისო,  
სულ დაბლა გადაყარაო:  
— თუ ჩემი შვილი მოჰკალით,  
ქალი ვინ წაიყვანაო?  
აგერ ცხედარიც გამოჩნდა.  
დავიღუპენით, განაო!  
მეც უნდა თავი მოვიკლა,  
გულში დავიცე დანაო;  
— გარგი დადეჭი, გიგოლავ,  
ეს ცოდო-ბრალი კმარაო;  
სამი ატირდა სიძეი,  
სანთლებურ დაიღვარაო.  
სამი შამიღა ტიროდა,  
დაუიღუპენით, განაო!

ეს იყო ჩვენი სილალუ?

წავიდა, გაიპარაო.

აიხსნა ქალმა მანტალუ,

ზედ პირზე დააფარაო:

დაიჭრა შვილივ ნაწიავა,

ზედ გულზე დააყარაო.

—არ მოგეშვები, ლამაზო

უნდა ჩამოგყვე თანაო!

ცოცხალმა როგორ დავლახო

მაღლა მთა, დაბრეა ქალაო?

მეც უნდა თავი მოვიკლა,

უნდა დავიცე დანაო!—

ტიროდა ქალი და რძალი.

დაჭრილი გაიბანაო.

ქალი და რძალი მოჭუჩდა,

გულზე ტბა დაღვა ცრემლისა;

თავზე ნათლია დასტირის,

გაყვითლებული ფერითა.

—ქორწილში ვემზადებოდი,

ცხენს ვასუქებდი ქერითა,

ნათლიად წამოსული ვარ—

დუშმანიც გავხდი, მტერიცა,

უბედურებო, უყურეთ,

მე მოვდალ, ჩემის ხელითა;  
ერთად გათხარეთ საფლავი,  
მაგისიცა და ჩემიცა!  
გულში დაიცა ხანჯალი,  
ბეჭუში გამოჩნდა წვერიცა.  
დაჭრილი გონად მოვიდა,  
სიტყვას ამბოდა კვნესითა;  
— ნუ სტირით, ოქვენი ჭირიმე,  
სანამ ყურებში მესმისა,  
ეს ჩვენი საქმე გახდება  
სალაპარაკო ქვეყნისა!  
ვინაც გამოთქვას ჩვენ ლექსი,  
ოქრო მიეცით ვერცხლიცა.  
ტანისამოსიც ჩააცვით,  
კოხტად შეკერეთ წესითა,  
ნეტავი, ცოტა სიცოცხლე  
იყიდებოდეს ფულითა!  
გაღამეხადა ქორწილი  
ლვინოცა მქონდა, პურიცა,—  
ეს ლა ამოთქვა ბეჩავმა,  
დადუშდა ენაც, გულიცა.

## დათვის სიზმარი<sup>58</sup>

დათვმა თქვა: სიზმარი ვნაბე,  
რაც რომ თავს გადამხდებოდა,  
სოფელში გადავიხედე,  
ტალიძ-ტალიკი ბიჭები  
თოფ-იარაღში სხდებოდა  
ნაგაზ-ნაგაზი ძალლები,  
ფეხის ჭლინკებზე ღვებოდა  
ისეთ წევში გადამავდეს,  
ორბი ვერ ჩაფრინდებოდა.  
ყველა ფრინველი მკორტნიდა,  
სვავი კი ძვლებით ძლებოდა,  
იმდენი ტყვია მომარტყეს,  
სხეულში არ ეტეოდა.

ვაი, რა მექნა საწყალსა,  
სიცხადეში რომ მწვეოდა,  
მართლაც და ჩემი სხეული  
ტყვიებით დაიწვებოდა.  
მაგრამ ყოველი სიზმარი,  
განა როდისმე ხდებოდა?  
რომ მომხდარიყო, ქვეყანა  
ათასჯერ დაიჭირდა.



## მუზემისი ქალა-ვაჟის კაციობა<sup>59</sup>

- ქალო, რად მოხველ ჩემთანა  
უცხო და უმეცარია?
- მე იმით მოველ შენთანა—  
რა რიგ სჭექს ავი დარია.
- ნაბადი მაჭუ საფარი,  
არ გავარდება ნამია.
- მეც იმით მოველ შენთანა,  
ევებ გადავრჩე მშრალია.
- მთიული როგორ დაგინდობ,  
განა ფიც-ვერცხლი ვჭამია?
- რას ამბობ, ბიჭთან წოლასა  
აღარც მენა ვარ ხამია.



## ခေါ်စံဒုဂ္ဂန္တလွှာ<sup>၆၀</sup>

ကုန်မျာပါတ ဇူလိုင်၊ ဂာတ္တာနဲ့  
မြို့သီရိမာမ ဇူလိုင်၊ ဂာတ္တာနဲ့  
ဂလ္ဗာနဲ့ ဂာမြောက်မျာလှ  
သာနဲ့ ဇူလိုင်၊ ဂာတ္တာနဲ့  
ဂုဏ်စံဒုဂ္ဂန္တလွှာ၊ ဟာမြောက်မျာလှ  
ဇူလိုင်၊ ဂာတ္တာနဲ့  
ဂုဏ်စံဒုဂ္ဂန္တလွှာ၊ ဟာမြောက်မျာလှ  
ရာမ် ဂာမြောက်မျာလွှာ၊ ဖုဒ္ဓာလ်  
စိန်မျာလွှာ၊ အောင် မြောက်မျာလွှာ၊  
သူမျာလွှာ၊ ရာမ် ဂာမြောက်မျာလွှာ၊ ဖုဒ္ဓာလ်  
မိန်မျာလွှာ၊ ဖုဒ္ဓာလ် အောင် မြောက်မျာလွှာ၊

შავი დღე დამაყენაო.  
და თუ არ მოხვალთ, იცოდეთ,  
ძლიერაც გაჯავრდებაო,  
ჩამოგივლის კე მათრახით,  
ვაი, ვინც შემოხვდებაო.



## ՑՈՒՑԱՅ, ՑԱՀԵԿԸՆ ԵԿՈ ՄԱՅԱ<sup>61</sup>

- ՑՈՒՑԱՅ ՇԵՔԵՐԸՆ ԵՐԾ ԲԱԺԱ.
- Ի՞նչ գոնդա?
- ԱՆԴԱ — ԲԱՑՈՄԿՎԵ ԿՐԱԼԱՏԱ.
- ԱՌ ԱՆԴԱ!
- ԸԵՇՈՒՆԱՎՐԱԼՍ ՑՈՒՑԱՑՈՒՐԵՑ.
- ԱՌ ԱՆԴԱ!
- ՇԵՑՈՒՆԱՅԱՎ ՑԱՌԸՆՈՎՈՒԹԱ!
- ԱՌ ԱՆԴԱ!
- ՑԱՄԿԳԱՌԿՈՑ ՑԱՌՀԵՑՌՈՒՆԱ.
- ԱՌ ԱՆԴԱ!
- ԽՍԱՀ ՑԱՄԿՈՇԵՑ ՑԱՂԻԱՑՈՒՆԱ.
- ԱՌ ԱՆԴԱ, ՑՈՒՑԱ, ԱՌ ԱՆԴԱ!

- — მე დაგიწნავ ხუჭუჭ თმასა.
- არ მინდა!
- მე ჩაგაცმევ ტანსაცმელსა.
- არ მინდა!
- მე მოგიტან წყაროს წყალსა.
- არ მინდა!
- არ მოგაკარებ ნიავსა.
- არ მინდა ბიჭო, არ მინდა!
- მძივ შეგაბამ ბროლის ყელსა.
- არ მინდა!
- ფეხთ ჩაგაცმევ ფაჩუჩებსა.
- არ მინდა!
- ჩამოგკიდებ საყურებსა.
- არ მინდა!
- მოგართმევ ოქროს ბეჭედსა.
- არ მინდა, ბიჭო, არ მინდა!

- სახლს მოგიწყობ საკუთარსა.
- არ მინდა!
- ქვეშ დაგიგებ ხალიჩასა.
- არ მინდა!

- კონტად მოვრთამ დერეფანსა.  
 — არ მინდა!  
 — დაგაშგვანებ დედოფვალსა,  
 — არ მინდა!  
 — და მეც განაცვალებ თავსა.  
 — არ მინდა, ბიჭო, არ მინდა!

—:

- გოგოვ, რათ მიღობავ გზასა?  
 — რა ვიცი!  
 — რათ არ ნდომობ ასეთ ქმარსა?  
 — რა ვიცი!  
 — რათ მიშორებ მე საწყალსა?  
 — რა ვიცი!  
 — რითვინ მისხამ ცეცხლზე წყალსა?  
 — რა ვიცი, ბიჭო, რა ვიცი!

—:

- იქნებ ჩემ გარდა სხვა გინდა?  
 — არ მინდა!  
 — იქნებ ტატეს ბიჭი გინდა?  
 — არ მინდა!  
 — იქნებ გიგლას ბიჭი გინდა?  
 — არ მინდა!  
 — ბასილაანთ ბიჭი გინდა?

— არ მინდა!

— მას უყვარხარ, შენ არ გინდა?

— არ მინდა, ბიჭო, არ მინდა!

— —

— მაშ მახვიე ბროლის ყელსა.

— არ მინდა!

— დაგიკოცნი შავ თვალებსა.

— არ მინდა!

— წელზე მოგახვევ კლავებსა.

— არ მინდა!

— რძლათ დაუჯე დედაჩემსა.

— არ მინდა, ბიჭო, არ მინდა!

— —

— გაღმოსახლდი, გოვოვ, ჩვენსა.

— არ მინდა!

— ბედს დამწიე სანატრელსა.

— არ მინდა!

— წყლის მაგივრად გასმევ რძესა.

— არ მინდა!

— შენ განაცვლებ ყველაფერსა.

— არ მინდა, ბიჭო, არ მინდა!

- :
- ვახმე, დედა ჩემის ღმერთსა.
  - რათა, ბიჭო?..
  - საქმეს ვიზამ საძაველსა.
  - რათა, ბიჭო?
  - შავად გამითენდა დღესა.
  - რათა, ბიჭო?
  - ლანით გადავიხსნი მკერდსა.
  - რათა, ბიჭო?
  - ვეთხოვები დედაჩემსა.
  - რათა, ბიჭო?
  - გეთხოვები ჩემსა მზესა!
  - რათა, ბიჭო?
  - ჩემსა გულის საყვარელსა!
  - ვაიმე, დედა, რათა, ბიჭო?

—:

- მკვდარი მაინც შემიზრალე!
- ვაიმე, დედა!
- ცრემლით კუბო დამიბანე!
- ვაიმე, დედა!
- ყვავილებიც დამაყარე!
- ვაიმე, დედა-
- საფლავზეც შემოისწო!

— ვაიმე, დედა!  
— და ხანდისხან მომიგონე!  
— ვაიმე დედა, რათა, ბიჭო?  
(ვაჟი ღანას იძრობს და გული უნდა გა-  
იგმიროს, მაგრამ ქალი შემოეხვევა—იმ-  
შვილებს და ეუბნება).

ეგ ამბავი, ბიჭო გია,  
გენაცვალე!

დღეს პირველად შემიტყვია,  
გენაცვალე!

აქ სამოთხე მოჩანს ლია,  
გენაცვალე!

და რას ეძებ საფლავშია,  
შემოგევლე, გენაცვალე!

ჩემი თავი გვყვარებია,  
გენაცვალე!

ჩემი თავი, მაშ შენია,  
გენაცვალე!

ჩემი გულმკერდიც შენია,  
გენაცვალე!

ჩემი ტუჩებიც შენია,  
გენაცვალე!

ჩემი თვალებიც შენია,  
გენაცვალე!  
ჩემი სიცოცხლეც შენია,  
შემოგევლე—გენაცვალე!..

### ვ ა ფ ი

გოგოვ, სიკვდილს დამიტესენი,  
გენაცვალე!  
დაგიკოცნო, მამე ხელი,  
გენაცვალე!  
მაშ რათა თრთი, ნუკრივითა,  
გენაცვალე!  
რათ თრთი მინდვრის მტრედივითა,  
შემოგევლე—გენაცვალე?

—:

მომეყრდნე და მომეყარი,  
გენაცვალე!  
შენ ცოლი ხარ და მე ქმარი,  
გენაცვალე!  
მაშ, რათა კრთი ნუკრივითა,  
გენაცვალე?  
რათ კრთი მინდვრის მტრედივითა,  
შემოგევლე—გენაცვალე?

## ნეფშვეტები<sup>62</sup>

კოხტა ტყავი შევიკერე,  
კოხტად დამაღგა ტანზე,  
ხორველას ხმა შემომესმა,  
გადავირიე ჰქვაზე.  
შინ წამოსვლა დავაპირე,  
ჯოხი გავიდე მხარზე,  
წინ ვაცი გამოვიმდლვარე,  
როვორც ირემი მთაზე.  
იგრე მოდის ჩემი ცხვარი,  
როვორც მაჭარი ლარზე,  
ქალაქში რო ჩამოვედი,

ჯარი დამხვდა მე გზაზე,  
ერთმა პირტიტველა ბიჭმა  
შარი გასწია ჩემზე,  
თოლში პატრონა ჩააგდო,  
ცოტას გამიღვა ვანზე,  
დამიჩოქა და მესროლა,  
დაშასო ძუძუს თავზე  
დედას ბიჭი გაუგზავნეს—  
შვილი მოვიკლეს გზაზე...  
მოდით, ნახეთ ჩემი უბედურება,  
ჩემსა სატრფოს ჩემი არ ეყურება,  
მე ის მიყვარს, ის სხვას ეკურკურება—  
მოკლა გული, მოკლა მისმა ყურებამ!

— : —

ყენი რო წამოვიდა,  
მთა და ბარი გადმოლახა,  
აქედან ტფილისს ჩავიდა,  
ნაომარი ვერა ნახა  
ხიდს ასწია ავლაბრისას,  
შეა მტკვარში გადაუძახა.  
ყმაწვილების კალო ლეწა,  
ოროველა შემოსძახა.

## ლოგინის ჩაბაასება <sup>63</sup>

ფარდაგმა თქვა: „ძირს ვაკლივარ,  
ზურგის ძვლები მიცივდება“.  
მას ლეიბმა უპასუხა:

„შენ წუწუნი არ გიხდება,  
იმისთანა შენსა მტერსა,  
მე რომ საქმე მღმართება,  
ტვირთი ზედ რომ დამაწვება,  
ზურგზე ტყავი აღარ მრჩება“.


მუთაქამ თქვა: „ვკარისკაცობ,  
სუკველაფერს ვუკვირდები,  
ცალი გვერდი სითბოში მაქვს,  
მეორეთი კი—ვცივდები“.

აქ საბანიც ჩაერია:

— მიკვირს, ძმებო, თქვენი ქება,  
ყოველ საჭმეს ჩუმად ვფარავ,  
რაც ნამუსით მომენდება“.

ბალიშმაც ხმა ამოიღო:

„მაგ ტრაპახით, რა შევრჩებათ:  
ალექსი და გაღაკოცნა,  
ემოდენა ვის შეხვდება?“



## სიკვდილი მითხოვს 8

დედავ, დედა-შვილობასა,  
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე,  
— არა შვილო, არ გენაცვლი,  
მამა გყავს და ინაცვალე!  
— მამავ მამშვილობასა,  
სიკვდილ მითხოვს, მეზაცვალე,  
— არა შვილო, არ გენაცვლი—  
დაი გყავს და ინაცვალე!  
— დაო, დაო და-ძმობასა.  
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე.  
— არა ძმაო, არ გენაცვლი,  
ცოლი გყავს და ინაცვალე!  
— ცოლო, ცოლო ცოლ-ქმრობასა,

სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე  
— არა ქმარო, არ გენაცვლი,  
საყვარელ გყავ, ინაცვალე!  
— საყვარელო, მოყვრობასა,  
სიკვლილ მითხროვს, მენაცვალე,  
— გენაცვლები შენსა მზესა,  
გზა საით არს, ჩამასწავლე.



## କାଥିର ଓ ପାତାଙ୍ଗ ମୁଦ୍ରା

1.


ଏହି ଘାରମନ୍ତରେ ମେଲାନିବାକୁ,  
ଅଶ୍ରୀକୁ ଉତ୍ତରମ ଧନ୍ୟଲାନିବା,  
ରା କାରଗିବା କାଳତାନ ଚିନ୍ମଲା,  
ଶୁଦ୍ଧିଶି କେଲାନିବା,  
ପାତ୍ରାରିକା ଲାଗିବିନାଇ,  
ସାରାପ ଉତ୍ତରମ ଧନ୍ୟଲାନିବା,  
ପାତ୍ରାତ୍ମାରାନ କାଳିବାଜାନି,  
ଚିନ୍ମଳିବି କାରାଲାଦ ଚିତ୍ତରାନିବା,  
ପାତ୍ରାରିକାନ ଦୃଷ୍ଟିବାନି,  
ବାଶିଲିବି ଅନ୍ତରଦେବାନିବା.

## 2.

წამოდი თავის წაწალთან,  
 მარტყას რაღა გძინაო?  
 სალამოს გაგახსნეინებ  
 ჩემის საყელოს ღილსაო,  
 გაგათბობ გაყინულასა,  
 ჩაგიყრი ჯამით თხილსაო,

## 3.


სახლის ანგელოზმა უთხრა  
 გარეშამას ანგელოზსა:  
 — აგებ კარგა მაუარო  
 ამ ჩემ საყმო სახელოსა;  
 წეფებ გაღაუსვა წელი  
 დედოფალის საყელოსა;  
 გალაღდება, შალლად არის,  
 იქ რო ვაშლებ დახელოსა



## କୁଳାଚୀ

ତୁମ୍ଭାଲେ ରାଜୁ ମାରିଲୁଏଥା, କୁଳାଚୀ,  
ଶାମାମନ୍ଦେଲାଙ୍କା ପିରାଲା,  
ଗାଇମ୍ବେଟ୍ରିଲା ଲିମିଲା,  
ନ୍ତ୍ର ଦାମିତ୍ତାଶେଥ ଦ୍ଵିରାଲା.  
ଦ୍ଵେରାଜୁଲ ମିନଦୋଳିଲ ଶାଖୁରାଙ୍କା,  
ଗଢ଼ାଶି ଦୋଗଦ୍ଧଗମାତ ମିରାଲା,  
ମନନାର୍ତ୍ତୁର ଶେବି ନାହିଁଲା,  
ଗୁଲ୍ଲେ ଫାରାଟି ମରଗମାତ ଶିରାଲା.  
ଶେବନ୍ତ୍ଯେତ ପ୍ରସିଦ୍ଧକବଳା ଦଲେଲାମ୍ଭେ,  
ପିତନ୍ତେବଳା କୁ କାମିରାଲା,  
ପଦନ୍ତେବଳା, ରାଗରାତ୍ର ସାନତ୍ତେଲା,  
କାର୍ତ୍ତିବାସ ଶେଷାର୍ଥିରାଲା.

სიცოცხლე შამბულებია,  
აღარ ღირს ჩემთვის ჩირადა,  
ხელთამც ავიღავ ხარჯარი,  
ჩემს გულზე ღასაღირადა.



გ ა ბ ა ა ს ე ბ ა მ

### პურა სოქვა:

მე ვარ ქებული,  
სუფრაზე ჩარიგებული,  
უჩემოთ კაცი არ ვარგა,  
თუ არის მირონცხებული.  
ვარ უფლისაგან ნაკურთხი,  
ნაწილში ამოღებული.

## ჭაღა სოჩვა:

ერთსაც მე ვიტყვი,  
მეც მოსავალში ვწერივარ.  
პურთან კა, აბა, სად მოვალ,  
მასთან რა დასაღრელი ვარ!  
მე არც არვინ მაკურთხებს,  
არცა ნაწილში ვწერივარ,  
მთოხნიან, ძირს მიჩიჩენიან,  
წვალებით მოსასვლელი ვარ.  
ვახელი ჭაცი ირ მწყალობს,

არ ჩამაკრავენ ცეცხლშია,  
იმერლის ცხონებაი ვარ,  
ჩამაგორებენ კეცშია.  
ვურიაშიაც მაქებენ,  
გავდივარ აფხაზეთშია.

## ლპინომ სორპა:

მეც ვარ ქებული,  
სუფრაზედ ჩარიგებული,  
უჩემოდ არვინ არ ვარგა,  
არც მეფე, არც დიდებული.  
პირ-გემოვნება კარგი მაქვს,  
საჭით ვარ დამშვენებული,  
უჩემოდ ლხინი არ ვარგა,  
ქორწილი შემოკლებული.



## მანგალის რომ ააშენეს 68

შანგალისი რომ ააშენეს,  
წყარო აღინეს მილითა,  
აღგანან კალატოზები,  
გვერდებს ულესენ კირითა.  
შიგა ზის ქალი ლამაზი,  
ხელებნალები ინითა,  
მეცხვარე შამაეჩვია,  
ყველს უზიდავდა სინითა.  
იმ ქალმაც ხელი შეუწყო,  
ლვინოს ასმევდა მინითა.  
მეცხვარემ გამოუცხადა  
თავის ბეჩავის პირითა:  
—ნეტავი, ქალო ლამაზო,  
შენთან გამაძლო ძილითა.

ქალმა შესწყევლა მემცხვარე,

თავის ლამაზის პირითა:

— მემცხვარევ, ცხვარი გაგიწყდეს,

შიგ გარეული ვირითა!

ახლა მემცხვარემ შესწყევლა,

თავის ბეჩავის პირითა:

— მანგლისიც ამოვარდება

ქვა, აღარ იდვას ძირითა!

ქალი მტერს ტყვედ წაეყვანოს,

ვაი, ვაგლახით, ჭირითა.

უკან მოსდევდეს საქმარო,

თავისი დამბლა ვირითა!

მეცხვარეც უკან მისდევდეს,

თეთრი მიქონდეს ჭისითა.


დაეხსნას — წამაეყვანოს,

დაფა-ზურნითა, სტვირითა.



## გაშენებულო მარტყოფო

გაშენებულო მარტყოფო  
ნოროს ყურძენის მტევანო!  
მანდ რომ ქალი დავიკარგე  
განჯას აღარა ვჭევარო.  
საიამური მაცვია,  
წითელ ქოშებზე ვდგევარო,  
დღისით მიყრია ბორკილი,  
ღამე ორს შუა ვწევარო.  
შეკრიფეთ თითო მანათი,  
მიხსენით, თქვენი ტყვე-ვარო.



## თ უ მ რ ს ი ღ

დახულავდება არწივი,  
მთით ბარად ჩამოვარდება,  
გაინავარდებს ჭალაებს,  
ტყე გაბერტყილი დარჩება.  
შენსა მოსტაცებს ციკანსა,  
საღილად სანამ დაჯდება,  
ღვიძლსა თვითონავ შესჭამდა,  
ლეში ყვავ-ყორანს დარჩება.  
დილას რო კარგად გამოველი,  
მთას ქარებულად კიოდა.  
მე მონადირე მეგონა,  
იმას თუ ღვიძლი სტკიოდა!  
გულზე ეშვ წითელ ისარი,

სისხლი ყიამდე ზღიოდა.  
სისხლი ყიასა ნადენი,  
გულის ფიცარსა სღიოდა.  
გულის ფიცარსა ნადენი,  
მუხლის კუშტავთა ზღიოდა,  
მუხლის კუშტავთა ნადენი—  
ფეხის ტერფებსა ზღიოდა.  
ფეხის ტერფებსა ნადენი,  
ბორცვს გველებურად ზღიოდა.  
ბორცვს გველებურად ზღიოდა,  
ჭალასა ტბა დაღვებოდა!




## წუხელ ლაშქრიდან მომივიღ 71

წუხელ ლაშქრიდან მომივიღ,  
შუა ლამისა დროსაო,  
შეწყრომნით შემომიძრახნა:  
—ბოზო, გამიღე კარია!  
ავდექ და სამთულ დავანთე,  
იმავე თვალის წამზეა,  
ოქროსა სკამი მაუდგი,  
—აქ დაბძანდ, ხორომზესაო!  
— ხორომხურუნთა არ ვიცი,

ბოზო, მიღმართე ძმათაო!  
ყველი და პური მაუდგი,  
— ეს ჭამე, ხორომზესაო!  
— ხორომზურუნთა არ ვიცი,  
ბოზო, მიღმართე ძმათაო!  
ავდექ და შავრა შევკაზმე,  
შავთა შევკიდე გზათაო.  
შოვიხედე და მომდევდა,  
შოაპრიალებს ხმალსაო.  
დავჯერი, ჩოქი მოუგლი,  
— ნუ მომკლავ, ხორომზესაო!  
— ხორომზურუნთა არ ვიცი,  
უწყალოთ მოგჭრი თავსაო,  
— გადამავალო ყორანო,  
გადიღენ ჩემი ბრალია,  
გადადი, გადაუძრახენ  
ძმას ჩემსა ივანესაო!  
დასა გიკლავენ დანითა,  
საბრალო იცემს ვასაო.  
ჩემსაღა დედას უთხრიდი,  
იყიდნეს ჩემი თმანია,  
გძელია, არც რა გრძელია,  
შვიდეკეცი, შვიდი შხარია.

ღაჲე კიდოს ბეღლის ჩარფანსა,  
აფურია ალებდეს ქარია,  
ამოვ-ჩამავალ ქარავანს,  
ევალებოდეთ თვალია!




## თოფაა თქვეა ჩემსა პატრონსა

თოფმა თქვა: ჩემსა პატრონსა  
ჩემზეა მეტი რა უნდა?  
ერთი ჩახმახი ზეღ მეკრა,  
ერთი სულ ჯიბით დაჭონდა.  
ჩემი ნახოცი ნაღირის  
ლეში ყვავ-ყორანს გაჰქონდა...  
ბოლო დროს ერთი ვაც მოვკალ,  
შვიდი მტკაველი რქა ჰქონდა!  
თავადებსა და გლეხებსა  
სულ სანახავად დაჰქონდა.

## წუხელის სიზმარშია 73

წუხელის სიზმარშია  
ლამაზ ქალთანა მეძინა,  
ქვეშ მეგო ბამბა ბუმბული  
ზედ ორი ხაო მეხურა  
ნუ სტყუი, ბიჭო  
ნუ სტყუი,  
ცხვრისა თეოზე გეძინა,  
ქვეშ გეგო ნარი, ეკალი,  
ზედ ვირის ჩულა გეხურა.  
გვერდს გეწვა ძალლი გოშია,  
ხელ იმისდ გადაგეხვია!



## თაგვისა და კატის მანა

უსუსურებით აივხო  
ჯერ მთა და მერე ბარია;  
გაუჩნდა თაგვისა ხელმწიფე,  
დაყრქვეს კანაფარია;  
იმას რომ ცოლი მოჰვეარება,  
ბეწენიკ დედოფალია;  
აღგა გაგზავნა კუდრაჭი \*;  
აბეზარ ომი გვწადია.

\* თაგვია

## ქათამ მიუგო.

— არც შეგვიყრია ლაშქარი,  
არცა გვაქვს თქვენი თავია;  
აბანოთ მოგვირთმევია  
თქვენთვის ლამაზი ქალია;  
კუდრაჭი უკან დაბრუნდა,  
უახარებული არია—

— ადეჭით, აიყარენით,  
ყველამ აიღეთ ხმალია,  
წავიდეთ და იქ დავესხათ,  
სად კატის მოედანია.

გავწყვიტოთ იმათი გვარი,  
ვამრავლოთ ჩვენი გვარია!—


თაგვი და კატა შეიბა;  
ჯერ დილა იყო ცისკრისა;

თოფი ჰერეს, ხმალი ანტვრიგს,  
სიბნელე იყო ისრისა;  
ერთმა პატარა თაგუნამ  
თხუთმეტი ერთათ მისრისა.  
—იცოდე, შვილო, კანაფარ,  
ვისი ცხენია მალია!..  
ციცუნა წამოეწია,  
ბეჭზედ დაუსვა ხმალია,  
მას ამასობაშია  
იქ მოკლეს კანაფარია.  
დამიძახეთ ლოკოკინას,  
ფეხმალია და ჩქარია,  
უნდა გავგზავნო ისპაანს,  
წყალსა მოიტანს მალია.  
ეს ლოკოკინამ გაიგო,  
მაგრა დაკეტა კარია.  
—მე დღისით არ ვიარები,  
თუ არ წვიმა ავდარია.  
მერმე სულ ამას ამბობენ.  
სულ სიცხე, გვალვა არია.

## დათვის სიზმარი<sup>75</sup>

დათვმა სთქვა: სიჰმარი ვნახე,  
რაც რომ თავს გაღამხდენოდა;  
სიმინდი ბევრი შავჭამა,  
ხილად არ გამიხდებოდა.  
მეღორეს ტყეში გადაველ,  
იქ ღორი მეგულებოდა.  
ერთი ბურვაკი შევჭამე,  
ვიცოდი, არ შემრჩებოდა.  
სოფლის ბოლოს რომ მოვედი,  
შხამალაც შემერგებოდა.  
ლარაზ-ლამაზი ბიჭები  
თოფ-იარალში სხდებოდა.  
ლაგაზ-ლაგაზი წევრები,

ფეხის ფრჩხილებზე დგებოდა.  
გამიგდეს ისეთ მინდორსა,  
თვალიც ვერ გაუწვდებოდა.  
ისეთ ხევ-ხუკში ჩამაგდეს,  
ჭორი ვერ ჩაფრინდებოდა,  
დამაზილეს ბევრი ტყვია,  
სიკვდილი მამსურდებოდა.  
იქ დაღვა სისხლის მორევი,  
ზედ ნაგი მოცურდებოდა.  
მოვიდა ყვავი, ყორანი,  
სომდა და არ ილეოდა.  
ორბებმა გამინაშილეს,  
სფავი ძვალ-ძვულზე ძლებოდა.



## ქველი სიმღერა

ეხლანდელი დროების  
ეხტიბარი რა არის?  
ვისაც ბევრი ფული აქვს,  
ყველა მასთან ძმა არის,  
ქომაგიც იმდენი ჰყავს,—  
რაც რომ თავზე თმა არის,  
ასლანის \* კაციც იყოს  
იმის ხელ ქვეშ ყმა არის;  
რაც უნდოდეს ისრულებს,  
იმის ერთი თქმა არის.

\* ლომი.



## მინდოორში ალახ-ბალახის სული

—მინდოორში ალახ-ბალახის სული  
შეხ გიღის იაო,  
ამაღამ შენთან ჩამოვალ, იმედი  
დამიციაო.

გაღმოიარე ბანები, ღია დაგხვდება  
კარები.

სოფელში ისე შემოდი, ძალლი არ  
გაახმიანო,

ცხრა კარი ისე გააღე, ერთი არ  
გააჭრიალო,

ნაბიჯი ისე გაღმორგი, ჩალა არ  
გააშრიალო.



## სბასალონი და ეთერი<sup>78</sup>

ზეცას რომ ქრისტეს უანა დგა.  
ბრინჯაო გაღვა ნათელზე,  
ჰედ ბრუნავს ქარის წისქვილი,  
მეპატრონე ჰყავს ეთერი.  
—ეთერო, მხარსა შეგიყრამ,  
მწვანე ქათიბის სახელე.  
აღეჭი, ქალო გამომყევ,  
დავლლილვარ შენის ძებნითა.  
—ღამშორდი, ელურსამელო,  
არა ვარ შენი შემფერი.  
შენ დიდი ხარ, დიდებული  
ყველა ქვეყნიდან ქებული;  
მე აბოლი, გლეხების შვილი,

თბლიობიდან დაჩავრულო;—  
გაპ თუ ბოლოს მიღალატო;  
გამწირო წყალ-წალებული!  
—ეთერო. შენს მოღალატეს  
ხიდი წყალში ჩაუტყდება.  
იალბუზისა მინდორსა,  
დაუღამდეს იქ დარჩესა,  
მოწყურებულს წყაროს წყალი  
დაწაფებულს გაუშრესა,  
მტრისთვის გაქნეული ხმალი,  
ვადაზედ გადაუტყდესა—  
თუ მაგასაც არ მიჯერებ,  
ღმერთი მაღლა გაუწყესა!  
ჩვენავ გაცმართოთ ქორწილი,  
ჩალა დავიბაროთ მრავალი,  
შაგათ გამართეს ქორწილი,  
მოვიდნენ ბიჭის მაყრები,  
პირდაპირ ჩამოჯდ შერეი,  
გულს ჩაუვარდა ეთერი.  
მან მისცა სული ეშმაკებს.  
მე გამომირთვით ეთერი.  
შეულოციან წყეულებ,  
რა კი არ შეუძლიანო.

ეთერს ჩასხა კბენარი

ათას ნაირი ფერიო.

რამდენსაც იცვლის სამოსსა

იმდენი უფრო მრავლდება.

აღგება ელურსამელი,

თავთ მოიხადა გვირგვინი:

ვის გინდათ ქალი ეთერი,

მზე დილა, ვარდ—მომავალი!

—შერესა მიეც, ბატონო,

შინა ყმა ვარ და მსახური.

შერეი დაქორწილდება

ამ უცხო ქვეყანაშია.

ერთი თვის განმავლობაში

შინ მოვიდოდა შერეი.

—შერევ, შერევ, შენსა მზესა,

შენი ცოლი რა ფერია?

—რასა მკითხავ, ცათა სწორო,

ცოლის ქება აუგია!

ხომ გინახავ ბროლის ციხე,

წვერი ცამდის მაღალია,

შიგა ზის ქალი ეთერი,

ბროწეულის ყვავილია

გვერდით უსხედან სამნ მულნი

როგორც ცისა ანგელოზნი,  
თავთან უზის ღეღამთილი,  
აბრეშუმის საცერია!  
კართან უწევს მამამთილი,  
გველეშაპის მყლაპავია!  
იქვ უდგენან ცხრანი მაზლი,  
დალესილნი აღმასნია!  
მათ შუაში ეთერი ზის,  
ყელი მოუღერებია.  
ყელ-ყური ძძივით სავსე აქვს,  
შიგ გუშერიც ურევია!  
ლოყა ვარდი, კბილი ბროლი,  
ბაგე ხახვის ფურცელია.  
წარბი წვრილი, შუბლი ბრტყელი,  
საფეხქელიც მალალია...  
რაღა ბევრი ქება გითხრა—  
ისევდელი ეთერია!  
ავათ გახდა ელურსამელ,  
ეთერის სიყვარულითა.  
დედ-მამა საჭმელს უმზადებს  
ათას-ნაირი ფერია.  
შავსა შეხედავს ღვინოსა:  
დაგლევ და გულსა ღამიწვავ

ეთერის სიყვარულითა!  
თეთრსა შეხედა ქაღასა,  
რა ლამაზი ხარ ქაღაო,  
შეგვამ და გულსა დამიწვამ  
ეთერის ტირილივითა!  
— ძმავო რა გტკივა, მითხარი,  
რითგან ხარ ავაღმყოფიო?  
წავალ და იმას აქ მოგვერი  
წყალსა ჩავყვები მღინარსა!  
— წალი დაო და უთხარი:  
ეთერის ნახე კარიო!  
აღგა წავიდოდ მარიხო,  
ეთერის მოსაყვანადა.  
სახლს გარე შემოუარა,  
დაურაკუნა კარები.  
— დაგძინებია ეთერო,  
მთვარეს .გიგვანდა სახეო!  
— დამშორდი, შუქურ მარიხო.  
რას ფილაფოზობ ენითა.  
განა შენ არ იცი, რა მიყო,  
თქმა რაღათ გინდა ჩემითა?  
უფლის ნაკურთხი გვირგვინი,  
თითონ უბოძა სხვასაო!

— რა დაგემართა ეთერო,  
გზა გავცვით სიარულითა,  
სამი თვე გზაზე დამელივ.  
მარტი, აპრილი, მაისი,  
გზაზედ დაგიგებ ხალიჩსა,  
ფეხ არ გალახო ქვიშაზე,  
თავზე დაგადგამ ოქროშკედს,  
შუქ არ მოგადგეს მზისაო!  
აღვა, წაყილოდ ეთერი,  
მოყვარის სანახავალა,  
კიბეზედ ფეხი შემოდგა,  
დაიძრა სახლის ყავარი.

— შიგნით შემოდი ეთერო,  
მოკლედ გაქ შემოსავალი

— მე შიგნით არას შემოვალ,  
ძმებთ დამაბარა მრავალი!

— ძმაო, მოვიდა ეთერი,  
თუ-ლა თვალზე გაქ. ნათელი

— ეთერსა ჩემი ნახვითა,  
ცხენი უბოძეთ საღარი,

ჭვიციც თან გააყოლოდეთ,  
გავა-ბრტყელი და მაღალი,

— ეთერსა ცხენი რათ უნდა,

უბოძეთ ქაშარ-ხანჯლი  
ვაი, ოთ მოყმე დავკარგე,  
აწლად წვერ შემოღინარი!  
მოყვარისეულ დანაო,  
ჯიბეს მიძევხარ თანავო.  
ამოვიღებ და დავიცემ,  
მარჯვენა ძუძუსთანაო!  
ჩვენ სამზეოს მდვომიარენი,  
სულეთ ხომ ცხონდებიანო.  
ჩვენ ერთად დახოცილები,  
ერთადა დავვმარხიანო!  
გზის ძირას იმარხებიან,  
გზის თავამ დავვმარხიანო  
ჩვენ შუამ წყარო დიოდის.  
შიგ ვერცხლის თასიმ ღვიანო:  
ამოვ-ჩამოვალ ჭარავან —  
შენდობამ ჩვენზე თქვიანო.  
ეს ორნი მდობიარენი,  
სულეთსამ ცხონდებიანო!  
ემაგათ ორთავ საფლავზე,  
ზედ ვარდნი ამოდიანო.  
ვადახვეულან ბურჯლები,  
ვითა საყვარლის წესიო,

ამაგ შერესა საფულავზედ  
ზედ ნარი ამოსულაო.  
ღილით მოვიდოდ ვიჩები,  
საღამომდისინ ხრიანო,  
მობრუნდებიან, წყალს სმიან,  
ბურთებრივ დახდებიან!



## ასლან ხურდაჲულოვის ლათაია<sup>79</sup>

1.

ენახე მზე გულსადარი, ვსტირი, ვუი,  
მომფენი ხმელთა ზღვათ არი, ვსტირი,

ვუი,

მნათობლად ყოვლის გზით არი, ვსტირი,  
ვუი.

თანასწორი, მზის სადარი

მიჯნურთა საკვდავად მზად არი,

ვძებნი, ვერ ვპოვე, სად არი,

მკლას, ან მაკოცხლოს, სად არი?

ბრალი ჩემი, თაო ბმულო, ვსტირი, ვუი,

დაჩაგრულო, გულნაკლულო, ვსტირი,

ვუი,

აბხით დამწვარ-დადაგულო, ვსტირი,

ვუი.

შტკორცნა მან გულსა ისარი,  
გამყრელი ჩემის დღის არი,  
ანუ ბულბული რის არი,  
ვცან სირინოზი ზღვის არი.

მხილველთ დარდო, ყოვლ გზით მარდო,  
                                ვსტირი, ვუი,  
უძვირფასესთ შენაფარდო, ვსტირი, ვუი,  
შენ იცოცხლე, მე ვიდარდო, ვსტირი,  
                                ვუი.

როს დავინახამ, სულო და,  
ვიტანჯვი შენთვის, გულო და,  
ედემში აღნარგულო და,  
საყნოსლად, თაიგულო და.  
თვალი შენს ნახვას ელისა, ვსტირი,

                                ვუი,  
მოხვევნა შენის წელისა, ვსტირი, ვუი,  
ჭირიმე ბროლის ყელისა, ვსტირი, ვუი.  
როს ვნახე შენი ჭირი მე,  
ვზი დღედაღამე, ვსტირი მე,  
მე მაინც შენი ჭირი მე,  
ნება მეც შენთან ხშირი მე...  
მთვარეო, თორმეტის დღისავ, ვსტირი,  
                                ვუი,

დამჩაგვრელო. კომეტისავ, ვსტირი ვუ,  
უმჯობესო სხვათ მეტისავ, ვსტირი, ვუ. მყავ შენი მტრფობი მონადა,  
ქვეყნად მაქებელ მრონადა  
მე სისწმრად მომეზმანადა,  
შენს ყელზედ დამაკონადა.

2.

მოხედე გულსა, შენგან დაგულსა,  
შენ განაცვალებ სულსა და გულსა,  
მოეც ლხენანი ამ ჩემსა წყლულსა,  
ვიღრე ეშველო სევდითა რთულსა..  
ქცევანი მამეწონა მე,  
ორთ ნარინჯთ დამაკონა მე,  
მასთან მსურს სიმღერა მე,  
ოუ მოთქმით გამეწყო რამე.  
ეც გულს ფონება,  
დაკონება,  
არ ვყო ლონება.

მეშინის, კარნი მექშოს ლხენისა,  
ჩემის საყვარლის გამოწყენისა,  
მომკლამს, მაცოცხლებს მე ისევ ისა;  
არ მყოს შერისხულ ჭირიშემისა.

შოვარე ხარ მანათობელი,  
სიცოცხლის მომცემებელი,  
ბულბულთა მალხინებელი,  
წყნარის ალერსით მქრცეველი.  
ტანად სარო,  
სანათ ხარო  
მნათო, საღ ხარო.  
მას გევედრები, მნათო უფასო,  
ვარდო, შენი ხმა ბულბულს უყვარსო,  
მე შენისთანა ურავინ მყავსო,  
გთხოვ შენის ბაგის შარბათი მასო.  
სიძლიდრით ხასო, მშვენი ხარ,  
ტრფიალთათვის საწყური ხარ,  
სხვათ მნათობთ შენ მირჩევნიხარ,  
მე წამლად იმედი მითხარ,  
ეც გულს ფონება,  
დაკონება,  
არ ვყო ღონება.



## დათვის სიმღერა<sup>80</sup>

დათვმა სოქვა: გუშინ ბარს ვიყავ,  
ძლიერა ვჭამე მბალია,  
ატმები შემწიფებულა,  
ყურძენს შესვლია თვალია.  
შევხედე ჩემსა ფერდასა,  
შემოჰვენია ცხვარია,  
მე და თხა დავიბლოტენით,  
თხამ დაიძახა „ვაია!“  
მეცხვარე გადმოეშველა,  
მხარს ედო შვინდის კავია,  
გადმომკრა, გადმომიშხუვლა,  
მომტეხა თეძოს თავია.  
აღმართო ამოეირბინე.

აღმართი ტალახიანი,  
წინ კაცი შემომეყარა,  
შადლიანი და ხვთიანი.  
კაცმა ხომ შინ შემიყვანა,  
ცეცხლი დამინთო ძლიარი,



## ბ მ რ ა ქ ა<sup>81</sup>

სოფელში ღავდით კარიყარ,  
ბერაკაობა ღამია.

სუყველგან ასე ვიძახით:

— ჩქარა გაგვიღეთ კარია!

ვერ გავჩერდებით კარშია

ღაგვყინავს, თოვნა-ქარია.

ბერაკას ნაბდის ნაჭერი

სახეზე ღაუფარია;

წინ უძლვის მცველი „ბელადი“,

უჭერავს ხმალი ფარია;

თუ ვინმე მტერი გაუჩნდა,

ვაი იმისა ბრალია!

ბავშებსა ჰკიდავ გუდები,

— მასპინძელზე აქვს თვალია.

გუდას მოიხდის, იძახის:

— ცოტა ფქვილ ჩაგვიყარია,

ყველი და ხაჭო ჩაგვიდეთ,

ხორციც მოგვეცით მალია.

ახალგაზრდები ყვირიან:

— არაუ ჩაგვისხით ცხარია!

მასპინძელ ყველა მზადა აქვს,

გველოდა დიდი ხანია.

გვითხრა: — რად დაიგვიანეთ,

მოვიდა შუა ღამია;

რამდენი ხანი გელოდეთ,

ვანშამი არ გვიჭამია.

გაგვიმასპინძლდა კარგადა,

ბერაკაზე აქვს თვალია,

უნდა რომ წვერი მოგლიჯოს,

მისთვის ეს გასახარია.

ბერაკას მცველი გვერდს უდგა,

ხელში უჭირავ ხმალია;

მასპინძელს ახლოს არ უშვებს,

ეს არის მისი ვალია.

ცოტა წვერ თითონ მოგლიჯა,

მასპინძელს მისცა მალია,

დალოცა მათი ოჯახი:

— გემატოსთ ღონე-ძალია!

შინ გამოგვიძლვა ბელადი,  
ბერაკათ წინამძღვარია.

უკან მივყევით იმასა

უველა კაცი და ქალია.

კარში სიმღერა დავძახეთ,  
ერთურთ მივეცით ბანია.

სულ მოვიარეთ სოფელი,

გავიდა კარგა ხანია;

დავდეჭით ბაინდურთასა

მთელის ხომლების ჯარია.

ლააცხვეს ხაჭაპურები,

მასპინძელი გვყავს ქალია.

შეორე დილაც გათენდა,

დღე მზიანი და ღარია.

აღარცა თოვდა წუხანდებს,

აღარცა ჭრიდა ქარია.

თოვლზე ეტყობა ნავალი,

იმ ღამინდელი კვალია.

ბერაკეებში მიღიანი

უველა კაცი და ქალია.

საღილობისას მეც მიველ,

სუკველა მოღიმარეო.  
ხინკლის მოხარშვა ამ ღღესა  
ჩვენი წესი და ვალია.  
ზოგი ხორცა ჭრის ხინკლისთვის,  
ზოგებს მოაქვის წყალია.  
ხინკალს ახვევენ სწრაფადა,  
აქეს ვინც უფრო ჩქარია.  
ერთმანეთ ეჯიბრებიან,  
ისმის ტკბილ საუბარია.  
ერთად ჩავყარეთ ერთ ქვაბში,  
ორას, სამასი ცალია.  
დაშლილა ძალიან ბევრი,  
ალბათ მოხვევის ბრალია.  
ვინაც აიღებს მთელასა,  
ყველა ამ ცდაში არია.  
ავიღე მთელი ხინკალი,  
ერთი, მეორე, სამია.  
მეოთხედ რომ ვაპირებდი,  
დამკრეს ქაფქირის ტარია.  
ხელიდან გამავლებინეს —  
ხინკალი „კოცხალ მკვდარია.  
ქაფქირიც ხელზე გადატყდა,  
ორად გაკეთდა ცალია.

განგებ დავიწყე ჯავრობა,  
— ეს რა ხუმრობა არია!  
ხონჩა ხელიდან გავტაცე,,  
უკან მომდევდა ჭარია.  
შეორე თთახში გავედ,  
შიგნით დავკეტე კარია.  
გაღმოსტენ ფანჯრებიდანა,  
არ დამაცალეს ხანია.  
არაყიც შემოიტანეს,  
ხილიც სხვადასხვა გვარია;  
მალე გარეთავ გავედით,  
უყურებთ, ყველა მოვრალია.  
ლული, ხინკალი, არაყი  
სუყველა უხვად არია.  
ვავმართეთ ცეკვა თამაში,  
ისმის ფანდურის ჩქამია.



## ქავის ლექსები <sup>82</sup>

ქალი ვარ, მქვიან ქალთა მზე,  
ქალური ვიცი ლხინია,  
ვაუკაცსა ვეძებ, არ ვარჩევ,  
პეტრე ჰქვიან, თუ ნინია.

ზოგსა კაცსა კაცი ჰქვიან,  
ზოგსა კაცსა — კაცუნაო.  
ზოგს დედა-კაცს, დედა-კაცი  
და ზოგს კიდევ — ცაცუნაო.

კაცის სიცოცხლე ზღვასავით  
გაქანდებ-გამოქანდება,  
შეხვდება შავსა დლეებსა,  
გული იქ გამოაჩნდება.

წუთი სოფელშა გამწირა  
და მომაშორა ყველასა.  
გული დუღს, ხმალო ამოდი,  
შენგანი ლა ველი შველასა.

თეთრი ცხენი და წითელი,  
ორივე გირბოლებია,  
შენი მტერი და ღუშმანი,  
ორივე გიბრძოლებია.

ყველა ბუზუნა დაფრინავს,  
თავს აწყვეტს, ძალზედ ბზუისო  
მაგრამ, რაც უნდა ეცადოს,,  
მეთაფლიასთან \* ტყუისო.

დავბერდი, დავჩაჩნაკდი,  
წვერი გამიხდა ჭაღარა,  
შინ ჯალაბთ მოვძულებივარ,  
გარედ უნდივარ აღარა.

როსტომ სთქვა: ყველა დაფრინავს  
ბუზი თუ ბუზანკალიო,

\* ფუტკარი.

ყანას თუ კაცი არა ჰყავს,  
დარჩება მოსამკალიო.


ნიავო წყნარად დაჭროლე,  
ფოთოლს ტაშ დააკვრევინე,  
სწორის არ გამტანს, უპიროს,  
ცხვირი სამ წააკვრევინე.

ვაი შენ წუთისოფელო,  
დაგცადე მრავალფერადა,  
ხორცო, გალალე; გასუქე.  
სულო გაღვიძეგ მტერადა,  
სული ვერც იმან მოიგო ,  
ვინც ოქრო დადგა ცერადა,  
და ჯალაბს მწარე ცხოვრება  
ტქბილად ვერ აუფერადა.




## ბ მ ბ მ ს<sup>83</sup>

გოგო, რა მშვენიერი ხაჩ,  
გულს რომ იყვავებ იითა,  
გიყურებ, ისრე ვკანკალებ,  
თითქოს თოტს მესვრი ტყვივითა  
ვარდი შიგ იყო ნარევი,  
ფირუზის ფერის მძივითა,  
ბულბულის ქუდი გეხურა  
მერცხლების ოთახივითა.



## ზუაველი ნაცარძემია

ფოთიალა მერცხალა გარ,  
ურძნის ჯოსივით ლიტაო.  
რა ცოლშვილნ დამეღევიან,  
რაის ამბავსა მკითხაო.  
ას კოდიანში ქერ მიძე,  
ორასიანში წმინდაო,  
კარზე მიბრუნავს დოლაბი,  
და ვფქვავ, რომელიც მინტაო.



## მისრიაშვილს 85

მოჰყვება დაღონებული,  
ცივის გომბორის ცერებსა,  
რა გიჭირს მისრიაშვილო,  
ნეტავ რა დაგაბერებსა.  
მაღაროს კარში დასჯდები,  
კოხტად დაიგრეხ წვერებსა,  
ქალაქით მოატანინებ  
ფარჩებსა უწინდელებსა.  
ლასტიკის საახალოხეს,  
მარიამ დაგიჭრელებსა.

მაგას საკაბეს მოუტან,  
არშიას მოიკერებსა.

ერთხელ ზომ კიდევ შეგხვდებით,  
წაგართმევთ ბევრის ცენებსა.



## ՅՈՒՅԵՅՈ ԸՆ ԱՌԱՋՈՒԹՅՈՒՆ

(անձնա զարուանքո)

Յա՞շի պատմա Տուշի մայլամա  
Մոծնո օարնա յլացանանո,  
Ցունագորս, լալաենա  
Ցոլոյնո ֆութինանո.  
Մամռեցը յոլացու տացնելո  
Կորունո չոնցը ծունանո,  
Չոնցսա տռոյ լակը նեխենսա,  
Ֆալս չախո յնա ըյունանո.  
Լամեթ լասմիրո մումեսա,  
Չնա զեր զարնա յլացանանո,  
Օարս վարս-սցոնտս,  
Գորնոս Շալամոնանո.

ჭრიაპს ვერ აბომს ფიცარსა,  
გზანია ბასრის კლდისანი!  
გაღუწყდა მონადირესა  
იმედი შინ მისვლისანი.  
მეორე მხრიდან მოესმა  
რაღაც უხრანი ქვისანი,  
ხან ქშენა ესმის, ხან ბორგვა,  
ხან ჰივის ვითა ციცარი.  
ყამი კი არ აქვს მოყმესა,  
მოყვრისა არცა მტრისანი;  
იქეტკენ მიღის, სითაცა  
ფეხის ხმა ესმა სხვისანი.  
გზას ვეფხვი შეხვდა ღაჭრილი,  
თვალნი არ იხსნა ხვთისანი;  
წელან იჩხუბეს, თუ იყვნეს  
მუქარან ერთუცისანი.  
შეიბნეს ვეფხვი და მოყმე,  
მაშინ დაიძვრნეს მიწანი,  
კლდე ზეით ჩამოინგრევა,  
შტონ დაილეწნეს ტყისანი.  
თავს დასტრიალებს ყორნები,  
არწივნი მაღლის მთისანი,  
ნატრობენ, რომელ დაგვრჩება

ამ მკლავნი ვაშკაცისანი.  
დრო აღარ მისცა მოყმესა,  
ვადან უწითნეს ხმლისანი,  
ფარს უფარებს და ვერ ფარობს,  
ვეფხვნი ჩქარნია კლდისანი!  
გაზით გაართვნა კალთები  
ჯაჭვისა ჯავშანისანი,  
იბრძვიან გამწარებულნი,  
თან ხელთ არა ჰქონ ისარნი.  
თანდითან გაცვლა კლდეზედა  
წვერები წრიაპისანი,  
ცამ თვალ დაუცა, განათღა,  
აჩნდეს ბილიკნი კლდისანი.  
ძირს უფსკრული და წინ ვეფხვი,  
არსალ მეშველნი ყმისანი!  
თვალი თვალს შიგ გაუყარეს  
ვით გატყორცნილი ისარი.  
მოყმემაც ხელში იყარნა  
ხეტარნი თავის ხმლისანი,  
მაშინ კი გასჭრა ფრანგულმა,  
დრონია წაჭცევისანი.  
ვეფხვი კლდეთ გადაეციდა,  
ჩამააწითნა ქვიშანი,

თავოდ კლდის თავზე შამოწევა,  
მოყმე, სულ-ამომდინარი.  
ქვიშას მიღებავს წითლათა  
სისხლი, ზედ ჩამომდინარი!  
ეინ ეტყვის იმის ღეღასა  
მუდამ კარს უდგან მისანნი.  
უერთოდ არ დაიხარჯენეს  
თქვენ მონადირის ისარნი.  
ღეღამ შეიტყო სიკვდილი,  
სტიროლა მაღლა ხმიანი.  
—ჩემს შვილს გზას ვეფხვი შეჰყრია,  
გაჯავრებული, ტიალი,  
ჩემს შვილს ხმლით, ვეფხვსა

ტოტითა,

დღეც დაუბნელდათ მზიანი!  
დაუხოცია ერთუცი,  
ვეფხვს როგორ სძლევდა ხმლიანი?  
ტირილით წყრულებს უხვევდა  
ვეფხვის დაჭრილსა კლანჭითა,  
—შვილო, არ მოჰკვდი, თუ გძინავს  
დაჭანცული ხარ ჯაფითა,  
ეგ შენი ჯაჭვის კალთები  
იმ ოხერმ როგორ დაფლითა?

შენც იმის საუერ ყოფილხარ!  
ხმალი ქნევაში გაგიტყდა,  
მარტო შენ შეხვდი დაჭრილსა,  
იქ მეშვეო კაც ხომ არ იყვა  
მწუხარიდან გათენებამდის  
ომი გქონიათ მწარია,  
არც იმან მოგცა ბევრი დრო  
და არც შენ დააცალია,  
ვეღარც შენ დაგითარებავ,  
შენ ხელთ ნაჭერი ფარია  
და ვერც ვეფხვმ ტოტებ იტმარა,  
ხმალმა დაკუჭა ძვალია.  
დღეს იქით ძღარ გატირებ,  
არა ხარ სატირალია!  
სალაშქროდ, სამეკობროდა  
არ იყავ საწუნარია!  
მშვიდობით, ჯვარი გეწეროს,  
ეგაც სამარის კარია.  
ზედ დაეკონა სსფლავსა,  
ცრემლი დაღვარი ცხარია.  
—აქნამდე მაინც გაგზარდე  
ვეფხვებსთან მეომარია!  
ვული მთლად გამოეცვალა,

ლხინი მიაჩნდის ჭირადა,  
ხან თავისი შვილი, ხან ვეფხვი,  
ელანდებოდეს მძინარსა.  
ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს  
ტანზეღით პყრიდის რკინასა,  
ხან ვითომ იმის შვილმ აძლივის,  
კლდეთ გადაჰკიდის ყირასა.  
აი მავ სიზმრებს ხედავდა,  
გამაელვიძის მტირალსა;  
ხან იფიქრებდა: უდელოთ  
ვინ თქო, გაზრდა შვილისა?  
იქნება ვეფხვის დედაცა  
ჩემებრ დღელალამ სტირისა?  
უნდა წავიდე მასთანა,  
სამძიმარ უთხრა ჭირისა,  
ისაც მიამბობს ამბავსა,  
მეც უთხრა ჩემის შვილსა  
იმასაც ბრალი ექნება,  
უწყალოდ ხმლით დაჭრილსა.



## რწყილთან ბრძოლა<sup>87</sup>

მე და რწყილი შავიყარენით,  
დაბრუნდა კოდო-ბრალია.  
ხმლებითა ვეცით ერთურთსა,  
სისხლისა მიღის წყალია.  
კინალ დავლუპეთ დედმამა,  
კინალ დავცენით ცანია.  
იღუმალ მოვკალ ბოლოსა,  
გაქონდა სისხლის ღვარია.  
კაც მომიგზავნეს წუხელა:

„შური გვაქვს საძებარია!

ან გვიზღე დახოცილები,  
ანად გადადევ თავია!“

გავჯავრდი, გაუსალთავდი,

სულ ყველა მოვიცალია

და შეუთვალე: „რაც მოხდეს  
ოქვენ გედვასთ ცოდო-ბრალია!“

ბრძანება გასცეს, მოვიდა.

მთელი წყილეთის ჯარია,

პირაღმე შემოემართნენ,

უნდა დავლახნეთ მთანია.

ზოგნი ჭყლისას მოვიდნენ,

აქ უსახელო გზანია.

ზურგში დამარტყეს ობისკი,

კამანდრობს აფიცარია.

იქ სხვა კი ვერა იპოვეს

მოთხარეს ზურგის ძვილია.

წინ მზვერავები გაგზავნეს,

რომელიც მუხლად ჩქარია.

თვალი შევასწარ კისერში,

დგანან ლომივით ძმანია.

ყურისთავს ცეფი გააბეს,

ორად გაიყო ჯარია.

ხელის შექცევა ვიფაქრე,  
ფრჩხილს გაუსინჯე ფანია,  
რწყილების მთავარ გენერალს  
გავაგდებინე თავია.  
ვავწყვიტე მთელი ლაშქარი,  
მკვდარზე შევყარე მკვდარია



## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ფშაველო, ხვეწენ ისარნი,  
აღარას გარგებს ხვეული;  
უერთოდ არ მოგეშვება  
ერისთვისშვილი წყეული.

ხევსურო, სმალი გალაღებს,  
ფშაველო, ენა გრძელიო.  
მაჟარი\* გუდამაყრელო,  
ტყვია გამუდის ცხელიო.  
სმალმა თქვა: ჯანგმა შამჭამა  
ჯაბანმა რამამ ჩამაგა,

\* თოლი

ნეტავინ პირშიშველასა  
წვერუსვეველ ყმას შამაპა.  
რო შამიტანდა ომშია,  
სისხლის მორევში ჩამაგდა.

ჯაჭვმა თქვა სამალქანურნა  
„ქალთა ამასხას თითითა,  
წამიღოს ჩემმა პატრონმა,  
ჭალას გამრეცხოს ქვიშითა.  
ომჩი შასაეს ჩამიცვას,  
ფიქრი ნუღარ აქვ შიშისა,  
ხმალნ კი ვერ დამაშინებენ,  
შუბნ კი გამხევენ. შიშითა,  
ცხენის ტახტაზე დამკიდოს,  
თუ ვერ მზიდევდა კისრითა.

ქალნი ქალაქში მოვიდეს,  
თვალებ შაუგავ მწყერსაო,  
ერეპლეს დაუბარებავ:  
„დებ, ნუ. შაირთავთ ქრმებსაო,  
ხევსურებ ჩამამივიდან,—  
მტერსა ვავადენ მტვერსაო“.

ქალთ, ქმარ შაუბატივე,  
ხმა ლაშქრობისა ვარდება,  
ვრძელია სათარეშოი,  
ცუდა გყავ, დაგივარდება,  
სწორ დაუწყებენ გმობასა,  
შენ გული გაგიავდება.



## ტუტებს ლექსი<sup>89</sup>

თიბათვისა ამ ოც დღესა, ტუტკა  
ჭალალდოს აკეთებსა,  
მივა ისაკას შესჩივლებს: ვაი, ჩემ  
გაჩენის დღესა!  
თუნდ, რომ მქონდეს ბევრი სარჩო,  
მაინც არ მაღრიან სხვებსა.  
უღვთოდ სული არ ამოდის, თორემ  
გამოვიჭრი ყელსა.  
დარომ მოკლა ჩემი გული, გავხდი  
უკანასკნელ დღესა.  
შაჟანკლებიც რომ მოღალა—ვერც  
ერთი ვერ მოახდენსა.

სასიმამრო ყაბულს იყო, სიდედრი  
უშლიდა ხელსა.

ბიჭებსაც ყრილობა პქონდათ შაბათსა  
და კვირა დღესა—

ისე დათვრენ ეს ბიჭები, ვეღარ  
სცნობენ ერთმანეთსა.

ზოგს იფნის სახრე უჭირავს, ზოგი  
კეტებს ამზადებსა.

ეს ფირაანთა მიხაი—ბელადათ წინ  
გაუძლვესა,

ლუკა უკანიდან მისდევს, კეტსაც  
მხარზე გაიდებსა.

შუა ღამე რომ შეიქნა, ილიკო  
დაუძახებსა:


—ნათლიდედ—კარში გამოდი, სიტყვას  
მოგახსენებ ერთსა!

მაშინ ფიცხლავ წამოტტება, კარებს  
მარდალ გაუღებსა.

ასე ევონა დაროსა—სტუმრები  
მოდიან ჩვენსა.


დარომ ტუტკა დაინახა—შიშისგან  
გადაჰკრავს ფერსა.

— მე ვარ ტუტკა, ნუ გაქს ფიქრი!  
     გულზედაც გადუსვამს ხელსა.  
 ისე მიაქვეს ტუტკას დარო, როგორც  
     ცხვარი მიაქვეს მგელსა,  
 — დედი, ჩქარა მომეშველე, თორემ  
     გამოვიჭრი ყელსა!  
 — შვილო, როგორ მოგეშველო,  
     შენამდი ვინ მომიშვებსა?  
 წოვს კაბის კალთა უჭირავს, ზოგი  
     კეტებს მიღერებსა!  
 პიჭებსაც ცილობაი აქვთ — ჩვენ მოვ-  
     კიდებთ დაროს ხელსა!  
 მიუბრუნდება ილიკო, კამეჩივით  
     შეუბლვერსა:  
 — საჭიაროდ როდი მიმყავს, რომ  
     ყველანი ატანთ ხელსა!



## სტრომა 90

შენ ჩემო დიდო იმედო,  
კოშკო, ნაგებო კირითა!  
კახეთს მოჭრილო ისარო,  
ქალაქს ნაღებო ინითა.  
წითელი მოვის პერანგო.  
შვალგან შაკრულო ღილითა!  
ცავ წმინდავ, ვარსკვდლავიანო,  
მზევ, დაფენილო ღილითა!  
უკვდავებისა წყაროო,  
ნაღენო ოქროს მილითა!  
შენთანაც ყოფნით გამაძლო,  
შენთანაც წოლა—ძილითა!



## სიღარიბე

ვაჰმე ჩაძნელი ჰეყოფილხარ  
სიღარიბეო, ტიალო!  
შესამ-მეოთხე წელია  
ერთნ ახალუხნი მცვიანო.  
შიგ მამიკრუხდნენ ტილები,  
წიწილეებსა ზდიანო.  
საკვირველ ნაშენობა აქვს,  
თითოს ექვს ფეხნი სხიანო.  
დამართეს სასახლეები,

ადიან-ჩატავიან,  
ცეულაცი არი, შარცხვები,  
ამისაც არ იტყვიანო.  
მე ვენვეჭები, ნუ გამებენთ!  
დია-კი არ იშლიანო.



## ჩ ი ვ ი ლ ი<sup>92</sup>

• წელია მეცხვარეობა,  
მუჭით დალევა წყლისაო,  
გორაზე გასვლა გამოსვლა,  
ჭუჩება ბატკნებისაო.  
ძილით ვერ დამიძინია,  
შიში მაქვს ნადირისაო,  
ჯოხზე ვარ დაყუდებული,  
ხათრი მაქვს პირუტყვისაო.



## კაპასი რძლები ⁹³

მე რომ რძალი შემეყარა,  
კაპასია, თარაქამა.  
მე, რომ სხვაგან გამიცილეს,  
რძლებმა შაქმნეს ხატაბალა.  
პატარამ წყევლა დაუწყო,  
დიღმა რძალმა ღააყარა.  
ერთი კვირა არ გავიდა,  
ის ჩემი ძმა გამეყარა,  
ერთი ძველი სახლი მერგო,  
თავზე არა ჰქონდა ჩალა,  
ერთი ძველი ქვაბი შემნევდა,  
ძირზე არა ჰქოდა კალა,

რაც იმაში წყალი ვასხი,  
სულ ერთბაშად დამიღვარა,  
ერთი ჭილა ერბო მქონდა,  
ისიც სულ მთლად გადამდინარა  
ავიღე და მაღლა შევდგი,  
კატა შეხტა—ღამიღვარა.  
არც კატას შეტჩა ერთი დრო,  
კატაც ძალლმა შემიჭამა.



## အလာတေသနရေး၊ အဖွဲ့များ<sup>၁၇</sup>

ကြပ်စာ အတေ ၆၅၉၀၂၁၄၀။  
မျှော်မိုး ဒီမျှော်မှာ နှော်မှာ,  
နိုင်တွေ့ရှုမှု ဒီပြောကြော်မှာ  
အဲ အမြန်သူလွှာရ စာနှုန်းမှာ。  
ဒါန္တုန္တုန္တု ကျော်ချော်၊  
လုပ်ချော် မြန်မာရှိချော် မြန်မာရှိချော်၊  
လွှာ ထွေးလွှာ နှော်မှာ ထွေးလွှာ ထွေးလွှာ  
မာလဲလာ ဒါန္တုန္တုန္တု ပျော်မှာ,  
နိုင်တွေ့ရှုမှု လွှာ ထွေးလွှာ လွှာ ထွော်မှာ  
ဝါ နိုင်တွေ့ရှုမှု ကျော်ချော်မှာ ထွော်မှာ。  
၆၀၆ မြန်မာရှိချော်မှာ ပြုချော်မှာ,  
မာတ်ရှုမှာ မြန်မာရှိချော်မှာ ၆၅၉၀၃၁၄၀၊  
ပာစာရှုမှာ နှော်မှာ ပြုချော်မှာ ၆၅၉၀၃၁၄၁၊  
တွော်မှာ ဤနိုင်တွေ့ရှုမှု ပြုချော်မှာ ၆၅၉၀၃၁၄၂၊

ოთხი ამხანაგი ვართ:

იაკობ და მიხეილი,

იოსები და კიკო.

ჩვენისთანა მუშა ხალხი,

ერთი არვინ იყო.

იაკობო, ნუ თამამობ,

ხალხი არ დაიბრიყვო.

რაც მძიმე საპანე არი,

ყველა შენ უნდა წიკო.

ვირიკენჭაზე მოვდივარ,

წეიფორხილა ცხენმაო.

მივედი, მკერდში ვეტაკე,

ავსწიე ზევითკენაო,

მაღლიდან ქვა გაღმოვარდა,

ჩემ ხელზე გახდა ძგერაო.

მისთანა მაგრა დამეცა,

ჩამაგდებინა ენაო.

მოვიდენ ამხანაგები,

წემემენვიენ ყველაო,

თვალებზე ხელი გადვისვი,

ავდეჭი ნელა-ნელაო,

რო მივიხედ-მოვიხედე,

ვულმა დამიწყო ძგერაო.

კლდეში ვეღარ ვიმუშავებთ,  
 სახლში წავიდეთ ყველაო.  
 ცხენები მოფიშორიე,  
 ავდეჭ გავმართე ურემი,  
 ფეხით ვთელე და ვთელევი,  
 ზესტაცონი და ულევი.  
 ზესტაცონს შავ ქვას ვწიდემდი,  
 უკან მომქონდა პურები,  
 მეფურნეები მიძახის:  
 მიირთვი ხაჭაპურები,  
 რა ხაჭაპურის ჯავრი მაქვს,  
 სახლისკენ მივეშურები.  
 სითამამით გავიფუჭე  
 ჩემი მარჯვენა ხელია.  
 რაღაი ხელი წამიხდა,  
 ჯანიც კი გამომელია.



## ქალა მოტაცება ۹۵

ამფერუმ ჩვენო საჩინო,  
რომ შეასრულე თქმაისი,  
ფერაძეს ქალი მოსტაცი,  
იყო ცხრამეტი მსისი.  
ქალმა ასე შამოთვალა:  
შენი ვარ, ხელი ამისვი,  
ხელიდან ნუღა მელეჭი,  
შენი ცხენის წინ დამისვი.  
როცა რომ სახლში მივიდეთ,  
მაშინ დავიწყოთ ხალისი;  
ერთმანეთს ვესიყვარულოთ,  
ბიწაძე დარჩეს ნაპირში.  
ეს რომ ბიწაძემ გაიგო,

ხელს შემოიკრავს თავ-პირში,  
მისი საქორწილო ფული,  
მიტანილი მაქვს აპრილში.  
მაშინ ქვე მომცა პირობა,  
ახლა დამიწყო აღლიში,  
თუ ჯვარნაწერი არა გყავს,  
ცუდი ყოფილა ნანიშნი.  
როსტომამ შემოუთვალა,  
ღრო ვნახეთ მე და შენაო,  
ეს რომ საჩინომ გაიგო,  
გულმა დაუწყო ძერაო.  
თოფ-იარაღი შეისხა  
და ფისტო გეიტენაო,  
შეჰკრიფა ამხანავები,  
გასწიეს ცხენ და ცხენაო.  
როსტომას გადაუარეს,  
უნდა წამოგვყვე ჩვენაო.  
ქოჩოს წყალზე რომ მივიდემ,  
შუა ღამეა, ბნელაო.  
როცა ეზოში შევიდენ,  
ცხენმა დაიწყო ფოქვენსაო,  
აბუთიძე ყელში ეცა,  
კინაღამ გამოწელაო.

არ გაგვიგონ, შე თხერო,  
არ ამოგვწყვიტონ ყველაო.  
საჩინო სახლში შეიჭრა,  
ქალს ეცა ხელდახელაო:  
ადექ და უნდა წავიდეთ  
გორისას მე და შენაო.  
ქალმა დაიწყო ტირილი,  
ადგომა დაიძნელაო.  
ღამებსენი, გენაცვალე,  
თუ არ შეგეძლოს რჩენაო.  
ღვინო და პური ბევრი მაქვს,  
ბეღელი გამობერაო,  
შენ საფეროდ შაგინახამ,  
საჩინოსა აქვს ლხერაო.  
ცხენს შესვეს, გამოიპარენ,  
როგორც გინახამს მელაო.  
ცხენს უნაგირი მოუძვრათ,  
კინამ ქვას დაეძგერაო.  
მოვიდენ ამხანაგები,  
წამოეხვიენ ყველაო,  
მანდეეთს ამოიარეს,  
უარი უყო მღვდელმათ.  
მოიჭიამეს, მოიყვანები,

შეიქნა ჯვარის წერაო.

როცა რომ ჯვარი დასწერეს,  
მაშინ შეიქნა დევნაო.

თქვენი საჭმე აღარ არის,

გათავდა ჯვარის წერაო.

მშვიდობით, ჩემო მაყრებო,

მოგვიგონებდე ჩვენცაო,

მე თქვენ რომ ქალი მოგტაცეთ,

ტანსად გავს ალვის ხესაო.

შევხედე და განვიხარე,

ხელი შევყარე ღმერთსაო;

მაინც აღარ მოვეშვები

რაც უნდა გადამხდესაო.

ჩემ სიმაურს ეს უთხარი:

აქა მყავს შენი ესმაო,


ნუ ფიქრობ, არა უშავსრა,

არ წაუღია მგელსაო.

ზემო ქვეყანას მიჰყავდა

საჩინო დონაძესაო.





## ဒာဝေဝဲ လွမ်းစိ<sup>၁၆</sup>

ဒုမ္မ ဇာဝါ၂ျံ၊ ဗြိုဟ္မာ၊  
စွာဝန်ရာ မတဲ့ ဇာ ပုံး၊—  
သာဝေဝဲ ဂာမိုးဘိုး၊  
ပြောစွာ မြောက်ရာ ဖုန်း၊  
နိုင်တွေ့နှင့် မြောက်ရာ မျာတာတွေ့၊  
အဘ ဘိုးနှင့် ဇာမြောက်ပုံး၊  
ကြုံးပုံး ဘိုးနှင့် ပြောစွာ၊  
နိုင်ပုံး ပြောစွာ၊ ဇာမြောက်ပုံး၊  
မြောက်ပုံး တွေ့နှင့် ပြောစွာ၊

სად დიდი სამართალია.  
მთათა დგას პარაოზები,  
გზას მოარული ჩქარია  
სუ ყარსში დავიბადენით  
თლათ კავკასიის ჯარია,  
დატყვერება ყუმბარაები,  
ინგრევა მთა და ბარია,—  
იმას რა უჭირს კიდავა,  
ვისაც სახში ყავს ძმანია!  
  
იმათ რაღა ჰქნან, ბეჩენია,  
ვინც რო დაკეტა კარია,  
წავიდა ბძოლის ველზედა  
ველზე დაჰყარა ძვალია,  
არცა ელირსა საფლავი,  
არც მიწა მისაყარია!  
  
ახლა მოვიდა ზამთარი,  
დაიწყო ცივი ქარია,  
ვისღა მოუვა ზაფხული  
მშვიდობის თიბა-მკანია?  
ვინ შაესწრობა იმ დროსა  
სამშობლოს დაჰკრას თვალია:  
წამოწოლილა ველზედა  
ცხელი ტყვიისგან მოვრალია.

იშევს და ვეღარ წამოდგა,  
შუხლში არ აქვე ძალია,  
ეგრე უთხარით დედასა:  
— არ აიტკიფოს თავია,  
ტაბლები გამააცხოდეს,  
აღდგომას გასატანია;  
სუჟველგან გაღებულია  
საფლავ-სამარის კარია.  
მე ეს შაირი ვავთარებენე,  
ოსმალოს გრანიცაზედა,  
ხელში გამარტყეს ტყვიაი,  
სისხლი ჩამამდის მკლავზედა;  
ე მაგის გამამლექსავი  
გვარად კვირტიძე არისა.  
ვაინის თაობაზედა  
ბევრი რამ შამიდგენია,  
მთლად მამიჯლია ხმელეთი,  
არსად რა გადამრჩენია.  
კარზე მოვიდგეს ჩაფარი,  
ეგ რა ვაშკაცის ფერია,  
გიბარებს ჩვენი პრისტავი,  
არა ვარ შენი მტერია,  
ჩავედი, გამოვემცხადე

ქახალდი მაჭვე ძველია  
—უნდა ჩახვიდე ჯარშია,  
შაშინვე ფეხზე წამოდგა  
ხელი დამარტყა მხარშია.  
ვაენცი ნაჩალნიკთანა  
პირდაპირ შევალ სახშია,  
რუსულად მითხრა—სუქინსილ  
რად, გაიპარე სახშია?



## ცალდათის ნააგბობი ۷

ვაენის თაობაზედა  
ბევრი რამ გადამხედია,  
მოლად მომივლია ქვეყანა,  
არც შლვები ვადამჩენია.  
ოხერი წუთისოფელი,  
როგორ ყოფილა ჭრელია,  
არვის არ შერჩა ერთი დრო,  
ყველას ჩაავლო ხელია.  
მეც მომეპარა უჩუმა,

თურმე მარგუნა ჯერია,  
ეს ჩემ თავს არ ეკუთნოდა,  
ოუ გული შემრჩა მთელია.  
იანვრის ცამეტს, ქალაჭები,  
ვიყავი ტკბილათ ძილშია,  
მოვიდა ერთი უანდარი,  
ტრუპკა ეჭირა პირშია.

ჩიო ტი ლეჟიშ; დურაკო?  
თან თითი წამკრა ცხვირშია.

შევხტი და გამომეღვიძა,  
ჩავარდი გასაჭირშია.

ვნახე ბაზარში, ერთალაგ  
ხალხმა რო გაიგრიალა,  
მოქუჩით ყველა აქეთა!  
ვიღაცამ დაიღრიალა.

— ვაიგეთ პრიკაზენია, ეს, ხომ  
ბრძანება არისო,  
პეტრებურგიდან მოსულა, ეს ხომ  
დეპეშა არისო.

ეხლა უნდა გამოცხადდეს  
ლურჯი ბილეთიო,  
გაოხრდეს ჩემი სიზმარი,  
მალე აცხადდესო.

წაველი და გამოვცხადდი,  
ქალაქ თელავშიო,  
შეველ უპრავნელიეში,  
დაფიქრებულიო.

შემომხედა ნაჩალიქმა,  
მკითხა ამბავიო:

—რა გქონია სატკივარი,  
ჩქარა მითხარიო.

—არაფერი. უპასუხე:  
სხვა რას ვეტყოდიო.

გადმომაწიოდა ბილეთი,  
მითხრა, უხადიო.

სკაზალ: პრემო პარდიოშ  
სარაკამიშიო.

ივანე იღვა დეჟურნათ,  
ასდის ალმურიო.

მოდი ჩქარა: შევუტიე  
გაჯავრებულიო.

რამდენათა იტანჯება,  
მთელი სალიდათოა,  
ბევრი ხომ ჩალჭა ციხეში  
ალალი კაციო.

ბევრს გადუშეყვიტეს დახრიშა,

არ იყო ბრალშიო.

არ გავიდა ორი კვირა,

ის „დალოცვილიო“,

გაღმოაგდეს ნიკალაი,

გაწეობასუფლდიო.



## მ ე ბ ა

ათას ცხრაას თოთხმეტ წელია,  
დღე დაგვიდგა მეტად შავი.  
გამოცხადდა პოლიცია,  
გულწე მომივიდა ჯავრი.  
იქნა მობილიზაცია,  
სულ შეინძრა მთადაბარი,  
ყველანი შეიარაღდენ,  
თუშ-თუშავენი, ქართვლის ჯარი.  
ცოლშვილი ისე ბლაოდა,  
როვორც ბატკნის ღეღა-ცხვარი.  
ახ, ლმერთო, შენი ჭირიშე,

შენ გამოიჩინე ძალი:  
ისეთი გული ჩაუდე,  
უკან დააბრუნონ ჯარი.  
ერთი კვირა არ გასულა,  
ვაინშიაც გვიკრეს თავი.  
იყო ჰექა და ქუხილი,  
მოდიოდა სისხლის ლვარი.

ტყვია ეგრე მოდიოდა,  
ვით ზეციდან წვიმის წყალი—  
ზარბაზანის ქუხილისგან,  
აღარ იყო ყურთა ხმანი.

მაშინა ვსთქვი: — დედა-ჩემო,  
ვაი ახლა ჩემი ბრალი!  
ძვლები სად უნდა ჩავყარო,  
დავრჩი დედის უნახავი.


წვრილი ცოლშვილი დავტოვე,  
მამაც ღამჩა უნახავი.

სახლიდან წერილ მივიღე,  
გულზე მომივიდა ჯავრი.  
რა გავშალე, წავიკითხე  
იყო დედის მონაწერი.

— შვილო, კარგად წაიკითხე,  
გაიგე ჩვენი ამბავი.

კარგად იცი, მამაშენსა,  
აღარა აქვს შრომის თავი,  
შვილო აქ უშენობითა,  
გეღუპება სახლი-კარი.  
ყველას ყანები დაიმკო,  
შენებია დასამკელი.  
ამოდენა ჯავრისაგან,  
აღარა მაქვს თავში ჭკვაი,  
თავად ჯავრიანი ვიყავ,  
მომემატა ჯავრზე ჯავრი!“  
ათას ცხრას ჩეიღმეტ წელსა,  
მოხდა, ძმებო, სხვა ამბავი.  
რევულიცია დაიწყო,  
უკან დაგვაბრუნეს ჯარი.  
სიხარულით წამოვედი,  
თან მომქონდა მთადაბარი.  
ჩვენ კარებზე რო მოვედი,  
შეყრილიყო ქალის ჯარი.  
დედაჩემი კარზე იდგა,  
წამოესხა დიდი შალი.  
ისე მოთქმითა ტიროლა,  
თითქო ედო ნიკო მკვდარი.  
— რხსა, სტირი დედაჩემ,

ଜୀବ ହେ କୋଠ ଠରୁ ପାର ଶ୍ରୀକୃତୀର୍ଣ୍ଣା!  
ଶ୍ରୀକୃତୀର୍ଣ୍ଣାଙ୍କୁ ଲେଖିବା,  
ପାରିବୁ ଧରନୀଳିଖି କେବଳିକୁ ମୁଦ୍ରାର୍ଥା.  
କେବଳମହିମାର ଶିଳ୍ପ ଲେଖିବା ଅବସ୍ଥା,  
କେବଳାର ମନ୍ଦିର ପ୍ରକୃତୀର୍ଣ୍ଣାଙ୍କୁ



## କର୍ମତାଳୀଙ୍କ

ହା ପୁଣ୍ୟବାନଦା ଧାର୍ମିକର୍ମଦା,  
ଧାର୍ମଦେଶ ମୃତ୍ୟୁବିନ୍ଦୁରେ.

ମତଲାଦ ନିର୍ମାଣଦା କ୍ଷେତ୍ରବିନ୍ଦୁ,  
ଧାର୍ମମର୍ମଦା ପ୍ରିସାସା.

କାଳିକ ଶୂଳ ଶେଷାର୍ଥାଲଦା,  
ଧର୍ମକାଳଦା ଗ୍ରୀବାନ୍ଦିକାରୀ.

ମତବାର୍ଯ୍ୟ ଧାର୍ମିକର୍ମଦା ପ୍ରକାଶଦା,  
ହୀନ୍ଦ୍ରିୟଦା ଶାଶ୍ଵତ ମତିକାରୀ.

ପ୍ରାଣୀ ବ୍ୟାଧିଦର୍ଶକ ପାର୍ଶ୍ଵକାମଦା,  
କ୍ଷେତ୍ରବିନ୍ଦୁରେ ଶାଶ୍ଵତ ଶର୍ମିକାରୀ.

ଅନ୍ତର୍ମାର ଗାମନିକିନ୍ଦା ନାତେଲି,  
ଧାର୍ମକାଳଦା ପିରି ମତିକାରୀ.

ରାଜ୍ୟକ ସାମନ୍ତିକି ଧର୍ମକାଳଦା,  
ଧା ସିଦ୍ଧିକାରୀ ତ୍ରୈକାମଦା ମତିକାରୀ.

ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ ଏକାକୀ ମନ୍ଦିରକାରୀ,  
ଶ୍ରୀମଦା ତ୍ରୈକାମଦା ପ୍ରିସାସା.

ସିଦ୍ଧିକାରୀ ଏକାକୀ ମନ୍ଦିରକାରୀ,  
ମନ୍ଦିରକାରୀ ତ୍ରୈକାମଦା ପ୍ରିସାସା.

იყო ჭექა და ჭუხილი,  
რისხვასა ჰევანდა ღვთისასა.  
ეს ჩემი თვალით ვიხილე,  
ნათქვამს არ ვამბობ სხვისასა.



## რუსეთ-თურქეთის ომი<sup>100</sup>

მინდა დავძახო შაირი, შაირი ხმელეთიზ  
საო

ჩემო წერილო გაფრინდი როგორც მი-  
მინო ტყისაო.

შეატყობინე ქვეყნებსა მამასახლის და  
გზირსაო,

სწრაფად აკრიფონ ჭაპასი, გადასცენ  
ნაჩალიკსაო.

გაეგო მამასახლისსა, დაარბენინებს გზირ-  
საო.

აკრიფა სამღლეს ჭაპასი გადასცა ნაჩა-  
ლიკსაო.

ქალონებულან გლეხები, თვალიდან ცრე-  
მლებს ღვრისაო,  
ეს ჩვენი უბედურება, რა მაღლი გაწყრა  
ღვთისაო.

სახლში დავტოვე შვილები, სამსამ ოთხ-  
ოთხი წლისაო,  
პირველად რომ გამოგვაგდეს — მივალთ  
შავი ზღვის პირსაო,  
გადმოდიოდა ყუმბარა, როგორიც მაჟა-  
ლო ტყისაო.

რა ადგილსაც დაეცემა, კუდა ლორი-  
ვით სთხრისაო.

სალდათს მოხვდება თავიდან ფეხებამ-  
დისა სჭრისაო.

ვაიმე ჩემო ლამაზო, ეხლა კი გახდი  
სხვისაო.

არა არვინ შეგაცდინოს, არ გახდე ეშმაკ-  
ისაო.

ქალს მოუვიდა წერილი, ქალო; მოგიკ-  
ვდა ქმარიო,

შექუჩებულან ტოლები, სდიოდათ ცრემ-  
ლი ცხარიო.

ზოგი გლოვობდა ორწელსა, ზოგსა — არ  
ჰქონდა ნანიო,

ვინც დარჩა-თავსა გაიტანს, ვინც მოკ-  
ვდა, მისი ბრალიო.

ვინც საღ ბრძოლაში გაგმირეს, ვერ ნახა  
თავის მხარეო.

მშობლები დარჩნენ მგოივრად, ცრემ-  
ლი სდით ძლიერ ცხარეო.

ბოლო მოელოს ომებსა, ნეტავ გავიგოთ  
მალეო.

აფრიკალდეს წითელი დროშა — ხარიბ-  
დეს ყველა მხარეო.



## შეჩერდი ქართველობის 101

შეჩერდი, ქართველობი, მიამზე,  
ამბავი ჩვენი ფშავისა,  
დიდი ხანია, რაც უკვე  
ფშავი არ მინახავისა.  
საომრად გამომიწვიეს  
შაშხანა ამიღავისა,  
ორი წელია ფრონტზე ვარ  
ხალხი შორს დამიგდავისა.  
არ ვიცი, ვისთვის ვიბრძვივარ,  
დასაცავ ვინა მყავისა?  
ვეხვევი ცეცხლის ალშია,  
თავი ვერ დამიცავისა.  
ვინ დასთვლის, რამდენი კვდები,

დაჭრილ რამდენი გდავისა,  
უოველგლე დახოცილები  
ვეცემით პანტასავითა.  
ლამე ვერ დამიძინებავ,  
პური ვერ მიჭამავისა.  
თუ მოვესწრები, რომ კიდევ  
ვნახო ოჯახი თავისა?  
შეჩერდი, ქარო, მიამბე,  
ამბავი ჩვენი ფშავისა,  
როგორ არიან მთა-კლდენი,  
დაყრუებულნი ქარისა.  
ისევა დისა წყარონი,  
ყვავილნი ისევ ყვავისა,  
ისევ მოჰქუსა არავვი,  
ისევ ამაყად არისა?  
ან ჩემი დედა-მამანი  
ტანზე ჩაცმულნი შავისა;  
დედა ხვარ ტირის უშრომლად,  
ცრემლის დამლვრელი ცხარისა?  
მამა ხვარ გმინავს უწყალოდ,  
კვნესა ხვარ ისმის ხარისა;  
რასა ფიქრობენ ჩემზედა,  
ან მეგობრები თავისა?

დადეგ, ქარო და მიაშენ,  
ამბავი ჩვენი ფშავისა,  
იქ ცხოვრობს ქალი ეთერი,  
ან ის როგორა მყავისა?

ყველაზე მძიმე ყოფილა  
ეს სიყვარული ქალისა,  
სცოდნია გულის დანდობა,  
შუხლში დალევა ძალისა,  
ჟეთრი თმის ხშირად ამოსვლა,  
დაბრმობა ორივ თვალისა.


მე აქ ვარ, ცეცხლში ვეხვევი.  
და ის იქ დამიგდავისა.

მითხარ, რაც იცი ფშავზედა,  
სიტყვა შენდ დამიმთავისა.

ქარმა სოჭვა: ვეტყვი, რაც ვიცი,  
ამბავს მოვითხრობ მთისასა,  
ვეტყვი ღეღ-მამის ამბავსა,  
დალონებული დისასა.

ტირიან შენი მშობლები,  
ცრემლით ალბობენ მიწასა,  
დაცა ტიროდა უშრომლად,  
ნახვას ნატრობდა ძმისასა.  
ხოლოდ რომ მკითხავ ამჩავსა,

ჭალისას-ეთერისასა,  
იმას შენ აღარ ახსოვხარ,  
შენ ამბავს მკითხავ მისასა.  
უკვე სხვას უშლის ლოგინსა,  
მკერდს ებჯინება სხვისასა,  
არც იმედი აქვს, თუ ჭიდევ —  
ნახავ შენ ჰაერს მთისასა.



## იგერელი ჯარისკაცი <sup>102</sup>

ჭუთაისში დამიბარეს  
უეცრად იყო და ჩქარა,  
გულზე დარღი დამეტაკა  
ისე მოვწყდი, როგორც ჩალა.  
რომ მივეღი დოხტურებთან,  
ამხანაგმა დამიშალა:  
ცოტა ხანი მევიცადოთ,  
და სახლშიაც წავალთ ჩქარა!  
მართლაც ცოტა მევიცადეთ,  
მე მეგონა კარგიაო,  
მერე კი ერთად მოვეღით,  
ჩვენ და წიფის პარტიაო.  
რომ შევეღით დოხტურებთან,

სიცხე იყო ხვარტიაო,  
შამაჩერდენ დოხტურები,  
თითქოს ერთი ხატიაო.  
გამშინჯეს და ხელი დამკრეს,  
„ზღაროვი და ვარგიაო“.  
მე გარეთკენ გამოვედი,  
გული ძაან წამიხდაო,  
ის სოსიკო ნასარიძე  
აფხანაგად გამიხდაო.  
თბილისში ისე მოვედით,  
როგორც მშიერი მგელი,  
სიმღერით აღარ გვივარგა,  
ეს ჩვენი პატარა ყელი.  
შარშან ამ დროს შინ ვიყავით,  
და ის იყო ჩემი როველი.  
მას აქეთ აღარ მინახავს,  
იმერეთის ტყე და ველი.  
ავატირე ბარიშნები  
ყველას თვალზე მოსდის ცრემლი:  
მე დაია, იქ მივდივარ,  
საღაც არის ჩვენი მკვლელი,  
გერმანია ჩხეუბს აპირებს  
ის ჭვეუნისგან საძაგელი.

ნიკოლოზის დაკლებია  
 თოფები და ზარბაზნები,  
 თან ტყვიასაც ვერ უძლებენ,  
 და ისა მაქ სადარდელი.  
 აქეთ თათარს წეეჩხუბა,  
 ვერც ეიღო დარდანელი,  
 ისიც მაგარი გამოდგა,  
 ჩვენი გულის დამდაგველი.  
 მშვიდობით, ჩემო მხარეო,  
 მშვიდობით არე-მარეო;  
 ბელი ცერკოვში \* ვიყავი,  
 სამი თვე გავატარეო,  
 რამდენი კვირა გევიდა,  
 სულ სათითაოდ ვთვალეო.  
 ავათა ვარ ძალიანა,  
 თანაც სული მიმდის ყელში,  
 თანაც ამას უფრო ვფიქრობ,  
 როდის წავწუპწუპდე ჩვენში.  
 ღოხტურიდან იმედი მაჭვს,  
 როგორც ჩემი მამიდანა,  
 თუგინდ სახლში მივდიოდი,

\* ქალაქის სახელია.

საჭუთარი ყანიდანა.  
ავტომობილში ჩავჯეში,  
არ მენახა თვალიდანა;  
გამაქანა, შვიდ მინუტში  
სტანციამდი მიმიყვანა.  
აბანოში შემიყვანეს,  
გავათავე ტანის ბანა,  
კოიკაზე წამოვწეში  
თეთრი საცვლების ამარა,  
სანიტარი და შესტრიცა,  
გზაში დამდევს სულ ყველგანა.  
გოროდი კაი ყოფილა,  
მოსაწონი ღუქნებიო,  
დაგულაობენ ქალები,  
პარიშნები სუქნებიო.  
რაც რომ მე ვილაპარაკე  
ტყუილი ერთი არ არი.  
ამ ოხერმა სალდათობამ  
მამცა ვეება ზარალი.  
ქალი როცა გათხოვდება,  
იმას ქვია უენშჩინაო,  
ამ შაირის გამამთქმელი  
ლომიძია გძელცხვირაო.

## ტქვედ ჩავარდნილის სიგლერა<sup>103</sup>

პლენის გაჭივრება ესა,  
არ ვიყავი სახლსა ჩემსა.  
ნახევარ გირვანქა პური  
ძაღლისავით მომიღდესა.  
სიმშილმა კი დამალონა,  
სიცოცხლესაც კი მილევსა;  
ცხენის ხორცი მომიტანეს,  
ისიც დამპალ დამიგდესა.  
სამი კაცი დაგვიყენეს,  
მისხალ მეტი არ იქნესა;

ჩვენ რომ გაჭივრება ვნახეთ,  
კაცის ხელი ვერ დაწერსა —  
კაცი მარად კაცად იყოს,  
გაჭივრებას გაუძლებსა.



## თურქეთის ფილონტიდან<sup>104</sup>

ტიალსა ბაიბურდშია,  
ტყვია და წვიმა ცამაო,  
გული მომიკლა, დედილო,  
თოფ-ზარბაზნის ხმამაო,  
წითლად ნალებმა მინდვრებმა,  
წითელმა სისხლის ტბამავო;  
ზოგი ღავმარხეთ სწორებმა,  
ზოგიც ყორნებმა ჭამაო,  
მე კი ვაღავრჩი ცოცხალი,  
ნულა მიდარდებ, შამაო.

1914 წელი 105

ათას ცხრაას თოთხმეტ წელსა  
დაგვიძნელდა მზეო,  
ცეცხლის აღი დატრიალდა  
სამკალ ყანაზეო.  
ნიკალაიმ ხალხის გული  
დასჭრა დანაზეო;  
ბევრი ომში წაიყვანა  
დედის-ერთა ძეო.  
ბევრი ჩოხა-ახალოხი  
ეხლა ოხრად ძევსო:  
ბევრი დედა აატირეს,  
ბევრი დაქვრივდესო.  
მაგრამ ბრძოლამ გაიმარჯვა!  
ქვეყანა აღდგესო!  
გადმოაგდეს ნიკოლაი,  
ტახტი დაინგრესო!!  
ხალხის მტანჯველი შევლეჭილი  
ჩვენ მოვიშორეთო;  
და მის ნაცვლად მუშა-გლეხი  
შალლა ავიდესო!

## გიორგი და ხვთისო <sup>106</sup>

ლექსს იტყვის ხევსურის შვილი,  
თავის გუნებით მთვრალია,  
უფალო მამე გონება,  
მტერთაგან დამიტარია!

ცუდი დროება დაგვიდგა,  
უკულმა დაბრუნდა ტარია!  
დაიქცა ციხის ბურჯები,  
შიგ ჩამოვიდა წყალია!

ამბობენ, ხემწიფეებში  
დიდი დგა ცოდვა-ბრალია;  
გარეკეს ბრძოლის ველზედა  
შიგნით ნარჩევ ყმანია;  
ზურგზე აჰკიდეს ზაპასი,

ხელში თოფ მისცეს, ხმალია;  
ბევრ გაისტუმრა დედამა,  
გულით დასწერა ჯვარია;  
ბევრის კარ გამაიჯარა,  
სამნივ წავიღნენ ძმანია;  
ბევრ დედა დარჩა მტირალი,  
ჯერაც თვალცრემლიანია;  
ბევრ დარჩა ნაწნავმოჭრილი  
უმამის სახლი ქალია,



## გურული ჯარისება 1<sup>07</sup>

სალდათობა მომიწია  
გიორგობისთვეშიაო,  
ავდექი და ავიბარგე  
ჩაველ ოზრუგეთშიაო;  
თეთრი კენჭი შემახვედრეს,  
აი, შენი ბედიაო,  
ამწიეს და გამიძახეს  
შუაგულ რუსეთშიაო.  
შვილი დღე-ღამე ვიარე,  
გული მიცემს მკერდშიაო.  
ყაზარმაში რომ ჩამაგდეს,  
ჭვალი დამკრა გვერდშიაო;  
ჭეჩის მაზარა ჩამაცვეს,

თოფი მომცეს ხელშიაო.  
ფეთებელსა ჩამაბარეს,  
ჩავარდი შავ დღეშიაო,  
ყინვის პირზე დამაყენეს,  
მიძახიან, პრიამოვო,  
ვერაფერი ვერ გევიგე,  
წამარტყეს, არ მიამავო,  
ვაი დედა! დავიკვნესე,  
მიყვირიან, ნაპლეჩოვო;  
წამარტყეს და წამიმატეს,  
ჯობდა თავი დამესრჩოვო.  
ხუთი წელი ისე მტანჯეს,  
გქონდა ნაკაზანიაო,  
ყველაფერი იქ დავტოვე,  
რაც რომ მქონდა ჯანიაო,  
ფეთებელო. აფიცრებო  
ოი, ლული-ლულიაო.  
დრო მოვა და მოისპობა  
ყველგან თქვენი რჯულიაო.



## ქველი სალდათობა <sup>108</sup>

არ მინდოდა ჯარში წასვლა,  
ძალით გამომაწვიესო,  
მამასახლისი მოგზავნეს;  
წასვლა გამავებიესო.  
საცხოვრებელ მიწა-წყალზე,  
ჩელი აშალებიესო.  
არ გამივიღა მუდარა,  
ხმა არ გამალებიესო.  
დამატოვიეს სახლ-კარი,

ჩოხა გამახდევიესო.  
ყანის ღა ვენახის ჯავრი,  
გულში ჩამატანიესო,  
ბებრებს ღაურჩა სოფელი,  
ვერ ნახავდი ჯანიერსო.  
შეგვკრიბეს სოფლის ბიჭები,  
ქალაქს მოვვასმევიესო,  
„პარაოზზე“ ღაგვაჯინეს,  
ალარ მოგვაცდევიესო.  
სხვა ქვეყანას მიგვიყვანეს,  
ვზაკვალი ღაგვიბნიესო,  
ჩაგვაბარეს აფიცერსა,  
არსად გაგვარონიესო.  
რუსულად შემოვვიყვირეს,  
ვერ-რა გაგვაგებიესო,  
თელოს თავში უთავაზეს,  
გაჩენა აწყევლიესო.  
არც მე ღავრჩი უნაწილო,  
ზურგი მომაფხანიესო:  
სახლის, დედ-მამის ფიქრებმა  
ძილი ღამაკარგვიესო:  
იქ იმათ უჭირთ, ჯავრობენ,  
მე აქ წამომათხიესო,

დაუქმდა ჩემი ნიკორა,  
ვინ-ღა ღაახვნევიებსო.  
მოხუცი მამა რას გახდეს,  
„ვის დასტოვებს მაღლიერსო.  
სალდათობის გამომგონსა,  
ღმერთო ნუ ჰყოფ ხანიერსო.



## ვახო ჩოხელი 109

რა იცის მამამ შვილისა,  
რა საქმე მოუხდებაო,  
თუ ომსაც შეესწრებოდა,  
იქ წასვლა მოუხდებაო.  
ახალ გაშლილი ვარდი  
უდროვოდ დაუჭინებაო.  
ხუთშაბათ დილა გათენდა,  
ეს რა ამბავი ხდებაო,  
ცა ჰქონდა, მიწა კვნესოდა,  
მზე წითლდებოდა, ცხებაო.  
ჯარები მოხვდა ერთმანეთს,  
ვინ იცის, ვინა კვდებაო.  
თოფს არა ჰქონდა მანძილი,

წმალი შუაზე ტყდებაო,  
სისხლი წავიდა მინდორზე,  
გუბე და გუბე დგებაო.  
ბევრი აფიცრის პაგონი  
სისხლის მორევში დგებაო.  
აქ იყო ბრძოლის ველზედა  
გულგაუტეხლად დგებაო,  
იბრძოდა ლომისებურად,  
ფერი არ შეეცვლებაო.  
შვიდი სჭირს ხიშტის ნაკრავი,  
კიდევ ფეხზედა დგებაო  
იქბენდა თავის მხარზედა,  
ხან მიწას დაეწვდებაო.  
ორი თვის დანიშნული ჰყავს,  
პირს იქითკენა შვრებაო,  
ეს იყო ვასო ჩოხელი,  
ბრძოლის ველზედა კვდებაო.



## სპირიდონ ულამი

გერმანიის ჯარზედა,  
ხევსურს ზედ მისვლა ჰგულია,  
მოვიდა სისხლის წვიმაი,  
ნამდვილად გაგებულია.  
ევ გრანიცების მინდვრები;  
სულ წითლად შეღებულია,  
ეხლა აქაურ ვიამბათ,  
ამბავი კახეთურია.  
ერთის დროს ახალ ვაჟები,  
სრულ ომში გაქცეულია,  
აღარ გვაძლევენ თოფებსა,  
ჩაზინაც დაკეტილია.  
ვიყიდათ ვინტონკეები,

მივსცათ ოროლი ფურია,  
ვივაჭრათ ტყვია წამალი;  
ვისაც ბევრი გაქვსთ ფულია.  
რად გინდათ ნაქონ-საქონი,  
ჩასაცმელ-დასახურია?  
ან ვერცხლის ქამარ-ხანჯარი,  
ან ქუღი ყაზახურია?  
ხირიმებ \* უნდა დავწმინდათ,  
რაც იყო დაჯანგულია.  
ფრანგულებ უნდა დავლესათ,  
რაც ფხაზედ დაჩალხულია.  
ტახტის თავითი გინდოდათ,  
ხლუჩაი გაბანდულია,  
ეზოში გიბმავთ ლურჯაი,  
ლამაზად შაკაზმულია.  
მზას იყოს ხვადის პატრონი,  
საომრად დამზადულია,  
სახელ ყველაზე მეტია,  
ვაჟკაცს თუ უდევს გულია.  
ეგ თქვენი გამარჯვებისა,  
ლექსი ვთქვი საზანდროულია.

\* ხირიმი თოფია

## ომში სიქვდილი 111

საღვთო ვქნათ, ამხანავებო,  
დავკლათ ხარი და ცხვარია,  
მოვიხსენიოთ მხედარი,  
ვინც დაგვრჩა ველზე მკვდარია.  
მდიდრების გულისათვინა,  
ბრძოლას შასწირა თავია,  
არ არის მისთვის სამარე,  
არც მიწა გულსაფარია.  
ყორანი უთხრის თოლექტსა,  
სოფს მხრებში დაუფლისა,  
თუ იცნობთ იშით კურადღ

ვისაც გიჩვენებთ თვალია,  
საბრძოლოდ გმინავს მხედარი,  
ცხელი ტყვიიღან მთვრალია.  
მოკლული ბრძოლის ველზედა,  
შეცხვარე, ნამწყემსარია.

ძვირად იქნება ვაჟკაცი,  
მაგის ტოლი და დარია,  
მარჩევი კარგის სიტყვისა,  
ხშირ ტკბილად მოუბარია.

რკინა ფოლადის ნაჭერი,  
მტერთან გულადათ მდგარია,  
მტრის ჯარში მიბრუნდ-მობრუნდა,  
როგორც კალოში ხარია.

მაგას მთის სისხლი უდგია,  
არ უნდა საუბარია.

ეს მთის არწივი ყოფილა,  
მეტრძოლი მეომარია.

ბევრია ომში მოკლული,  
საბრალო, სატირალია.

ჩაჭრილი, ჩაკურულები,  
ნახმლები ნათოთარია.

ჩემურსა ბევრსა ვაჟასა.  
გამოუჯარეს კარია,

დაუწიოკეს ცოლ-შვილი,  
ბალლები უმეცარია,  
მაგრამ დაძალა ტყვიამა...  
ვაჟკაცმა სული დალია.  
მაგის მთქმელი და დამწერი  
თითონაც ომში ვარია.



## ვ ე დ რ ე ბ ა<sup>112</sup>

თქვენი ჭირიმეო, სწორებო,  
სწორებო გენაცვალეთა,  
აქ ნუ გამწირავთ, თუ მოვკვდი,  
ჩემს ალაგს მიმაბარეთა.  
ჩემს მამა-პაპათ გვერდზედა,  
სამარე გამითხარეთა,  
ღამით ქურდულად მავლიეთ,  
შედ ნაბად წამაფარეთა.



## ଓଡ଼ିଆରେ ହିତଗାଲି ୧୩

ତିଆନ୍ତେତୁ ଲୂପିରାଦ୍ୟେବ  
 ମତ୍ତେରିମତ୍ତେ ଶୈଖ୍ଵଦ୍ଵୀପା କ୍ଷମିତାନି,  
 ଦେବରିତୁ ଲୋହା ଅତିରି  
 ଦେବରିତୁ ପ୍ରାଣି ତମିତାନି.  
 ମେତୁ ମାଗାନ ଲାମାର୍ଥିରାଜିନା.      ଉଚ୍ଚମେଲୁ  
 ଏହ ହେମି କ୍ଷମି ତିରାଲୁ.      ଉଚ୍ଚମେଲୁରି  
 ଗାସିର୍ବିର୍ବି ବିନ୍ଦୁଲୁପୁରୁଷିର୍ବିର୍ବି  
 ନାଲାବି ପୁରୀଜାତ୍ରୁପାଞ୍ଚିର୍ବିର୍ବି.      ନମିରିନ  
 ନମିନ—ସିକ୍ଷାଲୁଗାନ୍ଧିଫର୍ବିର୍ବି  
 ଶର୍ଦ୍ଦିଗା ଶାର୍ଦ୍ଦିଗାନ୍ଧିଫର୍ବିର୍ବି  
 ,ରାତ୍ରିପର୍ବତୀର୍ବିର୍ବି ରାତ୍ରିପର୍ବତୀ ପିନ  
 ,ରାତ୍ରିପର୍ବତୀ ଧର୍ମିର୍ବିର୍ବି—  
 ,ରାତ୍ରିପର୍ବତୀର୍ବିର୍ବି ରାତ୍ରିପର୍ବତୀ  
 ,ରାତ୍ରିପର୍ବତୀର୍ବିର୍ବି ରାତ୍ରିପର୍ବତୀ  
 ,ରାତ୍ରିପର୍ବତୀର୍ବିର୍ବି ରାତ୍ରିପର୍ବତୀ  
 ,ରାତ୍ରିପର୍ବତୀର୍ବିର୍ବି ରାତ୍ରିପର୍ବତୀ



## • პლატინის ცრუნტვე<sup>114</sup>


მიყვარდა შენი მინდვრები,  
—ყანებით მოფენილია,  
შშრომელ გლეხობის ნაოფლი,  
და გქელი ანეულია,  
ბიბინი ოქროსფერადა,  
ყაყაჩოთ შეზაულია.  
ხალხის სავანე მეგონე,  
მის ოფლით გაბანულია,  
—ახლა კი მძაგხარ, ეგ მკერდი,  
სისხლით გაჭვს გაუღენთილია,  
ეგ შენი გულის ფიცარი,  
შრაპნელით დაფლეთილია,  
მაგ შენს ნოყიერ გულ-მკერდზე,

რამდენმა სული დალია,  
 ან საღაური საღ მოკვდა,  
 შენს წიაღს ჩამარხულია!  
 —მაგრამ დრო მოვა, ოდესმე,  
 მთა-ბარი შეიქმს ზრიალსა,  
 და ხალხის ზეიმი შესცვლის,  
 დაჭრილ-დახოცილთ ხრიალსა,  
 თოფ-ზარბაზნები დაიწყებს  
 მტარვალთა თავზე გრიალსა,  
 და მათი სასახლეები  
 მორთვენ გოდება წრიალსა.



1905 წ. მაგი 115

პორტარტურში ვართა,  
ცხენის ხორცსა ვჭამთა,  
ნულარც მოგველითა და,  
ველარც მოვდივართა.



## ლუაველი იმპერიალისტურ ომში 116

ჩემ მაგრერად უთხარდი, ნიკო,  
კუდუფლ\* ქალებსა:  
გულის საკლავად ნუ იცმენ  
მაშინით ნაკერ კაბებსა,  
ეგებ ომ მალევ გათავდეს,  
რად არ შასთხოვენ ხატებსა?  
ომია გახურებული,  
გენერალ აწყობს ჯარებსა,  
ბევრისა დედა იტირებს,  
ბევრი ჩაიცომს შავებსა,  
ბევრ მოყმე ვეღარ იხილებს  
სამშობლო თავის მხარესა,  
შინ ვერ მიუვა დედასა,

\* სოფელია

მტირალს ვერ გაახარებსა.  
 ბევრმა დაწირა ცოლშვილი,  
 უკუღმ დაუჯრის კარებსა,  
 სტკივა და გულით იგონებს  
 ობლად დაყრილებს ბალლებსა.  
 რო ნახოთ ბრძოლის მინდორი  
 ქაცს შიშით აკანკალებსა:  
 გააქვის კაცის თავფეხი  
 ყუმბარასა და შრაპნელსა.  
 მაღლა შაისრევს ცაშია  
 ვაჟკაცსა პირ მცინარესა,  
 ზოგან ნაგლეჯი თავისა,  
 ზოგან შახვდებით მკლავებსა,  
 ზოგისა აღარცრაარი,  
 დაჰკარგავს, გაათავებსა.



## დადგა მარიანობის თვე <sup>117</sup>

დადგა მარიანობის თვე,  
დილა გათენდა გრილია,  
ხემა დაყარა ფოთოლი,  
მწვანილთ აისხეს რთვილია.  
აყრილა მთაში ცხვარ-ძროხა,  
ბარად ჩამოდის თბილია,  
მღეროდენ მეცხვარეები,  
ვითომ ღლეობის პირია.  
მალე ბრძანებას ელიან,  
წინათ, რომ ობოლ კვირია,  
მოვიდა ტელეგრამაი,  
ჟემწიფის, დაბეჭდილია.  
მიშველეთ თუშნო, ხევსურნო,

ახლა თქვენ დასთმეთ ძილია,  
მაშქად და მემუქარება  
ფრანცი, თსმალო გმირია.  
მხარს უჭერს გერმანია,  
ვილგელმი, ძალლის შვილია,  
ათასფერ საომარი იქვე  
მოროული, როგორც სტვირია.  
ჩაგვყარეს მაშინაშია,  
საფერხე გასაკვირია,  
ათი დღველამე გვატარეს,  
რუსეთი გაგვიწირია.  
ვაგვრეკეს სუალკაზედა  
საცა გრანიცის პირია,  
აქ ტყე გორ არსად ყოფილა,  
მინდორი ატკრეცილია.  
შავი ლრუბელი მრისხველი,  
მზე წითლად დაფენილია;  
კარგ იყავ, ჩემო აღვილო,  
რთვილ გაზაფხულის პირია.  
ზოგის საჭმელად გამწირდი,  
ზოგსა კი ისევ ტკბილია;  
საღა ხართ, ჩემო სწორებო,  
სად არა გძინავთ ძილია.

ჩვენ კი ვართ პოზიციაზე,  
მიწა გვაქ ამოქტილია,  
შუალამისა ხანზედა,  
მოგვეპილება ძილია.  
მოველით გათენებასა,  
ძლივსამ გაეღო პირია,  
დაგვბუის ყვავი, ყორანი,  
ყოფილა გაგეშილია.  
უცქირეთ დურბინდებითა,  
მტერ ცეფად შამორტყმულია,  
პოლკის კამანდერ გვეტყოდა,  
ვინა ხართ გატეხილია?  
ქალ არავინ ვართ, ვეტყოდათ,  
ყველას ერთი გვაქვს გულია,  
გვიკამანდრა და გაგვიძლვა,  
არც გვეკავება გულია.  
მინდორში შტიკი ელობდა,  
თოფთ იდვა ძვარა-ძვურია,  
ზარბაზნის ჭიჭა-ჭუხილმა,  
ტყვიამ დაბადა სულია.  
ერთ მეც მომარტყეს რჯულძალლთა,  
ტყვია, რუსულად პულია,  
მაშინ მეცა ვთქვი, ჩემი დღე.

დაბადებითამც კრულია.  
საღაური ვარ, საღ ვევდები,  
რა მაქვ აქ დაკარგულია!  
სამი დღე ვევდე მინდორზე,  
არავინ მიგდო ყურია,  
არავინ იყო გამვლელი,  
წყალიც ძალიან მწურიან!.


მოთარეს ლილეინკაი  
ცხენებით შეკაზმულია,  
ჩამსვეს და ვერ მოვისვენე,  
წამამერია გულია.

მოველით ბალინცაშია,  
ფარანი ანთებულია,  
ჩაი დუღს სამუარშია,  
ლოგინი დაგებულია.

ზედ დასახური მზად არის,  
თავითი დაღებულია,  
ჯერ ხინა დამალევინეს,  
მამრე ჩა დაშაქრულია,

დავჯეჭ, დავიწყე სიცილი,  
გამხიარულდა გულია,  
წავწეჭ, დამძინებიყო,  
ამომეჭცივნა სულია.

სეორე დილა გათენდა,  
პოფიცხებულა წყრულია,  
მოვიდენ სესტრიცეები,  
ჩემი შახვევა ჰეგულია.  
შამიხვიეს და ვერა ვძლებ,  
სისხლი მდის ალამულია.  
მოლექსეს თუ კი იკითხავთ,  
ბათუმში გამოთქმულია,  
ხელში მიჭირავს კალამი,  
ჭალალდზე გადასმულია,  
თიანეთს უნდა გავგზავნო,  
ფოშტაში გამოკრულია.



## ମୋହନ ପାତ୍ରକଣ୍ଠ 118

(ଶ. ହିନ୍ଦୁଗାନିଶ ହାର୍ଯ୍ୟରାଳୀ)

ଯୁରି ଲାମିଗଲେତ, ପିକ୍ଷେଥି,  
ଶୁଣି ରାମେ ପର୍ବତୀଙ୍କାଳ:  
ମିଶାମୁ ତାତୀରେ ଲୁହିଶେଥି,  
ମାନସେ ଗାମନକ୍ଷାଳ.  
ଲୁହିଅ ରାମ ଶ୍ଵରୀଙ୍କ ଗାନ୍ଧାରି,  
ନେତ୍ରାଚ ରାଜତର୍କିନୀଙ୍କ  
ପାତ୍ରକାଳୀ ଶାର୍ଦ୍ଦିନ,  
ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ ହାର୍ଯ୍ୟରାଳୀ.  
ଶାମଲୁହିମିଳି ପିଲତାନ,  
ଶ୍ରୀନ୍ଦ୍ରି ପ୍ରଯାନୀ.  
— ଅମନ୍ତରିଲୀ, ଶ୍ରୀନ୍ଦ୍ରି ଶ୍ରୀମଦ୍ବିଲ,  
ଶୁଲ୍କା ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣା.

მოკეთეს შრიან უწყინა,  
მტერს გაეხარაო.  
— წალი და კაცათ იქცევი  
კარგი იქნებაო.  
— განჯაში რო ჩამატარეს,  
ბაქო იქნებაო.  
გემშიაც რო შემიყვანეს,  
იდგა ღიღი ზღვაო.  
გემშა ლაშანი დაიწყო,  
გული შეღონდაო.  
შვილი დღე ღამე ვიარეთ,  
ხმელეთს გავიდაო.  
დავიჩოქე და შევთხოვე,  
მაღლა ზეცასაო.  
ზეცა რაღას მიშველიდა,  
მე უბედურსაო.



ପ୍ରବୃତ୍ତି ଶନ୍ମକ

## მიხელა ლომაძე 119

(გურული ტერთურისტი 1905 წ.)

მომიგონეთ მევობრებო  
მე უდროოთ დაკარგული,  
უცვათ მომისპეს სიცოცხლე,  
მომცეს საუქუნო ძილი.  
ჩემი სისხლით ეზიარენ,  
რადგან იყო მათვინ ტკბილი...  
რისთვის მშობე, დედაჩემო,  
საწვალებლად მე ჩემს დღეში,  
თუ მტარვალები უდროოთ  
გამგზავნიდენ ცივ ჭვეულებში!..  
რად მაწოვდი ტკბილ ძუძუებს,

რაღ მიმღერდი ტკბილ ნანასა;  
ან რაღ მხვევდი თბილ საპანში  
და შირწევდი მე აკვანსა...  
რა ვქნა ვეღარ გაუძელი,  
არ გაჩერდა სული ტანში:  
სიო ბერიძის სიკვდილი  
გაღავწყვიტეთ ხილისთავში,  
მაგრამ სიო შემეცვალა  
ქარცივაძეს მოხვდა თავში.  
დიდხანს მღიერს, დამიჭირეს,  
წამსვე მიმცეს სამართალში,  
ამწიეს და გამაგზავნეს  
თორმეტი წლით კატორლაში.  
იქაც გავეძეც მტიარვალებს  
ჩამოვედი მე ჩემს სახში,  
მოყვრებს ძაან გაუხარდა,  
მტრები ხელს ირტყამდა თავში.  
ყველა არ აიწერება—  
რაც კი შემხთა ჩემს გაზდაში?  
რუსეთსა თუ სხვა ქვეყნებში—  
ან ოზურგეთის მაზრაში.

უპატრონოთ აღვიზარდე.  
უდედმამოთ და ობოლი;  
ჩემდა დღეის მოსასპობათ.  
ჩამოყარა დიდი თოვლი:  
გარება ძნელი შეიქნა;  
მაგრამ იმას არ ვჩიოდი—  
თუ საღმე წასლა მინოოდა,  
თხილამურით დავდიოდი.  
მაგრამ დახე შპიონებსა—  
საქმე მიქნეს დასაქები:  
მთელ სოფელზე შემომარტყეს  
პრისტავი და კაზაკები.  
ერთი გროვა კაზაკები,  
როცა დავინახე კარში,  
რაც შემეძლო გევიქეცი  
ძლივს გადავრჩი იმ „ზალპაში“.  
თურმე დახე, კიდევ გროვა  
ისევ ჩამსაფროდა გზაში:  
დამინახეს, „ზალპი“ მიქნეს,  
დამაყარეს ტყვია თავში...  
მაუზერმა მიღალატა,  
გამომწყვიტა მე ვაჟკაცში —  
სირცხვილია ასე ჩავწვე,

უსახელოდ შავ საფლავში.  
მიწის ლირსიც არ გამხადეს  
ცოტა წამაყარეს ტანში,  
ჩემი სისხლი შეერთოდა  
იქ მდინარე პაწა წყალში.  
სულ ერთი თვე არ კლებია,  
რომ მოსხმოდა ხეს ფოთოლი...  
ვიცი, რომ გაიხარებდა  
სიღედრი და ჩემი ცოლი.  
მოდი მნახე მე საფლავში—  
თუ გსურთ გაიხაროთ გულში,  
დაფლეთილი ტყვიებისგან,  
უპატრონოდ დაგდებული.  
— თუ საღმე შეხვდეთ, „შპიონებს“  
ან დაშუროთ ტყვია, ძმებო,  
მშვიდობით, ჩემო სამშობლო,  
ნათესავებო, შვილებო.  
სიკვდილის ხანს დავიძახე,  
სა ხარ ჩემო პაწა შვილო!  
საშარეში დარდათ ჩამყვა,  
რო დაგტოვე შენ უმანქო:  
მოგიკლეს და აღარა გყავნ  
შენი შამილო შიხაკო.

ილარიონს, \* შემომხედვე!  
 ჯურღმულში გარ ჩაგდებული,  
 ერთი დედის ნაშობი ვართ,  
 ვიცი, მოგეწობა გული.  
 ჩემს ბალნისთვის არ დაზოგო  
 პერანგის და წულის ფული,  
 ობლობა არ დაამჩნიო,  
 არ აძახო—მშია, ვაი:  
 მომკლეს და გემშვიდობებით,  
 მე ლომაძე მიხელაი.

\* ძმაა



## წინანდელ თავებ ჩა იყო <sup>120</sup>

წინანდელ ომებ რა იყო, წინანდელ თო-  
ფი და ხმალია!

საპირისწამლეს აყრიდენ, ჩახმახეს ეჭირა  
ტალია.


ეხლა გართულდა ქვეყანა, ის ვაწდა რო-  
გორც ალია,

ჰლვაში ძირს დადის გემები, მაღლა აე-  
როპლანია,

ისე გამოდის ტყვია როგორც კრანტი-  
დან წყალია.

არ ვაუშვებენ ცოცხალსა, თუ კაცს გა-  
დგეს თვალია.

სისხლით დატყეპილ ხალხ დაწის, რო-  
გორც მგლის ნაგლეჯ ცხვარია.  
საწყლებსა ჰგონავ დედებსა შვილებ მო-  
გვივა მალია,  
დედასა ჰგონავ ცოცხალი, შვილ გრანი-  
ცაზე მკვდარია.



## მე და ხილჩლა 121

თუ მკითხავ, ამბავს გიამბობ,  
ჩემსა და ხირჩლაისასა,  
მე და ხირჩლა შევიყარენით,  
პური მამთხოვა, ვაჭამე,  
ირჩევდა თავთუხისასა.


ხორცი მამთხოვა—მივართვი,  
ირჩევდა ხოხობისასა!

ღვინო მამთხოვა—მიუღე,  
ირჩევდა ბადაგისასა.

ცოლი მამთხოვა—ვერ მივე,  
მიმყვანდა სიდედრისასა.

გავხედევ, ხელი გაჰკიდა,  
ჭალა ნაჭაპნსა თმისასა.

გადმოშედა და ატარდა,  
იმედს ვარ ცუდი ყმისასა.  
ჰელი გავიკარ ფრანგულსი,  
ნაჩუქარს ცოლისძმისასა.  
წინ-წინ იმანვე დაშისწრო,  
ელვასა გვანდა ცინასა,  
მენაც კი შამოუყოლე,  
ბეჭნ მიასვენა ქვიშასა.  
მე დ ხირჩლამ ერთურთ ჩაჭროცე  
ქალა წავიდა ძმისასა,  
შინა მოგიე, ღელიო,  
ხირჩლა იქ ჭამდა მიწასა!



## დღეიმდე 6-ს გათამცებულა<sup>122</sup>

დღეიმც ნუ გათენებულა,  
ორშაბათ დილა მზიანი.


შებერტყეს ალაზნის თავი  
ცხვრიანი და ხაროვნიანი.

ფუნჩაისშვილებს წევქუთ  
სპილენძის კასრი ზიანი,

შეიტყვეს გომეწრელებმა,  
ცხენების დადგა გრიალი.

უთავსათ გარაიზემა  
ცხენს გაუნასკვა ძუაი;  
შეჯდა და შეარბენინა,  
საჯინჭრის გორი ქლდიანი.  
მთის ძირში შემოეწია

ღურჯაი ყუროფლიანი.  
 ასრია დ გამოაგორა  
 დიჩინი დოლბანდიანი.  
 ატირდა ფუნჩაის ქალი  
 გულმხურვლად გულჯავრიანი;  
 მამის გახედავს ბინასა,  
 ქოხ-ბაჟ ჩინს გადანგრეული.  
 არსად ჩანს ცხვარ და მეცხვარე,  
 მთას ეტყობ გადანავალი.  
 ბაკში წევს ფუნჩაიშვილი,  
 სისხლში არს ამორეული.  
 გაჭიმეს მტრისა შვილებმა.  
 საღილი შხამგარეული.



## უმების ბაასი<sup>123</sup>

ერთმანეთს ეუბნებიან საბატონო ყმები:  
ბატონს ჩამოვართმევენ, დაგვიყარეს  
ხმები!

როგორ ბიჭი,—როგორ არა,  
მაი სიტყვა უსათუოთ აპრილში იქნება.  
ერთმა ევერ დეიძახა, რომელი აპრი-  
ლიაო;  
ცხრაი წელი გევიღა, ის ხმაი, რომ დაყ-  
რილიაო.  
ავი და კაი ბატონი, ახლა ვინ გაარჩიოს,

ლმერთმა ჩვენი ბატონი ყველა თავდაღმა  
დააქციოს.

გუშინ ჩემმა ბატონმა მომიგზავნა კაცი,  
თავის დახსნა შემიკვეთა, ვერ ვიშოვე  
ფასი.

გაჯავრებული შემოხდა ზედა კარში,  
ომაით გამომითრია ჩემი დედაკაცი.



## ყმის სიმღერა<sup>124</sup>

ისევ ისე ამაყობენ,  
დგანან ისევ ძალაზედა,  
პატონყმობის გადავარდნა,  
როგორც ვატყობთ, ქალალდზეა.  
ბატონ-ყმანი გაიყარნენ,  
ერთად ვერვინ შეათვისა,  
თავაღმა თუ აზნაურმა,  
ჩუმად მისკა პირი პირსა:  
ჩვენ ჩვენი ყმები გავძარცოთ,  
განძად ეყოთ შვილი-შვილსა,  
თორემ ჩვენი ბატონყმობა


აღარ არის დიდი ხნისა.  
ეხლანდელი ყმაწვილები,  
ნაშენია კვირა დღისა,  
საჭმის დღითა ვიღა გვაცლის,  
მსახურნი ვართ ბატონისა.



## ანდუყავარ 125

ანდუყავარ სანაღიროდ  
საქართველოს წასულიყო,  
მშველი მოკლა, ჯეირანი,  
კურდღელმა ჭი დაცარაო.  
დამეთხოვე მაჩაბელო,  
ნუ ხარ ცუდი მასხარაო,  
არ მიხალო ცხენი ცხენსა,  
არ მომიკლა ჯაფარაო.  
გააქანა მაჩაბელმა,  
ცხენი ცხენსა ახალიაო,  
გაღმოვარდა ანდუყავარ,  
თავი ჭვანა ახალიაო.  
მამას კაცი გაუგზავნეს,

ანდუყაფარ მომკვდარაო;  
ანდუყაფარს რა მოჰკლავდა,  
თუ ღვინით არ დამთვრალაო?  
ჩემი უამური იყო,  
ჯანდაბა, თუ მომკვდარაო!  
დედას კაცი გაუგზავნეს,  
ანდუყაფარ მომკვდარაო;  
ანდუყაფარს რა მოჰკლავდა,  
თუ ღვინით არ დამთვრალაო,  
ლოყაზე სელი გაისვა,  
ცხელი ტრემლი დაღვარაო.



## ჟღელეს ჩამოდგა<sup>126</sup>

ჟღელეს ჩამოდგა უცხო ფრინველი,  
უცხო ფრინველი, ბოლოწითელი.

ბოლოწითელი ჟღელეს ჩამოდგა  
ჟღელეს ჩამოდგა ოსი და დვალი  
ოსი და დვალი, სულამ დვალეთი  
სულამ დვალეთი, ფაი ჭომალი,  
ფაი ჭომალი, ომი შეიქნა.

ომი შეიქნა, ცისკრისა უამსა  
ცისკრისა უამსა, გამთენიასა.

გამთენიასა ქნევა ხმალისა,  
ქნევა ხმალისა, ძგერა შუბისა,  
ძნერა შუბისა, შუბის ნალეჭი.  
შუბის ნალეჭი ზეცას ცვიოდა;

ზეცას ცვიოდა, ჩამოსცვიოდა.  
ჩამოცვიოდა მესამე დღესა,  
მესამე დღესა ჯაფარ გაიქცა,  
ჯაფარ გაიქცა, სვეტი წაიქცა.  
სვეტი წაიქცა, ჩვენი რა იქნა,  
ჩვენი რა იქნა, უკანი მოღიან!  
უკან მოღიან დაღალულები  
— ქვე რა მოაქცევ?  
— გიღლით წელები.



## გვერდი 127

შენ, ზაალ თუმანიშვილო,  
გაზრდილო; მეფის კარზედა,  
მებალახობა ვინ მოგცა,  
იმ ზემო ჭრთლის მთაზედა?  
უსამართლობა იხმარე,  
ორ-ორს იღებდი რვაზედა.  
მოვიდნენ, ბატონს შესჩივლეს  
თუმანიშვილის თავზედა.  
ბატონმა მეხლმეს უბრძანა;  
სმალი გალესე ნამზედა.  
დაჯდა, გალესა ფრანგული  
ცერი აუსო ფხაზედა.



## ପ୍ରଥମ ପଦିକାଳିକା<sup>128</sup>


ଅମା ସନ୍ଦର୍ଭରାବ ମାତ୍ରେ ଯାମିବ,  
ବ୍ୟାଙ୍ଗରା ମେତ୍ର ମଧ୍ୟବିନ୍ଦୁ ବ୍ୟାଲିଶାଳ,  
ଫିରାମାରିବ୍ୟେ ଦ୍ୱାଗରାତ୍ରିବିନ୍ଦୁତା,  
ପ୍ରାଣଦ୍ୱାରା ଏକିଧରୀ ମୃଦୁଲିଶାଳ!  
ଶୀଂଖରେ ତାଙ୍ଗିର ତାଙ୍ଗିରିଶା,  
ପୁଷ୍ପରାଜାଲାରି ଶ୍ଵରିଶାଳ.



## ფარსალან ბატონი 129

ჩვენსა ფარსალან ხელმწიფეს  
ჰქუა რამ შეუშალაო?  
ღელეში გზები შეგვიკრა;  
კაცი არ გაატარო.  
სამი ათასი თუმანი  
თავის ქალს გაატანაო.  
გაუხტა როჭიკაანთა,  
იწია ხმალ და ხმალაო.  
— ბიჭო, დაგვეხსენ, ფარსალან,  
ხუმრობად ეგე კმარაო!  
გაუხტა ციციაანთა,  
წყალს აქეთ გადმოყარაო,  
ბებნისი იმას აჩუქა,


ქარელი დაიტანაო.  
კარზედ გამართა წისქვილი,  
ზედ წყალი გადიუვანაო,  
ყუსურ-ყესური ვაჟკაცი  
სკოლაში გააბარაო.



## გიორგი ელი უაღ მომის

ნეტავ მანატრა, მანატრა,  
ეს ნატვრა ამიხდინაო,  
მებალის ქალსა მიქებენ,  
ლოვინში ჩამიწვინაო!  
მუკუზნის ლვინით დამსორო,  
ახმეტას დამაძინაო,  
გიორგი მეფე ყმაღ მომცა,  
ამილაწვარი შინაო.  
თორმეტი კოდი კორკოტი

ერთ ჯამად გამიჩინდო,  
ლალისყურის გალავანი  
ჯამად დამიღვა წინაო,  
სადაც დიდი ჭანდარია,  
კოვჭადა მომცა შინაო.



## ბეგჩანა გაგვიჩინაო <sup>131</sup>

გიორგი მეფემ რა გვიყო,  
რა საქმე. მოგვიხდინაო,  
გადმოგვირეკა რუსები,  
ბეგვარა გაგვიჩინაო.




## თვითონ დარჩა გშრალზედათ <sup>132</sup>

ქართლის მეფემ ააშენა  
ეკლესია მთაწედო,  
საქართველო სხვას ღაუთმო,  
თვითონ დარჩა მშრალზედათ.



## სამჯერ გაუყიდვას <sup>133</sup>

ციციშვილი ზაქარია  
ღმერთო, დასაჯე ძალზედა,  
ჯერ სამჯერ გაუყიდნივარ,  
კიდევ დამეძებს კვალზედა.



## ევ ვიყვე შენი ვაჭარი<sup>134</sup>

მთას ვიყავ, ცივი წყარო ვსვი,  
ბარად ჩამოველ—მაჭარი,  
უტავი, გოგო გაგყიდონ,  
მე ვიყო შენი ვაჭარი.




## გუბანის პირათა 135

მუხრანბატონის ყმობითა  
ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა,  
ვერც გავიტანე გუთანი,  
ვერც კალო ვლეწე მოზვრითა.




## ქსნის ხეველი 136

შეჰკრეს ქსნის ხეველით პირობა,  
ჩვენ ვიყვნეთ გულნი ძმანია,  
ჩვენ დავსვათ ჩვენთვის ხელმწიფე,  
გარს შემოვარტყათ ხმალია,  
ჩაუხტეთ მუხრან-ბატონსა,  
თავს დავაჭროთ ბანია.




## ამილახვრიანთ ქვება 137

უაი და ვაივასაო,  
ამილახვრიანთ ყმასაო,  
აჰკიდებენ ქვასაო,  
დააძახებენ „ვასაო!“  
ამილახვრიანთ მამასწრეს,  
წელი მომწყვიტეს ცემითა,  
შავთვალა ცწვარი წამართვეს,  
თვალი ამევსო ცრემლითა.  
ამილახვარი მეწვია  
სამზადისი მზა იყო,  
კარის ვენახი იქვე მაჭვს,  
მარანი ქვევრით მზა იყო,  
თოხლი ერთ ლუკმაღ შეჭამა,  
იმისთვის, აბა, რა იყო!



## თავადები 138

ციციაანთ სუფრა შერცხვეს,  
ჩავახიანთ გალობაო;  
კარებამდინ არ მივყვება,  
თარხნიაანთ წყალობაო.



## აზნაურები 139

არა ქვეყანას არ არის  
რაც ტყვიავს აზნაურია,  
ჭუდი გვერდზე დაუხურავს,  
როსტომისი აქვს გულია.

მუცელი აზნაურისა  
აღლი და ნახევარია,  
საწყალი გლეხიკაცისა,  
არც იმის ნახევარია.


ყველიერში ყველი ვწამე,  
აღდგომასა დიდი ვაცი  
ღმერთო, შენ გილათშენე  
კორდაძე \* და მისი კაცი.

\* აზნაურია



## ავი ბატონი<sup>140</sup>

ავი ბატონის ხელშიო,  
ვერ გავიმართე წელშიო,  
დილა-სალამოს მიძახის:  
— წალდი გაირჩვე წელშიო!



## ბატონი წაიღებს<sup>141</sup>


დმურთო, მოხედე კარალეთს,  
თოვლს დასდებს, ალარ აიღებს,  
რაც მოსავალი მოუვა,  
მოვა ბატონი წაიღებს.



## კური ბატონშებ ჭავართვა<sup>142</sup>

პაპიაშვილო პაპუნა,  
მაგრე რამ დაგაძაბუნა?

— ამდენსა აღმართ-დაღმართში,  
წელი მამწყვიტა გუდამა,  
პური ბატონშა წამართვა,  
— შენ მჭადი ჭამე მუდამა!



## ისენ ბაზართმევს<sup>149</sup>


მოდი მოუსვი კუდასო,  
ბატონი მოვცემს პურქაო,  
მოგცემს და ისევ წაგართმევს,  
ნუ დაგაკლდება გულხაო.



## ବାଣିଜ୍ୟକାରୀ ୧୫


ଦାଶାଖିତେବେ ମେହାଲୁନ୍ତ୍ର,  
ବୁଦ୍ଧିମତ୍ତାରେ ପାର୍ଵିନ୍ଦା \*  
ବିଳକ୍ଷମିତାରେ ଅନ୍ତର୍ଗତ  
କାମମେହିବା ଏବଂ ପାର୍ଵିନ୍ଦା.

\* କାରିତାଲିମି ସନ୍ତୁଷ୍ଟିରେ




## ორი ბატონის պատ

ორი ბატონის պմა զոյզաց,  
ხան ուսա մըշեմլա, ხան յւսա.  
ოրոց յիշ դլես դանեռընցէ,  
ხան ու զութուրե, ხան յւսա.



## ეგრე იარე ლარიბო <sup>146</sup>

ეგრე იარე, ლარიბო,  
კარი არავინ გაფილო;  
ვისაც კარებზე მიადეჭ,  
ყველამ მასხარად აგილო.



## სპალეი ცეცხლს ვეღარ დავანთები <sup>147</sup>

თავადმა და აზნაურმა  
თვითონ დააწყეს პლანები,  
ხელმწიფეს ქალალდი მოსცა,  
გზაზე გაუბა ლარები.

— შენი ჭირიმე, ხელმწიფევ,  
არა გვყავს ბევრის ხარები!  
როცა ქალალდი მოვიდა,  
მაშინ დაგვიდგა თვალები.  
სახლში ცეცხლს ვეღარ დავანთები,  
გამოგვეხურა კარები.  
ჩვენ ცოლებს ვერ შევინახავთ,  
ტყვილადა ვყევართ ქმარები.




## ნახევარია სევისაო <sup>148</sup>

თარიმან, შენსა ვენახსა  
ჭიგო უდგია მსხლისაო:  
რაც იმას ღვინო მოუვა  
ნახევარია სხვისაო.




## რისთვის მიწყარები<sup>149</sup>

რისთვის მიწურები ავალო,  
შენი ყმა აღარა გარო,  
თუ მინდა ჩრდილში დავჯდები,  
მინდა მწვანეზე გავალო.



## ბატონიშვილის გადავარდა 159

კამეჩების არტალაო,  
საკნიაზო გამხდარაო,  
ბატონყმობა გადავარდა,  
სამოვარი ჩამჭრალაო.



## ასე როდი მეგონა<sup>151</sup>

ბატონყმობა გადავარდა,  
ასე როდი მეგონა,  
თუ ხელმწიფე ტყუილს იტყვის,  
ასე როდი მეგონა!  
მეგონა, მეგონა,  
ასე როდი მეგონა!  
თუ ხელმწიფე ტყუილს იტყვის.  
ასე როდი მეგონა!



## გლეხო კაცო, გაიხარე<sup>152</sup>

ბატონყმობა ვაღავარდა,  
გლეხო კაცო ვაიხარე,  
აწნაურო და თავადო,  
თავში კოხი-ქვა იხალე.



## შპობის მოსკოვა<sup>153</sup>

თავადებშა რომ გაიგეს,  
ვაი დედი თქვენის მზესა!  
ერთმანეთსა გადაწედეს,  
რჯულიც ბევრი აგინესა:  
ეგ ჩვენი უბედურება,  
ჩვენი ცოდვით მოგვიხდესა:  
ქვრივსა ობლებს—ვუყიდიდით,  
ვაწუხებდით მსახურებსა,

სამსახურს არ ვჯერდებოდით,  
ნიაღაგ ვახდენდით გლეხსა,  
ეხლა იმის გულისათვის,  
თვით ჩვენ მიგვცეს განსაკუდელსა.



## ტჲვის ხსნა<sup>154</sup>

(ისტორიული)

ერთხელ ძალზე მოვიქანცე, მიმეძინა ერთ  
დიღ ხესთან:

ბელაქნელთა დამიჭირეს, თასმით შემ-  
კრეს მაგრა ხელთა,

წამიყვანეს ტყვედა, მტანჯეს,

ცრემლით ვჩივი მაღალ ღმერთთან.

გაღმიყვანეს ანწუხსშიგა, რაჯა ბელადს  
ჩამაბარეს,

შიგ ჩამაგდეს ხაროშიგა, ზედ დიდი ქვა  
დამატარეს.

არცა ჰქონდა ცას ნათელი, არც შუქები  
მზე და მთვარეს.

დავყავ ხანი იმ ხაროში, საკოდავად ვი-  
ტანჯოდი,

წვერი, თმანიც შემებრდა, ჭუჭყი მწვავ-  
და, ვიდაგოდი.

ომანისა იმედობას ჩემსა გულში ვიძა-  
ხოდი,

გამოიხსნის ტყვეობილან, სუ ხო ამას ვი-  
კვეხოდი.

მაღლა ღმერს, იმ ჩემს გამჩენსა ომანის  
გულს ეს გაეგო,


ხმალსა თურმე დუმა გაჰკრა და ქარქაშ-  
ში ისე ჩასვა,

მუცლის ძრომით მოპარულა, ცურვით  
მიწას გულიც ეგო:

ყარაფლსაც სძინებოდა, იმის ხელით სი-  
კვდილ ერგო.

ამომიყვანა ომანმა, შემიხსნა ხელთ-ფეხთ  
ბუნდები,

ରୁ ପାପୁଗରଦ୍ୟେଲା, ରୁ ଗିତଶରା, ସିର୍ପୁରୁଷଙ୍କ  
ଘୋନ ଖନଦେହି,  
ଶବ୍ଦମୌଳି ଶେଷିଲା ଘୁଲଦାଘୁଲ, ମାତି ଲାଗୁ  
ମନଦିଲ ପୁରୁଷରେ:  
ପ୍ରକାଶରୀତି ରୂପରୀତି ମଧ୍ୟରେଥି, ନିମିତ ଅନ୍ତରେ  
ଘୁଲଦେହି.



## ბაჩლით მოვიდა ამბავი<sup>155</sup>

ბაჩლით \* მოვიდა ამბავი,  
ყაჩალთ წაიღეს ცხვარია,  
გაჯავრდენ ფშავის შვილები,  
წელზე შაირტყეს ხმალია,  
წავიდენ აჩქარებითა,  
კონდახებ მიაჭვთ ჩქამია,  
შაბრუნდენ ფალლაურზედა,  
შაუძღვათ თეითანია,  
მაღლა რომ შეხდნენ მთაზედა,  
დაუზვდა მტერთა ჯარია.  
შაიჭრენ შუა ჯარშია,  
აღარ დაზოგეს თავია.  
რას იქმნენ მარტულები,

\* სოფლის სახელია

არვინ უჭირამ ჯარია.  
ოთხივ იქ მოკვდა ფშაველი,  
დაბრუნდა ცოდვა-ბრალია.  
ოთხი თუ მოკვდა, ფშაველი,  
ოთხიც ხომ სხვებიც მკვდარია,  
საწყალი მავათ დედები,  
გამეღვარა კარია,  
შანდობას ეუბნებიან,  
ფხიშელი და მკვდარია.  
შაგრამ რას უშველ შანდობა,  
შორაით საუბარია,  
ნურავის გავიკვირდებათ—  
ბუთლაის ნაუბარია.



## თუშთა ბრძოლა 156

ალვანში თუშის შვილები  
ხმალს ულესავენ პირსაო,  
თოფებსა ძალზე ღმართავენ,  
ჯავრი გულს მოდის მტრისაო,  
დაუბარებენ ივანეს,  
ელიზბარიძის შვილსაო,  
შენაქოშიც.\* ბაკურას, გულაძისა, ჭერი-  
ტიშვილსაო.

წამოვიდოდა ბაკურა, ჯოგი თან მოს-  
დევს მგლისაო,  
შაგროვდებიან ყვარელში, შუა ბაზრისა  
პირსაო,

\* სოფელია.

საომრად დროშა ჩეულნი, ეკითხებიან  
გმირსაო.

— დილაზე საით წავიდეთ, საით ლა გვა-  
ზამ პირსაო?

ბაკურა ეტყვის: გმირთ-გმირნო, ნუ ჩქა-  
რობთ, არა ჭირსაო,  
მოულოდილოთ ივანეს, ელიზბარიძის  
შვილსაო,

ეს ვაუიც გულოვანია, მეღვრად მებრ-  
ძოლი მტრისაო.

ხალხის ნაპირს გიორგი დგას, მრისხანედ  
წარბთა ხრისაო,

თოფ გაბუდული, მხართ კიდავ, ვადა  
უნათებს ხმლისაო,

გიორგი ეტყვის ბაკურას: კაცო რას აჭ-  
ბობ, რასაო,

რათ ულოდინებო ივანეს, გზაც თითონ  
ვიცით მთისაო,

რო აქებთ ბაგვაზელებსა, მათი გაცნობა  
გვინდაო.

წინ გაუძლვება ბაკურა, გზა გრძელიც  
შამოკლდებაო,

ბაგვაზის მთებსა გადადგნეს, შუგულას  
იქით მხრისაო.

ჩეეთარეშნენ თუშები, მწყემსებ დახო-  
ცეს ცხვრისაო.

მთისა მშვენიერ კალთებზე უივილი მო-  
დის ცხვრისაო,

ერთი გეეჭცა მეცხვარე, ტორივით სოფ-  
ლად გაფრინდა.

შეიტყვეს ბაგვაზელებმა, მოღიან ცხენებ  
ხეთქვითა,

თუშნი გორებში გამავრდენ, შიში არა  
აქვთ მტრისაო,

დილ-საღამომდე იომეს, სულ გააწითლეს  
ქვიშაო.

გვალეთ, \* ბიჭებო, გვეყოფა, გამარჯვნა  
ჩვიდმეტისაო.

გამობრუნდება ბაკური, ღიმილი მოსდის  
პირსაო,

წამოვლენ კახეთისაკენ, შაირებისა თქმი-  
თაო.

ყვარელში რო ჩამოვიდეს, სულ ხალხი  
გაკვირდებაო,  
რა ხალხი ამოუკმეტავ, ხელები მოაქვთ  
მტრისაო,  
წინ მიუძღვება ბაკურა, ვადა უნათებს  
ხმლისაო.

შენი ჭირიმე ბაკურა, სულამ შენ ხმალი  
კრისაო,  
დედამან შვილი გაზიარდოს, მტრისა და  
ცემი ძირსაო,  
ბაკურავ, შენისთანანი, თავის  
მომკვეთნი ხმლითაო.



## გიგა და გიორგი<sup>157</sup>

(ვარიანტი).

ატირდა თუშის ქალიო,  
არ მომივიღა ქმარიო!  
ვაი თუ დახვდნენ აბრაგნი,  
მოაგდებინეს თავიო.  
ვინ აქო ჩათმას ბალახი,  
ცხვრისათვის საძოვარიო?  
გიგამა და გიორგიმა  
ჩათმას ჩალალეს ცხვარიო.  
აბა, ცხვარო, იბალახე,  
ეს კარგი საძოვარიო.  
მთაში ამბავი გასულა  
ჩათმას დგას თუშის ცხვარიო.

სარჩო მომდგარა, ყაჩალნო,  
ადვილად საშოვარიო.  
ამდგარა და წამოსულა,  
ავაზაკთ მთელი ჯარიო.  
საღამო ხანი მოვიღა,  
ცამ მოიხვია ბურიო,  
გიგამაც უთხრა გიორგის,  
კარგად შეიქმენ გულიო,  
გიგავ, მოგიძვდეს გიორგი,  
თუ ვერ მოგაბას მხარიო,  
თუნდა მოვიდეს საომრად  
ჭარი და ბელაქანიო!  
შუალამისას დაეცნენ,  
აღინეს სისხლის ღვარიო,  
ასტეხეს თოფის ქუხილი  
შავად დახურეს ტანიო.  
გიორგი მტრებში შეფრინდა  
მტრებმა დააგდო განიო,  
კაფა და კაფა ვაჟკაცნი,  
როგორც ნიდირმა ცხვარიო.  
გიგას გიორგი მოუკლეს,  
საწყალს მოსწყვიტეს მხარიო.  
გაჯავრებულმა გიგამა

მკლავში მოიცა ძალო,  
ორი გიორგის მოუკლა,  
იქ დაგჭირდება ყმანიო!  
ერთიც მოუკლა, ძალლებსა  
ურიეთ სალაფავიო!  
ისე ჩაკუწეს გიგაცა,  
როგორც საბალბე მხალიო.  
გიგაცა მაჰკლეს გიორგიც,  
ისე წაასხეს ცხვარიო.  
კაცი გაღასვეს ცხენზედა,  
ქვეშ უქრის ნიავქარიო,  
გასწი და თუშებს უთხარი,  
წაასხეს თქვენი ცხვარიო.  
ჩვენსა ცხვარს ვინ წაასხამდა,  
გიგა, გიო იქ არიო,  
გიგაც მოკლეს და გიორგიც,  
ისე წაასხეს ცვარიო.  
ბაბურაული ტრიალებს,  
მხარზედ შვენოდა ხმალიო,  
შეატყობინეთ კახეთსა,  
მთა გასაჭირში არიო.  
კახთა რჩეულმა ბიჭებმა  
შეკრიფეს კოხტა ჯარიო.

კანეთის ჯარსა სარდლობდა  
დევგმირი ელიზბარიო,  
ცხენსა მათრახი გადასდო,  
ააძრო ბოლტი ტყავიო,  
გაფრინდი ოხერ-ტიალო,  
თორემ მოგჭერი თავიო,  
აგათენებოს მომწიე,  
სად მიღის თუშის ცხვარიო.  
ბელაქანს რომ გადახედეს,  
ქურდებს მიუდით ცხვარიო.  
ბაბურაულმა ესროლა,  
ვაცხა მოსწყვიტა რქანიო.  
საით მიუძღვი, ტიალო,  
სად მიგყავს ჩვენი ცხვარიო?  
წინ ელიზბარი მივარდა,  
თავზედ გადასდის ღვარიო.  
ყაჩალათ ბელადი მოუკლა,  
კისერზედ მოსჭრა თავიო.  
დაე იმათაც გაიგონ,  
ჯიშიანი გვაქვს გვარიო.  
ისე გაწყვიტეს ყაჩალნი,  
მოამბე ალარ არიო,  
შინისკენ მოატრიალეს

ჰითა-ათასი ცხვარიო.

რათა თამაშობთ, ვაცებლ  
გიგა, გიორგი მკვდარიო.  
ძალლები ისე ღმუოდენ,  
როგორც შვილმკვდარი ქალიც  
შვიდი დღე ღამე ვაცებმაც  
არ გაიჭირეს რქანიო.  
ამ შაირის გამომთქმელი  
აღვანში თუშის ქალიო.  
შვიდი თვის ნაქორწილარსა,  
შეც იქ მომიკლეს ქმარიო  
საჩუქრად გადასდიოდა,  
ხუთასი დედა ცხვარიო,  
როგორც შაირი გამოვთქვი:  
ისე გიცხონდეს მკვდარიო.



## როსტომ ზურაბიანი<sup>158</sup>

ედემშია აყვავდება თავხოხობი ყურეთ  
იღებს.

ბრძენი იტყვის, ვესვრი ბადეს,  
გამოვიყვან შავ როსტომსა.

ცუდია ბადე ნასროლი, თუ კაცსა ემარ-  
ცხებისა

ზურაბ მჯდომი კოშკსა ჰევანდა, გარს  
რო ევლო გალავანი,  
მარჯვნივ უჯდა ანგაროწი, მარცხნივ  
თოფმა ფალავანა.

ბნელსა, უკუნსა ღამესა როსტომ საჭვ-  
რეტლად არისა,

ამაშია ანგაროწი, აღგა გარეთ გამოვიდა,  
ნახა როსტომ დამალული,  
გაუკვირდა, ვინ მოსულა: ცალკალთასა

ხელი სტაცა, სამთლისაკენ წამოსჭია.  
პირი მაჩვენე, გაგსინჯო, ვინა ხარ, სა-  
დაურთავან;  
ხარ ყველაზე უმაღლესი ამა ჯართავან  
მსხდომთავან.  
კისერში მუშტი წამოჰქრა, ფიცხლავ და-  
ცალა სულთავან.  
გამოვიდნენ, მკვდარი ჰპოვეს, გლოვნა  
შეექმნება ზარად.  
ვინ მოგვიკლა ანგაროზი, ვინ მოგვედო  
ცეცხლის ალად?  
ავდგეთ, ავიღოთ შუბები, ყველგნივ მო-  
ვიკვლიოთ გზები.  
ვინცობ ჯავრი ჩვენც ვიყაროთ, მისი სი-  
სხლი შევსვათ წყალად.  
გათენდა და გაანათა დღე საწუთო, მთა  
და ბარი.  
აღგა ზურაბ, შეიკაზმა, ტანთ ჩაიცვა  
საომარი;  
ერანელთა თავ წაადგა პქონდა ქედა  
საომარი.  
„წარმოდექით, ერანელნო, გინდა ერთი,  
გინდა ორი,

თუ არ იცით, მე გასწავლით როგორც  
უნდა გმირთა ომი.

ინადირა ერანელნი ჩიტისაგან უფრო ბე-  
ვრი.

ცალ მხარესა შეუტია, ვით რომ ცამ-  
დაიგრგვრინა,

ცალი მხარე სულ გაწყვიტა, სამოცდა  
ათი სპილოტანი.

ზურაბ გმირი თავ დაბრუნდა, ვით რომ  
მზესა დალაბანდი.

ამბობდა, ქაქაოს რა იქნა, მოვკლა ჩემისა  
ხელითა,

მოწიფულობრივ აქებდენ მეომართა გამ-  
ჩენითა.

ავილო შუბის წვერითა ავაგდო მაღლა  
ცაშია.

ცხენები ცხენთა დააბეს, ორნივ იყვნენ  
ერთად ჭმულნი,

მათი ჩექმების ჭუსლები სამარეს კარ-  
გააღებდნენ.

მეტისმეტის მამშრალობით, სისხლსა და  
ოფლსა ხმარობდნენ.

ა, ზურაბ ჰევადრა მოკითხვა მოცინარისა—  
პირითა:

- შენ ხარ როსტომ ღასტამიძე, შვილი  
შვილი საამისა.
- არა თუ როსტომ არა ვარ, არცა  
იმათნი გვარისა,  
ერთი თურქი ვარ მოლაშქრე, მამკვლე-  
ლი მუზამბარისა,  
მტერთა დამღვრელი სისხლისა, ტანთა  
მამკვეთი თავისა!
- ეგ რა მითხარ, ბერო კაცო, დამიკო-  
დე წყლული გული,  
გიჯობს რო შინ წასულიყავ, მართლა  
დაგელია სული.
- ყმაწვილო, სეილანი ხარ, წითელი ჭარმა-  
გოსანი.  
წინა უდგია ღროშანი, ტახტი გაქვს პა-  
ტიოსანი;  
ყმაწვილო, ტყუილად აობლებ, აობლებ  
ცუდად ენასა,  
გუშინ ერთმანეთს დავპირდით, ჩვენ ერ-  
თმანეთის ჩკენასა.

ვეიჯობს ომ გადავიხალოთ, ჩვენ ერთმა-  
ნეთის ცქერასა.

ცალი წელი კისერს მოსდო, ცალი ზარ-  
კალს შემოხვევია.

ბერიკაცი ვარ, ნუ მამკლავ, ყველა და-  
გიწყებს გმობასა,

საცა რომ შემომეყრები, გეტყვი შვილსა  
და ძმობასა.

— ამიშვისარ, ბეროკაცო, ლაყაფს ალარ  
უნდა კერვა,

დღეის შემდგომ გამიფრთხილდი სულა  
გეღგმის ჩემგნით შენა.

როსტომ ჯარში ამოვიდა, დამშვრალი,  
და დამჭრეული,

წინ თავადნი მოეგებენ, ისინიც მათთან  
რეულნი.

ბევრი სული ამოწყდება, წაირყვნება სის-  
ხლის ღვარი.

უიმედო დასხდებიან ციხისა და ტახტი  
საგან.

ური ლუკმა ძლივს შეჭამა, ისიც რა გუ-  
ლის რევითა.

იმ ლამეს ლმერთსა ეხვეწა სიტყვითა სა-  
კურველილა;  
ნუ ამოაგდებ ქაქაოზ, ნურცა ერან სა-  
ძირკვლითა,  
ნურცა შეარცხვენ ჩემ თავსა, ფალავნა  
სახელით.

სიმძიმით მიწა ვერ კზიდე, • მასკვლავთა  
განაცხადია,  
ომში ვეცადე, ხმალშიაც, თოფშიაც ვა-  
მოვცადია.  
ვერა უყავი მე იმას, ჟველა იმასთან ჩან-  
დია.

ბარგი იქავე დასდევი, საცა აქამდინ  
მდებია,  
მე იმ ფალავნის სიკვდილი მე ახლოს მი-  
საზრებია,

ოუ მამერევა მე ისა, ვარ ღირსი გადამხ-  
დელია.

აქა ერთი ფალავანი სპილოტანსა ერკი-  
ნება,  
წინაპირველ არას იტყვის, თავ პატიოთ  
მიიღებსა;

თუ მეორედ მოერევი, გააშორებ თავ ტა-  
ნიღვან,

საქვეყნურად გაიტანსა.

მე შემაშულეთა ნიშანი, ნიშანი სულ მე-  
ნება;

ბეჭაყრა და კბილკარიზა მამეულად  
მემსგავსება!

სასიკვდილოდ ვერა გმეტავ,

გული რასმე მემოწმება,

ცალი ხელი კისერს მოსდო, ცალი ზარ-  
კალ შემოხვია,

ასწია და ძელმა დასცა, დააძახა რაბონია.

რაბონ დასცა აღგილზედან, ტვინი აღ-  
გილ გაურყია.

თავს უმალის მოკვეთისა სხვა აღარა  
დაულია.

დაიძახეს: ფალავანი, შვილი მამას მოე-  
რია.

„შენ, ბერიკაცო, რათ მომკალ, ხმალი  
რათ შემე ვაღამდინ,

შენ მამაჩემსა როსტომსა, საღ ემალები,  
საღამდინ?

ზღვას გახვალ, ზღვას გამოგყვება, ხმელეთ ვერ დაემალები.

გიჯობს, რომ ზღვაში შეხვიდე, თევზისა ჭკუა აიღო,

ან იგი ცაში ახვიდე, მარსკვლავთ არენი აიღო.

— შე ბოზო დიაცის შვილო საღა გაქვს როსტომ ნიშანი?

ასწია მარჯვენა მხარსა, ელვა გამოდის მზისანი.

დადგა უშტოვოს ხე ვითა, აშტოვდა ფურცელივითა,

ამ რომ შენ სიტყვა მიამბე, ვაი დავკარგი მე იქა.

შენ, ქაქაოზო მეფეო, შენთვის შევები დევსაო,

წამალი გამომიგზავნე ზურაბ მეცლება ხელთაო.

წამალი გამოუგზავნეს, გიურ დიაკვნის ხელთაო,

წაჰკრა ფეხი, წააჭცია, სიცოცხლეს აღარ ეღირსა..

ზურაბ წყლის პირ დაასვენა, აღგა როს-  
ტომ წამოვიდა

ქაქაოზისკენ, ვით რომ ქარი,  
ქაოზ შვილნი დაუხოცა,  
ეგონება ლვინით მთვრალნი,  
როსტომს კაცი მოეგება,  
ჰკადრა: რათ გინდა წამალი,  
„ზურაბ ამ ქვეყნით წავიდა“.  
ერთი ისეთი დასჭექა, იმის ხმა ზეცას  
ავიდა.

## შესრული როსტომის ცოლს, ზურაბის დედას

ე, ლაშქარნი თურანელნი, თუმცა ერთისა  
რკენასა  
ქებით მოვართმევ სალამსა, მტირალი,  
შეჭირვებული,  
ზურაბ მოგიკლეს ღალატით, ღღე შენთან  
შედარებული,  
მანდ ჩემი თავი ეძებე, ღრუბელთან შეს-  
წორებული.

## ორლეა პოსტია როსტოა:

უხედარო, სახედარო, წადი სძოვე მაღ-  
ლა მთასა,  
ახლო ნაღირს ნურის მოჰკლავ, ახალ  
გაზრდა მუხლად თმასა,  
ერანელზი სულ გაწყვეტა იღარ იყვეს  
გვარი მისი,  
მამამ შვილი როგორ მოჰკლას, გვერდ  
რო აქლდეს ყმა თავისი.

---

\* ეს ამბავი წარმოაღვენს ფირდოუსის „შაპნამეს“  
ნაწყვეტს, სახელდობრ როსტომიანის 2744 ტავ-  
პიდან ბოლომდის, ხალხურად გადაკეთებულს  
(აბულაძის გამოცემა, „შაპნამე“ — 1916 წ.  
გვ. 739 და შემდეგ.).



## ვიცეილ და მაცეილ<sup>159</sup>

(სვანური)

1.

საბრალო დოლელებო, საცოდაო დოლ  
ლებო

პურის ქერქი ეცერლები,  
ასე ეცერლებს ვერ გავუძლებთ,  
ბავშვებს აკვნებით გვართმევენ,  
ჩვენ ცოლებთან ისინი წვებიან,  
ფისი დაესხათ სორთმანშერლებს,  
მათ ბატონობა გლახა იციან.

ასე ჩვენ მათ ვერ გაუძლებთ  
შევიკრიბენით ბექოს ხევი,

თავი შევიყარეთ დოლარუფას  
ორი კაცი ავირჩიეთ,  
სახელად ერქვათ ვიცბილ და მაცბილ.  
სამ წელიწადს ტყვია-წამალს იმზადებ-  
დენ.

სამი წლის შემდეგ წინ აღუდეჭით  
ჩვენს ბატონებს სორთმანშერლებს.

### 2.

ლადრელის ძირში ციხე იღგა,  
შიგ შევედით ამ ციხეში,  
სოფლის სამუქაფოდ ვიყოთ ჩვენა.  
სამი წელი ციხეში დავრჩით.  
ეცერ-ცხუმარლები შევაწუხეთ,  
ყანაში გუთანი არ გამოვატანინეთ,  
ხენა-თესვა არ დავანებეთ.

### 3.

თავს იყრიან ეცერლები...  
ეცერის ლაშქარი მოგვადგა.  
ლაშქარის უფროსია მედიდური ავლაყა  
იმ ლაშეს ჯარი მოგვადგა,

თავებელი ავლაყი წინ უძღვოდა,  
ტანზედ ეცვა თეთრი ჩოხა,  
ბნელ ლამეში ანათეპდა.  
ავლაყ, შენ გერჩია  
წარბშელებილ ცოლთან წოლა.  
მას დაიტაცბენ ეცერელი ბუშები  
ესროლეს ციხიდან თოფები.  
ერთმა გულში მოარტყა  
მეორემ მოახვედრა მარჯვენა ბეჭში,  
თეთრი ტანისამოსი წითლად შეულებეს  
წითლად შეულებეს მედიდურ ავლაყს.  
ამ ლამეს ჯარი უკან გაბრუნდა.

## 4.

შეორე ლამეს ისევ მოგვადგა,  
ისევ მოგვადგა ცხუმარის ჯარი,  
მართალი გაგული ჯარისთავი,  
გაგულ, სიმართლით მოგივა, რაც მო-  
გივა!

წელს ზევით არ მოგარტყამთ,  
ერთს თეძოში ტყვიას მოგცემთ.  
ესროლეს ციხიდან თოფები.

მარცხენა ოქძოზე წამოაწვინეს.  
ამ ღამეს ლაშქარი კიდევ გაბრუნდა.

5.

მესამე ღამეს ისევ მოგვადა  
ძირამოსაგდები რიჩვიანები,  
შვილი კერა რიჩვიანები,  
არ ილევა გვარი მათი.

ტყვიის საფრად კევრები დაიკავეს,  
ციხის ძირამდე ისე მოგვეპარნენ,  
ამ ციხეს დაუწყეს ძირის გამოთხრა,  
კვარის ჯირკვლებს ჭვეშ უწყობდენ.  
საბრალო ძმებო, საცოდაო ძმებო,  
ჩვენი თავი დავიტიროთ.

6

სამ წელს წამალს ვიმზადებდით,  
სამი წელი ციხეში ვიყავით,  
ოჯახის და ცხოვრების არაფერი ვიცით,  
ცოლი და შვილი არ გვინახავს  
ეცერი და ცხუმარი ავიკელით,  
მათი წინამძღოლები ჩვენ მოვკალით,

ოხ, საბრალო ვიცტილ და მაცტილ,  
საჭმელ-სასმელი ცოტა დაგვრჩა,  
ტყვია-წამალი შემოგველია,  
ერთი ქოთანი ცერცვი დაგვრჩა,  
ოთხი საზომი წამალი და ოთხ-ოთხი  
ტყვია.

საბრალო ძმებო, საცოდაო ძმებო.  
ძირიდან ალი ზევითა გვწვდება.

7

დიდთავიანი ბატონი სორთმანი აივანზე  
ზის,


ძალიან უხარია ჩვენი დაღუპვა,  
სიცილის გრგვინვა ჩვენ გვაგონებს.  
საბრალო ძმებო, საცოდავო ძმებო,  
მოდით, ჩვენ თოფები გამოვსცალოთ.  
გახურებული იყო ნაომარი, ვით ნაკვერ-  
ჩხალი.

ხელის მოკიდება ძალიან გვიჭირდა,  
ვესროლეთ ციხიდან თოფები,  
ერთმა მოვარტყით სორთმანსა წარბში  
მეორემ შიგ გულში მოვახვედრეთ.

წითელი სისხლი იქ დავინახეთ,  
ოჰ, ჩეტავი ჩვენ, სისხლ-აღებული აღარ  
დავრჩით,


თავი ჩვენი კი ვისისხლეთ,  
დიდი სორთმანი მოგვიყლეს.

ჩვენი ცხოვრება აღარ გვექნება  
სორთმანს კი ბატონობა არ ექნება.  
საბრალო ძმებო, საცოდავო ძმებო,  
ძმებს ციხე ენგრევათ,  
სორთმანიც ამ დროს სული ღაფიერს...  
ძმებს ციხე წაეჭდათ,  
სორთმანს სული ამოსძერა...



## ჭეკუცია<sup>160</sup>

ბაიას ჩაღვა ჭეკუცია,  
პრიპტავი და პომპოლიკი.  
ჯერაც ჭიდევ იქვე ყრია  
იმათ ცხენის ჩონჩორიკი!  
ხალხის ცემა ძიელ იყო,  
გათრახების ტონტორიკი;  
გამასახლისს ძიელ სცემეს,  
ჩაუმტვრიეს კუდის რიკი.  
შვილებს ანდერძათ დაუგდო,—  
კვლავაც ჩაფრებს გაუფრთხილდი.



## ჭვიადა ლობჟანიქე<sup>161</sup>

1.

პირველ საყომნი ვყოფილვართ  
ჩეენ თრის ბატონისაო,  
თრთა ძმათ არეშიძეთა,  
ნუ სწყალობს პირი ღვთისაო.  
არ ნაზოგავან ქვრივ-ობოლთ,  
ცოლებს წართმევან ყმებსაო,  
არ შინებიათ ცოდვისა,  
არ ნაკითხავან ღმერთსაო,  
ღმერთმა ულხინოს ზვიადას  
ზვიადას ლობჟანიძესო,  
არ დაელევა შენდობა,  
სანამ მზე მიწას უმზერსო.  
დიდხანს ყოფილა ზვიადა,

რომ არ შეერთო ცოლით,  
ზიზღის თვალით ნაყურება,  
ცოლს რომ წართავა ყოვლით.

## 2.

ზვიადას უთქვამს: ღებურნო,  
მიკვირს რატომ არ გრცხვენიათ,  
რომ ამდენი ბიაბრობა  
პატონთვის შეგირჩენიათ?  
ჯვარს იწერთ, ცოლები მოგყავთ  
უწინ ბატონთან მიგყავთო;  
გამხდარხართ ღედაკაცები,  
მათი ჩიქილით დახვალთო.  
კაცი უნდა კაცი იყოს,  
არ გავდეს ბებრუცანასა,  
არ იკრუნჩხოდეს შიშითა,  
ფეხქვეშ არ ეგოს ყველასა.  
დროა, პასუხი გავსცეთ მტერს,  
ბატონთ დავარტყათ მეხირ,  
ამიერიდან მათ გვარსა  
ამოუწმინდოთ ფეხიო.  
ხომ კარგად იცნობთ გაგნიას,

ბატონთა მოურავსაო?  
დავჭრთამოთ, დავასაჩუქროთ,  
მტრებს ის ჩაგვიგდებს ხელთაო.  
სანადიროდ წამოიყვანს,  
ჩვენ ჩავესაფრეთ ხევსაო,  
ჯილა შვილდები ვესროლოთ,  
თავი ვაცნობოთ მტერსაო.

3.

ღებულთა ახალ გაუათა  
ზეიადას დასცეს დასტური;  
დაიპატიჟეს გაგნია,  
მიართვეს ღვინო და პური.  
შეზარხოშებულ მოურავს  
ღებულთა უთხრეს ყოველი,  
უანგარიშო აჩუქეს,  
ფიციც მოსთხოვეს ცხოველი.  
გაგნიამ უთხრა: „ხვალ დილის  
წამოვალთ სანადიროსა,  
ღამე იქნება, რომ მოვალთ,  
წინ ჭალის ხიდის ბოლოსა;  
წინ ჭალის ხიდის კურტბებში

მაგრა დაგვხვდით ჩასაფრულები,  
წინეთ მე შევალ ხიღზედა,  
არ აგიჩქარდეთ გულები,  
არვინ მესროლოთ ისარი,  
არ წაიწყმინდოთ სულები.  
ჩემს უკან ვინც დაინახოთ,  
ჰკა იმათ მწვავე ისრები,  
არ დაზოგოთ მოსაკლავად,  
ორთავ დასჭერით კისრები,  
შეიარაღდენ ღებურნი,  
გასწიეს წინ ჭალისკენა,  
გაგნიაც დაფიქრებული,  
გასწია შინისაკენა.

4.

ღამე ყოფილა, მისულა  
გაგნია ბატონის სახლში.  
წამდგარა ბატონების წინ,  
უთქვამს: წამობრძანდით მთაში!  
ამბობენ, თურმე ნაღირი  
ურდოთ დაღის საჯიხვეში,  
არ იქნება, მონაღირებ

რომ არ მოკლას ოთხი დღეში.  
ხელი შევავლოთ შვილდუბაპონტი,  
წვერი ვულესოთ ისრებსო,  
სიზმარიც ვნახე მისთანა,  
რომ ბლომად დავცხოთ ჯიხვებსო.  
ბატონთა უთხრეს მოურავს:  
წავიდეთ, ჩემო გაგნია,  
მაგრამ რა ვქნათ, გვეშინია,  
სიზმრებმა სულ გადავვრია.  
ერთმა სთჭვა: სიზმარი ვნახე,  
მე ვსტიროდი არა ცრემლით,  
ვკვნესოდი, სული მიწუხდა,  
გული სდულდა მღელვარებით,  
ამერია თავში ტვინი,  
სასიკვდილოდ მოვიწურე,  
მუჯირას ვებჯინებოდი,  
შემაგრება მოვისურვე,  
მაგრამ მესროლეს ისარი,  
ისარი მოშხამულიო,  
სიცოცხლის დღე დამიმწარეს,  
გლახ დამიკოდეს გულიო.  
ეს ვნახე, ჩემო გაგნია,  
მე წუხელ სიზმარშიდაო

ლა მიტომ წასვლას ვიშიშვა  
დღეს სანადიროდ მთაშიო.  
— ბატონო, ნება მიბოძეთ,  
ეხლავ აგიხსნათ სიზმარი,  
სულ ჭეშმარიტს მოგახსენებ.  
თუ მწამის დღეის წირვის ზარი.  
ბლომად დახოცავთ ჯიხვებსა,  
ჯიხვებსა შავი კლდისაო,  
ზურგს ავიკიდებ მძიმე ტვირთს,  
მოკლულსა ნადირისაო,  
დალლილნი, დაქანცულები,  
მუჯირებს დავებჯინებით,  
სვენებ-სვენებით წამოვალთ,  
შინისკენ გავეშურებით.  
ეს გახლავთ თქვენი სიზმარი,  
ცხადი, ნამდვილი, მართალი,  
და თუ ეს ასე არ ახდეს,  
მომთხარეთ მარჯვენა თვალი.  
დაუჯერეს ბატონებმა,  
მიჰყვნენ გაგნიას ოჩევასა,  
თითო ფართალა დალიეს,  
მთვარეში გაუდგნენ გზასა.

ხევს ჩასაფრულნი ღებურნი  
 ელიან არეშიძეთა;  
 მოჭიმული შვილდ-ისრები  
 ყველას მზად უჭირავს ხელ-თა.  
 გათენებისას მივიღნენ,  
 არეშიძენი ხიდზედა,  
 ღებურნი, რომ დაინახეს,  
 ღიმი მოუათ პირზედა,  
 ყველანი მარჯვედ იყვენით;  
 მჯავრი ვიყაროთ მტერზედა,  
 ჭირად ვუქციოთ ბატონებს,  
 რაც ლხინი ნახეს ჩვენზედა,  
 სულები დავაფრთხობინოთ,  
 აქავე ბოვირ ხიდზედა.  
 ეს თქვა ზვიადამ და უცბად  
 შეიქნა ისართ სრიალი,  
 ერთბაშად დასცეს ღრიალი:  
 ჰარია არიშიძესაო,  
 ისარი ქარქაშ ძევსაო,  
 თუ ბატონობა მოისპოს,  
 დარჩეს ლობჟანიძესაო.

მოკულეს უფროსი ბატონი,  
უმცროსიც დასჭრეს ფერდსაო;  
რივნის მორევში ჩავარდა,  
შველა შესთხოვა ღმერთსაო,  
ცურვით წყალს აპობს, მილარავს,  
თავსაც არიღებს ქვებსაო.  
უკან ღებურნი მისდევენ,  
ისრებს ესვრიან ბევრსაო,  
მაგრამ არც ერთი არ ხვდება,  
სანამ არ მივა ღებსაო.

## •

სოფელ ღებს, რივნისა პირად,  
მაღლა გორაზე სახლი დგას,  
გარს გალავანი არტყია,  
აქ ძვირად ნახავთ ამის ფარდს.  
ამ სახლში მდგარა გულითად,  
გვარად გავაშელიშვილი,  
ავად ყოფილა საბრალო,  
საბრალო დედ-მამის შვილი.  
სახლში შეუღის დიაცი  
და ეუბნება გულითად:

ნეტავი მითხრა, რა გინდათ,  
დღეს რიონის პირს ამდენ ხდოს,  
ურდოდ მოსდევენ ბიჭები,  
თითქოს ეძებდენ რისმე კვალს.  
გულითად, როგორც მისანი,  
მიხვდა დიაცის სიტყვასო,  
უთხრა, ამწიეთ, გამიყვათ,  
ამ ჩელტით ბეგის პირსაო,  
ხელთ შვილდ-ისარი მომეცით,  
ისარი მოღერილიო,  
ვესროლო წუწკა მცურავსა,  
გავაფთხობინო სულიო.  
მე ვიცი, ლებურთ ბიჭები  
ვისაც მოსდევენ წყალშიო,  
ამწიეთ, ჩქარა ამწიეთ,  
გამიყვათ მალე კარშიო.  
ასწიეს ჩელტით გულითად,  
ბეგის პირს გაიტანესო,  
შვილდ-ისარი და კაპარჭი  
მიართვეს, მიუტანესო.  
უცბად მოსწია შვილდ-ისარს,  
გახდა რივნისკენ შხული,  
დასჭრა მცურავი ბატონი,

ღააწყებინა ღმუილი.

ჰენი ჭირიმე გულითად,  
რომ კიდევ გერჩის ღონეო,  
მოგვიყალ მტერი მოსისხლე,  
სახელი მოიფინეო.

გამართეს ღებურთ მეჯლისი,  
ღვინო დალიეს ბევრიო,  
გულითადიც ადლეგრძელეს,  
ქება შეასხეს ბევრიო.



## ომარ ხევსუნი 162

ზეცით მოვიდა პრიკაზი, ბრძანება იყო  
ხთისაო

მოვიდა წიგნი მოშართვა, დრო დაღვა  
წინა ჟმისაო.

მე ლექსად გადავიტანე, შუქი გადაღვა  
მზისაო.

მოვიდა სისხლი ყელშია, ვერ რჩება ვუ-  
ლი ჭირსაო.

ყველგან ყაჩალით გაივსო, საღი ქუჩა იყო  
ტყისაო.

იორზე რა ამბავია, საწყენი იყო ხთისაო,  
სიონს დაეცნენ ყაჩალი, ცხვარ-ძროხა  
მიუღისაო.

ჭმა გატყდა ქართველებშია, იარაღი აქვს  
ვისაო.

ჭორძუა არხოტიონი ჰყავ მაგრა მწერი  
მხრისაო,

აიხსნა იარაღები, აბენაებსა თველისაო.

— აჩქარდით, უუბნებოდა, კვალი მოვნა-  
ხოთ მტრისაო,

სამი ეტანა ჭართველი, სხვაკე ამღები  
მხრისაო.

მხარნი შეშალა არწივმა, თვალ ვერ მოა-  
ბეს გმირსაო

ჩამოეწევა მარტიო პანკისელების გზირ-  
საო.

— ომარ ვარ, ჩამოჰქიოდა, ყაჩალო,  
წასვლა ჭირსაო,

მენა ვარ ჯარში ნაჩვევი, ჩაჩნელთა ძა-  
ლი მხნისაო.

ვინტოვკას გამიუხვევა, ტყვიას ნამივით  
სცრისაო,

გული სცემს, ბრაზი მოუდის, მტერ თვა-  
ლით აღარ ჩინსაო.

ომარ გავიდა ველადა, მტერი საფარში  
ზისაო.

ბრალია კარვი ბიჭისა ლაბნელებაი  
წზისაო.

მხრის გაყრა სწორებისადა, მეომარ არ-  
წივისაო,

გაწირვა წუთის სოფლისა და სოფელ  
არხოტისაო.

ალვის ხეს ტანი აეძრა, მზის პირ ეძახდა  
ჩრდილსაო,

და სანაღირო კლდეები ემზადებოდა  
ძილსაო,

ატირდა ქვა და ყორენი და ციხე ქვით-  
კირისაო,

ტიროდა დედა ბებერი, გამზღველი ომა-  
რისაო.

— შვილო, გაგზარდე ობლობით, მაგრა  
დამხვედრი მტრისაო.

გამწირე ეხლა გაზრდილმა, რაღამზე  
დამთბებისაო.

საქართველოში დაგტოვე სოფელ არხო-  
ტის მხრისაო.

შშვიდობით, შვილო ომარო, გზა გქონ-  
დეს სულეთისაო.

სულეთს შავიდა ომარი, ოქროს ჩიკაზე  
ზისაო.

ხელთ მისკეს ოქროს ტაბაკი, ლაპლაპ  
სდგა სანთლებისაო,

აუნთეს ელექტრონები, შუქი აღგება  
პირსაო.

კარგა ხანს იყავ ცოცხალი, შენ, შვილო  
ხაირისაო,

კარგა სიკეთე დასთესე, სამზეოს გეყო-  
ფისაო,

ბევრჯერ მოპტალე შარაი—დაღესტნის  
ჭალაისაო,

ვინაც ჭორძუას იცნობდა, მას ეგიც კარ-  
გა ტირსაო,

სურვილ ბოროტად იქცევა, ვულში ძა-  
ლიან სწყინსაო,

მხარ გვერდზე შაჩაწოლილი, მათქმელი  
ამაგისაო,

წინ დაუდგამის ბოთლაი, პასუხს ადვი-  
ლად თვლისაო;

დავლიე შასანდობარი, პირველში ომა-  
რისაო,

წუხელ სიზმარში ყოფილა, მოსაგონებ-  
ლად ღირსაო.

კაი ყმა ცდაზე მოკვდება, ცუდი ქარიშ-  
ში ზისაო.

## გიორგი მექლვარიშვილი 163

გიორგი მექლვარიშვილო,  
 სარდალო მწემსებისაო,  
 წუხელ რომ ღორში იყავი,  
 ნავალი ნახე მტრისაო.  
 დაუჩოქე და ესროლე;  
 მოარტყი ძუძუს პირისაო.  
 გიორგიმ დაბლა ჩამოხტი,  
 ჭოხი მიაღვი კლდესაო.  
 კარებში ცეცხლი დაანთე,  
 დასწექ დაენდე ძილსაო.  
 შვა ღამე როცა შეიქნა,  
 ელვა გახურდა ცისაო.  
 გადმოგესივნენ ბიჭები  
 პირიქით დაღესტნისაო,  
 წამოიწიე გიორგიმ,  
 დაუღუპივარ ძილსაო.  
 არიქა, ძმებო, მიშველეთ,  
 რომლის ხანჯალი სჭრისო.  
 პირად ნადები ფოლადი,  
 ტარიც კამბეჩის ჩქისო.

ისრე დავკაფე დამცემნი,  
 როგორც ტოტები ხისაო.  
 ერთმა მაგარმა დამცემმა  
 გიორგი მიღო ძირსაო,  
 გულში რომ ხანჯალი დამცა  
 შაშვივით ვაღებ პირსაო.  
 გაღმა ამერა მეცხვარე,  
 ტკბილად უკრავდა შტვირსაო.  
 ამერა, ბიჭო, მიშველე,  
 ჩვენი ხარ არა სხვისაო.  
 ჯიბეში დანა არა აქვს,  
 რომ მიაჭრიდეს ფრჩხილსაო.  
 მოკვდა საწყალი გიორგი,  
 დარჩა სატირი სხვისაო.



## შეჩიგვების ცდა<sup>164</sup>

ლექსო, არ დაიკარგები, ნათქვამო ომაი-  
საო.

ლირლველთა, არხოტიანთა, ლექსი არ-  
ვინ ეუბნებისა,  
მალე გამასთქვამს მერცხალა, როდესაც  
დაითვრებისა,

მაჯლიგა დავა დღის თავად ყორანი  
სულ აღარ ძლებისა.

სრუ კი ვერ ვაჭმევთ ლირლვლებისა, ვი-  
თასაც მაშივდებისა.

შაყრილა კაც შუაკაცი ი რო ტერლის-  
გარს ვეტყვითა.

სამ-სამ ჭან ცეცხლი დავაგზით, ცხვრე-  
ბიც დავხოცეთ, თხებიცა.

მოვიდა ბევრი ღირღველი, ცანცან ვაჰ-  
ქონდა ყბებისა!

მოვიდა ჭეგაშვილი, ძალლივით იღერე-  
ბისა!

ურთ ეგრე მაგრად იჩივლა, ხარი რო ხარ-  
სა ხვდებისა.

სამ-სამ ცხვარ გადაუწყვიტა, მიმცემ ვინ  
იყო ერთისა!

მე კი შავ თიკანთ არ მივცემ, ზოვე  
მკვდარს იწირებისა.

შუაში ბეჭინაშვილნი მაპარულ ცხენსა  
სცემდისა,

ხანდიხან გააჭცივიან, ხრილ კარგად და-  
ითვლებისა.

მაგათ მტერ არ მაჰგონდების, თუ ცხენი  
გაიცვლებისა!

ერთ ძმა რო დაიღალების, მეორე გარ-  
დაჯდებისა.

ამბობენ, ფარეშაშვილი დურბინდით იც-  
ქირებისა.

აქით თათართა მოვიდა, აივსო ჯიბგირე-  
ბითა.

ხელჩი ბერდენკა უჭირავს, არ ვიცი, რა  
იქნებისა!

აღარა დასაბრუნები, იქისკე. იზიდებისა.  
ფილიპე ნაროშაული, წითელ გველივით  
უქენდისა.

ციკარით ივანეური, ქალალჩი რასამ სწე-  
რდისა.

ვაჟო, დადეით ნეთხლებო, თორ კიღოვ  
იტირებდითა!

გაზაფხულინდელ დაგცლიდა, სოფელ გა-  
ავსით მკვდრებითა,  
აბეშავ, არხოტელებო, მაგარს პირზე კი  
ზღვებითა.

ჭალაზე ჭავი გაღმართეთ, ჭორი ვერ  
გარდახტებისა,  
თუ საღ მოვიდა ლაშქარი, ზორით კი  
ამასწყდებისა,

გავმაგრდეთ, არხოტივნებო, გატეხით რა  
იქნებისა?!

ვინაც მოკვდება, დაღვმარხავთ, სხვა კი-  
დევ გაიზდებისა.

ხმა შორად გაგვივარდების, სახელი ჩვენ  
დაგვრჩებისა!

ხემწიფეს უნდა მივწეროთ, თოფებიც  
გვინდა, ხმლებიცა.

სისხლის წყალმ უნდა წაიღოს, ხიდებიცა  
და გზებიცა.

მაგის მეტს აღარ გიამბობთ, ეგ თქვენი  
გამარჯვებისა!



## ნაბათონარის ჩივილი 165

ახლანდელი ყმაწვილები შექმნილია  
კვირა დღისა.

საქმის დღეს ვინ მოგვაცლიდა,  
მსახური ვართ ბატონისა.


დღითა თავს უნდა ვდგომოდით  
ღამეც არ მოგვიდეს ძილსა.

წინ სტოლი გამართული აქვთ  
ზედ სანთელი კარტოფლისა.

დალევენ და დაულევენ,  
მოჰყვებიან ძილის პირსა.

რა ვიფიქროთ, რა ვარჩიოთ  
რა დაარჩენს ჩვენ ცოლშვილსა.  
ხენა და თესვა ჩვენ არ ვიცით,

ვერ გავიტანთ ცულის პირსა,  
 თუ არ, ჩვენი ბატონყმობა  
 აღარ არის დიდი ხნისა.  
 აქნამდინ ვიყავ ბატონი,  
 ახლა ვართ ნაბატონარი.  
 ამ ახალშა ღროებამა  
 გაგვხადა უბედურები  
 გათხოვდენ მოახლეები,  
 აცხობენ ქალბატონები.



## გამართვის ბრძოლა დევგმირთა<sup>166</sup>

გამართეს ბრძოლა დევგმირთა,  
იტყვიან სიტყოს მისანსა.  
გახურდეს ომი ლახტისათ  
ვინ მაგრად დავკრავთ ისარსა.  
საით მოღის აქ იოსებ,  
რომ შაგავ შასკვლებ ცისასა?  
წამოვედ შავბნელ ღამესა,  
გზაზე ვერ ვარჩევ ნიშანსა.  
აქ ღამხვდა ჩემი მწერალი.  
ნაშალთ გადმაგდო კლდისასა,  
მაშინ ღამჭირდა პატრონი.  
ნახვის ველოდი ძმისასა.  
ეხლა მივდივარ შავეთსა.

ავიღე ფოლრათ გშისასა.  
შე შუალამის მასკვლეო,  
ჩადი და უთხარ ცისკარსა,  
შეატყობინოს ჩემს ძმებსა,  
ნუ დამზარდება ხვთის მაღლსა,  
ლარსით წამოვა გიორგი,  
ჩქარა გამოსცდეს ხდის კარსა.  
მაშინ გაიგებს დათიკო  
დალუპვას თავის ძმისასა.  
გაღმოვლენ თოლცრემლიანი  
ნაკვეთ ბაღრაი მთისასა,  
ატირდა ჭალი და რძალი,  
ნაწნავს იგლეჯენ თმისასა.  
— მშვიდობით, ძმაო იოსებ,  
ერთგულათ გვითმობ ხიზანსა!  
დებო, ეგ თქვენი პასუხი  
ჩქარა წავიდეს მიზანსა.  
ეკუთვნის ხიზანს ვაჩუქებ,  
პაპა ბიძათა ხვისათა  
თქვენ მალე მოგწერთ წერილსა,  
პასუხსა ყველა მხრისასა,  
დიდი საქმეა შავეთსა,  
გალავანსა სდგმენ ქვისასა.

თქვენგნითაც წერილს მივიღებ,  
ზაფხულის თიბა მკისასა,  
ღმერთმა ნულარვის გალირსათ  
ჩემსით სიბნელე მზისასა.



## ბირმან ჟაღურიშვილი 167

ბირმან შადურიშვილი  
განედავს დილის ცისკარსა.  
ცისკარო, მაღვე ამოდი,  
მთვარე გვიანობს დიდხანსა.  
მტრის საძებრად მივალის,  
ვზას ირჩევს ალაზნისასა.  
თუშეთზე ჩამოიარა,  
ხმას იგდებს საირმისასა  
გარდითა ჰეკითხავს მუშებსა  
აშჩავსა თავის მტრისასა.  
— არ დადისავ, თუშებო,  
მტერი თქვენისა მთისასა?  
თოვ დაჰკრა მისსა მომკლავსა,

ყყალს მისცა ალაზნისასა,  
ჯოგის ღავეშილს მგელსა ჰევს,  
ვაშლოვანაის ტყისასა,  
ვეფხვსა ჰევს პწკალსისხლიანსა,  
სპერიოზიაის კლდისასა.

ა



## აზნეურის ნატვრები<sup>168</sup>

კაზურო ღვინო,  
ვარ შენი მსმელი!  
ხელში მეჭიროს  
ხელადა სველი,  
მწვანე სულრაზე  
თუშური ყველიც,  
წითელი ღვინით  
ვისველო ყელი.  
შუა ხნისა ვარ,  
ულვაში გრძელი,  
ტანად ჩაღალი.  
წვრილი მაქვს წელი.  
ქალსაც შევირთავ,  
არ არის ძნელი,

ჯვარსაც დავიწერ,  
აქ არის მღვდელი;  
დალაქ მიხასთან  
ვიპარსო წვერი,  
ფული არა მაქვს,  
ეს არის ძნელი.



## ଠାରୀଖିଳେଣ୍ଡି 169

ତାମାଞ୍ଚେବାନି ଗାନ୍ଧମନ୍ଦରମାନନ୍ଦା,  
ତାନ ଗାନ୍ଧମନ୍ତ୍ର୍ୟା ଲିଙ୍ଗ ଜାରି;  
ଉଚ୍ଚିନ୍ଦ ଅନ୍ତର ପାନ୍ଦାନ୍ଦି,  
ଗାନ୍ଧଜାଳ ଶେମନାର୍ଥ୍ୟା ଜାରି.  
ଗାନ୍ଧଜୀଲ୍ଲେବ କାରି ଲାକୁର୍ତ୍ତି,  
ଅନ୍ତର ଶେବା ନିର୍ବଜାରି.  
ତିତିର ଗାନ୍ଧମପ୍ରେସାରି ପ୍ରାଣ  
ତନରମ୍ଭେ ଉଚ୍ଚାଲତୁନି ଆରି.  
ଲାକ୍ଷ ରନ୍ଧି ବୈଲାର ନିଶ୍ଚାର୍ଯ୍ୟ,  
କ୍ଷେତ୍ରକିଂତ ଶାରମ୍ଭେ ଧରିନ୍ଦଜୁ-ଫଳାଫଳ.



## မိဂုဒ္ဓဘာလ အနာဂတ်များ ပေါ်ဖြစ်သူများ<sup>၁၇၀</sup>

ပွဲရှုကြိုင်ပြုရှု သော ဗုဏ်ဆွဲ၊  
ဆုတ္တပြော့လ နားပြုလောင်း၊  
ဒီဗျားမီ မိုလွှာပုံ လွှာခွဲ့ပါး၊  
တော်လောင် ဖုန်းလောင်း၊  
ဗုဏ်ပို့ရာ ဒာမ်ဒေါ်မာရတွေ၊  
ဒာမ်ဒေါ် ပို့လောင်း၊  
ဒာမ်မျှေး ထွားရှုံးလျှော့ဗိုး၊  
ဇာတွာ တော်တွေးပါ စုရှိလော့ဗိုး၊  
တာဒေ လာမာန်းပြုတွေ၊ ရာ ဒုန်လာတွေ၊  
ჩိုမိုဒုန် လာဂါ ဒာနှုန်း နှောင်း။

თქვენ ხელში როგორ ჩამიგდებთ,  
სანამ ფშავში მაქვს ტყიანი?

შევრიგდებოდი პოლიციას,  
მიყვარს სწორებში ტრიალი.  
მთავრობის გამოგზავნილი,  
შუამკაცობდენ ტყვიანი.

დაჯდა და დარდი დაუცა,  
მუხლამდის ღასწვდა ტიალი,  
წამოხტა წამოთამაშდა,  
ქალი ხომ არ ვარ თმიანი.  
ხელში გერმანის თოფი მაქვს  
ოცდა ხუთ სასროლიანი.


ჯიბეში სამაჟოდნები,  
ვარშავის გილზებიანი.

წელზე ხანჯალი მარტყია,  
შავხალი სპილოს ძვლიანი.  
ხან გადავხედავ მთის კალთებს,  
არ გადაშრების ტიალი.

ხან გადავხედავ მინდვრებსა,  
არ აყვავდების იანი.

დამჭირდეს, გადავიარო,  
ქარში გავბერტყო მტვრიანი.  
მტერს მტრობა გულით ვუჩვენო,

ამ ჯიხვი მოვკლა ჩემიანი  
ამ ლექსის მაღექსებელი  
ხომ იცით მეტროლი არი.  
უკელა მხარობდა მტრიანი.  
ხორხელი ვარ ბეჭკინტური  
არავინ გამიძარცვია,  
არ ვისოფის მიქნავს ზიანი.



## ქალავ, რათ მოგიწყენია 11

ქალავ, რათ მოგიწყენია,  
რათ დაგიღვრია ცრემლიო,  
შენ ძმასავ ხმლიან ჯურხასა  
ვამაულია ხელიო.  
შავვორის მთაზე წასული  
აურეკია ცხვარიო,  
ისეთი შაუძანნია,  
რომ შერყეულან მთანიო.  
თავს დაცემიან ყაჩაღნი,  
ტან შეაბჯრულნი, ხრმლიანი,  
შამატრიალდა ჯურხაი,

ას დარჩი სირცევილიანი.  
სამწი გაკვეთა ხმალითა  
ერთმა დაუსწრო ჯურხასა,  
ორნი გაიჭირ შამჩოურთვინ,  
ჯურხა მიეყრდნო მუხასა.  
დაჭრილი იყო ჯურხაი,  
იწვა, ითხოვდა შველასა,  
ვავიდენ მწყემსნი დარჩომილნ,  
ჯურხამ თქვა: „თქვენსა ლხენასა!  
წყალ მაინც დამალევინეთ,  
თორემ წავიჭამ ენასა.  
სახლი ცოცხალ ვერ მივაღწევ,  
ცრემლი ჩამომდის თვალებსა,  
აწ რაღა კაცში ვერივო,  
ვული რომ მიწყებს ლრენასა;  
შენ ჩემო ძმაო, გიგიავ,  
შენივ ლელმამის ლხენასა.  
წაღი, ჩემს სოფელს მიუდი  
და ეს უამბე დედასა:  
„ჩემი და ისეთ კაცს მიეც,  
ჯაბან არ ჭონდეს მკლავია,  
ვაჟკაცურ იყოს მშრომელი,  
უყვარდეს სამართალია.

კინც გარჩა იმას რაოგ ჭირს,  
გინც მოკვედა საცოდავია”.

გულ კვტება, ტოლებს ვშორდები;  
ჯერ რაი გამიხარია,  
ძნელია ქაცმა სამუდამოდ  
ასე დაწუჭოს თვალია.

ჯურზაი გარდაიცვალა. გიგამ პებავი ჩაიტანა სო-  
ფელში. პირველად დას გაანდო ამბავი ძმის სიკვდი-  
ლისა.

## გ ი გ ი ა

მაყვალავ, ნულა მაიწყენ,  
ნულა მომიქალ გულია,  
ტირილით რაი ქეთდების,  
არც გმხროებს სიხარულია  
აბა რაღ გაჩერებულხარ,  
ძმაი მოგიკლეს მთაჩია,  
ადეჭ და სული უცხონე  
სოფლისა სალოცავშია.



## ივანე დავითიშვილი ۱۷۲

ივანე დავითიშვილთაო  
შე ანგელოზო ცისაო,  
დედმამის დიღო იმედო,  
ვამჯავრებელო მტრისაო.  
წამოხველ მთიულეთშია,  
ნახვა გინდოდა დისაო;  
და-სიძეთ კარგათ მიგიღეს,  
შუქი ამოსდის პირსაო.  
მეორე დილა გათენდა,  
ელვა შეიქნა ცისაო;  
და-სიძეთ გამოგისტუმრეს,  
ჩამოყენენ ჭალის პირსაო,  
ვაღმოგეხვივნენ, დაგვოცნეს,  
ცრემლები ჩამოსდისაო;  
გამოხველ წითლიათ კარში

შუქი დავადგა ცისაო.  
ტიბლი შავი სიკვდილი,  
მოვეკრა გულის არსაო,  
სული არ მოგაქცევინა,  
ჩაუხდა ძუძუს ძირსაო.  
მიშველე წმინდავ გივარევი,  
მზე დაშანაზე ცისაო,  
ობლებს ნუ დამაყრევინებ,  
ნუ ამიტირებ ქვრივსაო.  
მივიღა დავითურთასა.  
ლერა-მტვრევა დგას ცისაო.  
გვიშველეთ მეზობლებაო,  
ძალიან საქმე ჭირსაო  
ბიჭო, როგორ არ გიშველით,  
ჩვენი ხარ, განა სხვისაო  
ატირდა ჭალი და რძალი,  
წყალივით ცრემლი სდისაო.  
დებმა და ნათლიდედებმა  
ტანზე ჩაიცვეს შავია,  
კარზე არ გაგვევალება,  
დაბნელდა ჩვენი მზენია.  
წავიღა სამოთხეშია,  
მიართვეს ოქროს სკაშია,

შემოენვივნენ სწორები,  
შეგროვდენ სამნი ძმანია.  
ვვიამბე რამე ივანე,  
კისა და ქვეყანისაო.

ბიჭო საით რა გიამბოთ,  
ცრემლები ჩამომდისაო.  
წვრილი ობლები დავტოვე,  
შესანახავი ღვთისაო.

გვირგვინის ცოლი გაუშვა,  
ცრემლები ჩამოსდისაო.  
ძნელი ყოფილა სიკვდილა,  
შეცქერა შავეთისაო.

ღმერთმა ყველანი გაცოცხლოს,  
ვინცა ზართ ჩემი ბნისაო.  
ამ ლექსის დამლექსებელი  
მთიულეთშია ზისაო.

უყვარს დუქანში ქვიფი,  
ყმა არის ლომისისაო.  
ქემით ვალექსებ ივანეს,  
ზაორი მაქვს ცოლის ძმისაო.



## სოლომონ ქარგი ქაცია<sup>178</sup>

სოლომონ ქარგი ქაცია,  
ქარგად ინახავდა ცხენსა,  
თბილი წყლით ძუას უბანდა,  
ერბოთ გაუზელდა წელსა.  
„მისთვისა გივლი, ჭურანო  
გამომაღვე გასაჭირსა!“  
ჯარისნობას პირველად  
სოლომონი გავარდესა.  
დახოცა მრავალი მტერი,  
ფიცხლუვ ჯარში მივარდესა,  
ერთი კიდევ გავბრუნდები,  
კიდევა ვცდი ჩემსა ბერსა.  
ორი მუხთალი ჩალი  
ერთ დაბალში ჩაუჯდესა,

სოლომონ რომ გივია,  
არი თოფი გაფარდეს.  
ერთი მიაწუყეს სოლომონს,  
ერთი მისსა კონტა ცენსა.  
— შიშველეთ, ძმანო, მიშველეთ  
გულში ტყვია მომარტყესა.  
— წუ გეშინიან, სოლომონ,  
კიდევ ნახავ მამაშენსა!  
— მე მამაჩემს როგორ ენახავ,  
ჭრელად ვხედავ ცაში მზესა!  
შვიდეული შავი ცენი,  
ფიცხლავ დროშებს შეაშესა,  
დაწკიდეს და დამათრახეს,  
ხელად ქალაქს ჩაყარესა.  
მისი ცოლი ეფემია  
ცოტა ხანი ატირესა,  
ხელი ჰერეს და მოაშორეს,  
მუცელი არ წაუხდესა.  
ამას ბიჭი ეყოლება,  
სოლომონ ფეხი ჩადგესა.  
მართლაც, რომ ბიჭი გაუჩნდა  
სოლომონა დაარქვესა.

წამოზარდა სოლომონ  
კარგი ვაჟუაცი დაღვესა;  
შოსისხლეს ძებნა დაუწყო,  
რაღვა სტამბოლის გზაზედა.  
შვიდი დღე და ღამ იარა,  
ხვანთქარს მიაღვა კარზედა;  
ხვანთქარი შინ არ დაუწვდა,  
ცხვარი წაესხა მთაზედა.  
ვეზირმა გალიპატიუა,  
სოლომონ დასვა ტახტზედა;  
—გაქებენ, ბიჭო სოლომონ,  
ჯირითის გასროლაზედა.  
—მე ჯირითისა რა ვიცა,  
გლახად \* გადგივარ კარიშედა.  
—არ გაგიშვებენ, სოლომონ,  
ვათამაშებენ ხვალ, ზეგა.  
—აბა, თუ მათამაშებენ,  
ცხენი მომგვარონ ისეთი,  
მისი დამჭერი ჩემ გარდა,  
არ იყოს ქვეყანაზედა.  
ედგას ოქროს უნაგირი,  
ალმასი ჰქონდეს თავზედა,


\* რამაზურად

ცნობა მეჯილით ხელთ მეჭიროს,  
კიდევ დგებოდეს ყალყზედა.  
ორშაბათ დილა გათენდა,  
გავიღენ მოედანზედა;  
არაბი მოდის, მოჰკივის,  
ქოჩ შევარდენი ცაზედა.  
—აბა, გამექე სოლომონ,  
ერთი გცლი ბიჭობაზედა.  
აღვა, გაექცა სოლომონ,  
დადგა არაბი კვალზედა.  
ორი ჯირითი ესროლა,  
სულაც ვერ მოსცხო ტანზედა,  
მესამე რომ მიაყოლა,  
მოარტყა ცხენის კეხზედა.  
გადმოხტა ბიჭი სოლომონ,  
ქურანსა ჰკოცნის თვალზედა.  
—შენ გენაცვალე, ქურანო,  
შენ გამიყვანე განზედა.  
აბა, გამექე, არაბო,  
მეცა გცლი ბიჭობაზედა,  
მე სამსა და ოთხს არ გესვრი,

\* ბრარობენ მეორე ლაგმად ცხენის შესაკავებლად.

ორს გესვრი სასიკვდილოს.  
ადგა, გაექცა არაბი,  
დადგა სოლომონ კვალზედა,  
ერთი ჯირითი ესროლა,  
დაწარა ბეჭის თვალზედა.  
შეორე რომ მიაყოლა,  
სული ამოსძვრა ტანზედა;  
არაბი ძირს ჩამოვარდა,  
ცხენი გარბოდა წყალზედა.  
ბატონს კაცი მოუვიდა,  
შენი არაბი მოჰკლესა.  
—ჩემსა არაბსა ვინ მოჰკლავს,  
ვანთქმულსა ქვეყანაზედა?  
მაჩეენეთ მისი მომკვლელი,  
ვავიცნო ბიჭობაზედა.  
სოლომონი რომ მიჰყავდათ,  
ფეხები მიაქვს განზედა.  
სოლომონს ასე ჰერნია,  
თავს მომაჭრიან ტანზედა;  
ის კი არ იცის, სოლომონს  
სინჯავენ ბიჭობაზედა.  
ჭუდი დახურა ბატონშა,  
არ ჰქონდა არც ერთ რაინდსა,

ისეთ ქურანზე გადასვეს,  
არც იყო ქვეყანაზედა.  
ედგა ოქროს უნაგირი,  
ჰქონდა ალმასი თავზედა,  
ცნრა მეჯილით ხელი ეკავა,  
კიდევ დგებოდა ყალყზედა.



## მონადირე და თოვლი

### მონადირე

თოვლი, სიათავ გემდური,  
უსორცოთ გაშვებისათვის;  
გაგტენე ტყვია წამლითა,  
წაგილე ნადირისათვის,  
ხარ-ირემს დაგაცემინე,  
რად არ გავარდი, რისათვის?  
უნდა მჭედელთან წავილო  
სახნისზე დადებისათვის.



## ଠା ଠା ତୀ

ଏ କୁଳକ ଦୂରାମ୍ବଲେ  
ଶେମିନାର୍ଜୁ, ଶେବି ଦେଖିବାତଙ୍ଗି,  
ଶବ୍ଦିର୍ଯ୍ୟ, ଶେବା ଫାମିଲ୍ୟ,  
ଫାଵିର୍ଯ୍ୟର ନାହିଁରିବାତଙ୍ଗି,  
ଅଭିର୍ଯ୍ୟର ଦାଗିଥର୍ପ୍ୟ ନାହିଁରି,  
ଧର୍ମବନ୍ଦର୍ଯ୍ୟ ଫାଲ୍ଗବିବାତଙ୍ଗି,  
ଫାଲ୍ଗବିଶି ଧର୍ମର ମନ୍ଦିରପ୍ଲଟ  
ନିଃ ସାତ୍ରିବାଲା ମେଲିବାତଙ୍ଗି,  
ଗାମାଦଲାରିଯିବ ଲ୍ଲେଷିତା,

მოძუნძულებდეს წყლისათვის,  
ნეტავი წინ შემახვედრა  
ი ჩემი ნატვრი დღისათვის.  
საპირი-წამლე ამეწვას.  
გადმეგდოს ყაჯარისათვის.



## გიგოლას სიკვდილი ۱۷۵

ლამით ჩაწერა ნისლები,  
დღისით კი მუდამ დარია.  
ბახანს მოსულა სიკვდილი,  
ანგრია მთა და ბარია.  
წინ-წინ გიგოლას მიუხდა,  
წიხლით უმტვრია კარია,  
ძირში დაუჭრა ბოძები,  
თავს დაანგრია ბანია.  
რა დაგიშავე სიკვდილო,  
რა არის ჩემი ბრალია?

სალელუთით აზლალა მოვე,  
შვილი წლის ნაომარია.  
ცხრადღე და ლამე ვიომე.  
გრგვინავდა ზარბაზანია,  
წავართვით გერმანიასა  
თავისი მიწა-წყალია.  
ოქროს შენდალი მივიღე,  
ჩემთვისა ნაჩუქარია.  
არ დაიშალა სიკვდილმა,  
მხარზე ჩამოსდვა მხარია.  
ტიროდა თაშნეურთ ქალი,  
ცრემლი ჩამოსდის ცხარია:  
შენ საღაც წახვალ, გიგოლავ,  
მეც შენთან წამიყვანია!  
გიგოლას თავით დაუდგეს  
თავისი ოქროს სკამია,  
აუნთეს წყვილი სანთელი,  
ორმოცი კელაპტარია.  
საწყლებსა იმის იბლებსა  
დღე ჩამოუდგა შავია,  
ვინ გაუთიბოს მალლა მთა,  
ვინ მოუტანოს ძნანია.  
გიგოლა იქით გამართეს,

სიღაც სამარე შავია,  
ძმვილობით, ჩვენებურებო,  
სუყველა მამიძმანია.  
მიყვარდა თქვენთან ქეიფი,  
არ დამივიწყოთ მკვდარია.



## ლევან გურიელის ლიპსი 176

მუშის მტერი უსინდის, გაძვერა გუ-  
რიელი,

ამაყი და მოაწმიყა, თან ჯაშუში  
საძველი;

ვერაფერმა ვერ მოთურვნა უშიშარი  
მისი გული.

ხან თეატრში, ხან ჭალებში სეირნობდა  
მხიარული.

მთავრობისგან წაქეზებულს, მთავრო-  
ბისკენ ქონდა გული.

და წავიდა ერთსა დილას სასეირნოთ  
ის ველური.

გას უყვარდა სეირნობა გაშლილი და  
თავადური,

შარწილის ზურგით მისწოდოდა ამაყი  
და მედიდური.  
ამ დროს მოხვდა ტყვია გულში მამა-  
ცური, გაბედული,  
დაავიწყდა ნეტარება, გაუქვავდა მტა-  
რვალს გული,  
გააზმორა, გადიძეცა, გაისისხლა რო-  
გორც ლორი.  
ენის თქმაც ვეღარ მოასწრო, ისთვ  
მოკვდა ოჯახქორი.  
ცოტს ხანს იმავ ალაგას სულძალლები  
აისვიარა.  
სევმნეს მკვლელი, ვერ იპოვნეს, საუ-  
ხა ვაქრა გაიპარა.  
შვიდ დღეს ეგდო ბალნიცაში, არ გა-  
ხადეს კუბოს ლირისი,  
არც უფროლოთ უთავაზეს, არც აიღეს  
ფული მიხა.  
შემდეგ როკა, რომ იყრილდა, მია-  
შევეს როგორც მფელი,  
რა მეტანებ დღეს გურიაში წითორის  
საძაგელი.


სტრაუნიკს გარდა სულწამენდილს  
 არვინ არ მოვიდა ხელი.  
 გურიაში მის საფლავზე ასთე არის  
 წარწერილი.  
 „აქ მარჩია ძაღლი ვინმე, ვერაგი და  
 მუშის მტერი.  
 საამო ღილა გათენდა, ოდელა, დელა  
 დელაო,  
 ტარტაროშს ძაღლი მოუკლეს, მოღვა-  
 წი გურიელაო.  
 შეგ შებლში ტყვია მოარტყეს ძირს  
 ეგდო წუწები მელაო.  
 შაშვივით პირი დაელო ოდელა,  
 დელა დელაო“.



## მესუზლას ლიტერატურა

სამარილან წიგნსა მოგწერ  
თუ ამითავდა ქაღალდი,  
რა უბედობა მეწვია  
მტერებო, რაფერ გახარდი.  
შემოქმედიდან წავედი,  
დავტოვე ნასაჭირალი,  
დიღმა თოვლმა შემაწუხა,  
მიჩვენა გასაჭირალი.  
შამუჭაძისას მივედი,  
იმას უქებდენ ზრდილობას;  
უცბალ პარმალზე ავედი,  
ვიღან უყურა ზრდილობას.  
აკოშკაში გავიხედე,  
მოდის რუსი სალდათია,

წინ თფიცერი მოუძღვის,  
იგიც მისი ალდაოთია.  
გამოვარდა აფხანაკი,  
თოვი გასცა თოვის ხმაში;  
რომ მომიკლეს აფხანაკი  
მოვიშალე ბიჭობაში.  
დავჯექი, ბევრი ვიტირე,  
ვინ ყურობდა იმდენ ჯარში .  
სანამ მქონდა პატრონას,  
ვსროლილობდი ცალხელაი;  
ფილისკა ამომეცალა,  
ტყვია დავხარჯე ყველა.  
კაბალანი მათ უჩერენე,  
დავჯექი თავშიშველაი;  
აწი დაგემშვიდობები  
მე ნიკოლოზ მესუზლი.



## დუშეთი აჯანცემულა 178

პირველით ვნახე სიზმარი,  
პირველ მყათათვის თვესაო  
დუშეთი აჯანცემულა,  
ეჭლება ერთმანეთსაო.  
მჭიდრვარში კნიაზს დაეცნენ,  
არ ანებებდენ ძნებსაო;  
უწიოცებდენ ბიჭებსა,  
არ უყენებდენ მწყემსსაო  
—არ დაგანებები, კნიაზო,  
მეოთხედს ყურძნის წვენსაო! —  
დღისით ჩომ ვეღარ გატედი,  
თამით მოახტა ცხენსაო...  
ჭილაქშიაც ჩომ ჩივიდა,  
უცხადებს აფიცინებსაო:

— მეცილებივით დაურდით  
მამაჩემ ერეკლესაო,  
მისი დარდილი შვილები  
ას მაძინებენ ძილსაო!

წელს მეოთხედს ას მაძლევენ,  
აღარც იმ ყურძნის წვენსაო! —  
სემწიფემ კანონს ჩახედე,  
შეევედრება ღმერთსაო:

შადლობა შენთვის უთველო!  
რა საქმე მოხდა წელსაო?  
საქართველო არეული,  
ეხლება ერთმანეოსაო.

— ჯარები მიაშველევით  
იმ ბატონ ერეკლესაო!

შუდამ დღე ხოცეთ ცხვარ-ძროხა —  
პორციათ დაუწესაო.


მკათათვის დილა გათენდია:  
რა ნისლიანი დღე არის!

მჭიდიჯვარს კნიაზს დავეცით:  
ომი გავვიხდა ტიალი...

ხმალ-ლა ხმალ ყაზახი მოდის,  
ოოფებს გაჰქონდათ გრიალი...

ბევრი დედა გამორბოდა

ଅସ୍ତ୍ର-ପଦ୍ମିର୍ବିନ୍ଦୁ ତମିବନୀ;  
ଶିଳ୍ପିଙ୍କର ମନ୍ତ୍ରରେତ୍ତି ଫାଲଗ୍ନ,  
ଶାଶ୍ଵତ ଦୂର୍ବ୍ୟ ଏହି ଦୂର୍ବ୍ୟରେ ପ୍ରିଯାଳୀ  
ଦେଖିବାରେ ଉଜ୍ଜବଳ ଫାନ୍ଦିଲୁହା,  
ଏହି ପ୍ରିଯରେ ମନ୍ତ୍ରରେ ଶିବିନୀ



## ამილახორი ჩაძაღლვა 179

კვირა დილაა, ზეზვაის  
ოჯახში ისმის გოდება.  
ძაღლია ამილახორი,  
კაცი არ შაეცოდება.  
მისვე მეზობელს მიჰყიდა,  
„ტორლში“ ზეზვაის სახლეთის  
და უღნა ლააცლეინოს.  
კარზე მიადგა გამწყრალი.  
— რატო არა სცლი ბინასა,  
ხო მოგივიდა ბრძანება!  
ვერას გზით მოგაშლეინე,  
შენ ჩემთან შეყოყმანება?  
— რა გინდა ამილახორო.  
რატუ არ ჩამამშორდები,

კაცი ვარ ხუ არ ჩამყლობად,  
კაცი ხარ, რატო ღორიდები!  
რასაც ვმუშავობ, შენ მიგაქვს,  
ვცოცხლობ ოხვრით და ვაითა;  
სახლსაც მიყიდი ცოლშვილით  
ვისთან წავიდე, საითა?

— გამო, შე ძალლის ნაშობო  
თორო ამოგულებ მთლიანად.

არ გნახო ჩემს მიწა-წყალზე,  
შენ, შენი ცოლშვილიანად.

გაფითრებული ზეზვაი  
კარებში ჩადგა ჯოხითა,  
დაბერებული უდღეოდ,  
ჩამოგლეჯილი ჩოხითა.

— როგორ მიყურებ ბეჩაო,  
ხუ არ გვინიერ ჯაბანი!  
სალი კლდის ლოდის გული მაქვს,  
ცივი მთის წყაროთ ნაბანი.

შევარდა მხეცი ბატონი,  
პირდაპირ სახლში ცხენითა  
რაც ცოდვა იქ დატრიალდა  
კაცი ვერ იტყვის ენითა.  
— ავაპმე ჩემო ბალლებო.

გაშიქრესმც წუთი-სოფელი.  
 შეც თქვენთან მოვკვდე, მირჩევნან  
 რაღა ვარ ქვეყნად მუოფელი,  
 დაიღრიალა ლომივით  
 გიჟივით ეცა ყელშია,  
 გაღმოითრია ცხენიდან,  
 შავრად ჩაბლუჯა ხელშია.  
 —ახლა რაღა გაქვს სათქმელი  
 მისულს სამარის კარამდე?  
 ეს თქვა და ბასრი ხანჯალი  
 გულში ჩაუცა ტარამდე.



## გივარგის ანდერძი<sup>180</sup>

ფშავიდან შავი ღურბლები  
საღრარა გადაღიანო,  
შემოგეხვივნენ ირგვლივა  
მთა წმინდა ბალახიანო,  
ნამს ცრემლად გადმოგაყრიან  
მთაო, ქუჩ ბალახიანო,  
ადგილო დაგიჩრდილებენ,  
მზის მოსავალს დაგიშლიანო.  
წიწადი აგმურლვებია,  
არაგვო კალმახიანო!  
ნუ მოჰკლავ ჭაი ვაშკაცია,  
ვინტოვკავ შაშხანიანო!  
შეკონვილს ჩამოგავლევენ  
ვაშკაცო სახელიანო.  
ფშავის ხევს დაემშვიდობე,  
მთის წვერნიც მოგნატრიანო.

ველარა გხახავს გივარგი,  
მთაში დეკა და ღვიანო,  
იგლოვე შენივე შვილი,  
ბორბალავ ყინულიანო.  
დუშეთის კრებას დაესწარ,  
გულბრინჯო მოკლე დღიანო.  
სასამართლოში წასღები,  
რა სიტყვებს მოგიჭრიანო.  
იფიქრებ გამომიშვებენ,  
დამკითხვენ, გამომცდიანო,  
ველარ თუ უშველ შენს ყმასა  
ლაშარის ჯვარო მხრიანო.  
საჩქაროდ დამშველებელო  
ლურჯაით ალმასიანო,  
ლელეს ექიმო, თამარო,  
ჩიქოლა ზინზილიანო.  
შენ დახმარებით უშველე,  
დეგებ არ დააზიანო,  
გმირო ვაშკაცო, ცოცხალსა  
საფლავსაც გაგითხრიანო.  
შიგ ჩახვალ ამოიკვნესე,  
ხარო, მანძილოვ რქიანო,  
გინდ ჩამომახრჩონ ცხრაჯერა,

მე ბოლშევიკი მქვიანო.


ვერ შეგაშინებს სიკვდილი  
გულ რკინავ ფოლადიანო,  
არ დაგივიწყებს სწორები  
ყველასთან ეშტიბრიანო.

ლაშარ ლელესა ფშავლები,  
როცა თავს მოიყრიანო  
შენ სახელს მოიგონებენ  
ცრემლებსაც ჩამაჰყრიანო.

შენ შვილებს დაპატიჯებენ,  
წინ სუფრას გაუშლიანო.

დალევენ შასანდობარსა,  
თასებსაც გამოსცლიანო,  
და მერე ხუთის ღროშითა  
საყდარს წინ გაუვლიანო.


ბევრს ნუ იტირებ ხოშიავ  
ცრემლებით სილალიანო,  
ისე მოზარდე თბლები,  
თვალებ არ დაუწყლიანო.



## პირები 181

შავად ეხვევის ნისლები  
მაღალ ჭიუხის წვერსაო,  
ჭიუხის კუნჭულაზედა  
სინდაურისძე წევსაო.  
ხმელს კუნჭულაზედ ნაჯდომსა  
ნიავ ვერა შლის მტვერსაო.  
ჯიხენ უჩივიან წარაფსა,  
წარაფი კალმის წვერსაო.  
ჩვენ გადასავალ სარტყელში  
ვფთხვი მწკლიანი წევსაო.  
ჟეგვხვდების სინდაურისძე,  
მონას დაგვაყრის დღესაო.  
ინატრის სინდაურისძე  
ნახოცის ჩამომთლელსაო,

თორმეტ ჯიხვშიდ ამრჩევთა  
კლდის თავზე ჩამომწვდელსაო.  
წინავ აძლევდეს პატივსა  
კაი სიმღერის მთქმელსაო,  
ეხლა აძლევენ პატივსა  
წინ თასის გაღამსმელსაო.  
წინავ აწევდეს სტუმარსა,  
მხარს გაჰკიდებდის წელსაო,  
ეხლა კი ქალებს ეტყვიან:  
მოდით, წავიდეთ ჩვენსაო.



## როსტია ჩობოლაური<sup>182</sup>

ამბობენ გუდამაყარში,  
რა ცოდვა-ბრალი ხდებაო,  
ცაჲე ვარსკვლავმა გაიგო,  
აღგილჲე აღარ დგებაო.  
ძირს დედამიწამ გაიგო,  
სულ თავთავადა ტყვრებათ,  
როსტიავ ჩობოლაურო,  
ნათელიმც დაგადგებაო.  
შენფერი გუდამაყრელი  
ბევრიც ვერ წამოდგებაო,  
გადაიგრეხდი ულვაშსა,  
კისრამდის გადაგწვდებაო.  
გიყვარდეს აბეშიკობა,  
რაკი არ შავიხვდებაო,

ჭანდრის ძირს გიყვარს ქეითი,  
სწორებში ჩამოჯდება.

სხვამ დაჰკრა შენი ბერდენკა  
შენ შარაღ გადაგხდება,  
ბორკილით მიხვალ ციმბირში,  
შენი დღეები ქრება.

არცა ვარ შესაბრალისი,  
ეს ვნახე ჩემი ჭკვისაო,  
რაღ გადვიკიდე ვაიმე,  
დახედე სხვისა ჭირსაო,  
ვაი რა ძნელი ყოფილა,  
ციხე ნაგები ქვისაო.

მე ციხე როგორ დამიჭერს,  
თავს ვეძახოდი გმირსაო,  
გაღმოვცერ ფანჯარაშია  
გული გამეხდა ქვისაო,  
ფეხში ბორკილი მიყრია,  
შუქ მენატრება მზისაო,  
დავწვები ხმელა ფიცარზე,  
ჩემი ძოლები თრთისაო.

ტიალო ჩემო ლოგინო,  
შენ ვინ გაგიშლის ძორსაო,  
სიკვდილი მოდგა კარზედა,

იძახდა დიღი ხმითაო,  
როსტია ჩობოლაურსა,  
ე მაგ ადამის შვილსაო,  
გუდამაყრისკენ ვიარე,  
ვერსად მოვკიდე კბილსაო  
ეხლა მე ისე გავიგე,  
ვგონებ ციხეში ზისაო.

ნუ მომკლავ, შავო სიკვდილო,  
თუ მაღლი გწამდეს ღვთისაო,  
არვინ მომივლის ავადმყოფს,  
არც მომწვდელი მყავს წყლისაო,  
არვინ გამითხრის საფლავსა,  
ვინ არის ჩემი ჭკვისაო,  
ან კუბოს ვინ გამიკეთებს,  
ვინ არის ჩემი მხრისაო.

ტუსალნი შემოეხვივნენ,  
სუყველა თავის ჭკვისაო.  
ჩემ ძძას ივანეს უთხარით  
ნუ გამიჯავრებს ჭვრივსაო,  
მარიამს ნუ გამიჯავრებთ,  
როსტიას ეგა სწყინსაო.  
მგონა \* დაჯდება საწყალი,

\* ქალის სახელია


სულ ჩემ ამბავსა სთვლისაო.  
სულმუდამ ცრემლი ჩამოსდის,  
როგორც რომ ნამი ცისაო.  
დამალპა ტანისამოსი,  
ბეჭებს გავარდა ძირსაო,  
კოლა ღმერთს შამიხვეწოდეს,  
მამულს ეგ მოუვლისაო,  
ე მაგ ანდრიას უთხარი,  
გიგაურავის შვილსაო,  
ჩემი გალეჭსებისათვის,  
მაღლი გწყალობდეთ ღვთისაო.



## მოვეთუ გიგის ციხი <sup>183</sup>

წოვეთში გიგის ციხეო,  
ქვამც ნუ სდებულხარ ქვაზედა.  
მოგიხდეს ჭარელთ შვილები,  
ალი გახვიეს თავზედა.  
გამაგრდი გიგის ციხეო,  
ჯაჭვი გადიცვი ტანზედა!  
გიგი ცოლს ეუბნებოდა:  
წამალი მიწყე წამზედა,  
რომ შემოგვაკლდეს ტყვიაი,  
ლილი აიჭერ ტანზედა!  
თოფი მიარტყეს გიგისა,  
მარცხენა ძუძუს თავზედა.  
გიგის სიათა წაიღეს—  
დაპკიდეს ციხის თავზედა

ხელიც მოაჭრეს გიგისა,  
დააკრეს ციხის თავზედა.  
გიგის სიათა ნუ მიგაქვთ,  
ნუ აკრავთ ქავის კარზედა,  
ჭალაზედ ნუ ვინ წაიღებთ,  
დაჩვეულია მთაზედა.  
ნადირზე ნურას ვინ დასცლით,  
დაჩვეულია მტერზედა!  
ემაგ ლექსაის მომთქომსა  
ქალს ცრემლი მამდის თვალზედა,  
გიგის ხელების ნაწვეთი,  
მაღლით ჩამომდის თავზედა.



## ଓମାବିସକୀନ ପଦ୍ମାଲିପିନାମ<sup>184</sup>

ଫଶାବିସକ୍ରେନ ଏମହାତ୍ମେବୀନ, ପ୍ରେସର  
ଲିଲିଗ୍ରୋଫି ଜାରିଆ,  
ତିନିବ୍ୟକ୍ତ ଜୀବନରୁ ମାମାଶା:—ହିନ୍ଦୁ  
ବିଷ୍ଣୁବନ୍ଦେତ ଜାରିଲେ ତାବନିଆ,  
ହାତ୍ତିଲେତ ଉତ୍ତରାତ୍ମାବନ୍ଧେ, ଅମନ୍ତରିତାନିନ୍ଦା  
ପ୍ରକାଶରିଆ!  
—ଯେହି ହାତ୍ତିଲା, ଶ୍ଵାଲିଙ୍ଗ ତିନିବ୍ୟକ୍ତ, ଅନ୍ତିମ  
ଗିଲି ମତିରିଲା ମନ୍ଦିରିଆ!  
—ମାତ୍ର କୋଶାରାଶା ହାତ୍ତିଲେତ, ପାଖିନିନ୍ଦା  
ଶୁଳ୍କ ରଦ୍ଦାଲିଆ.

—ვერ ჩახვალ ხოშარაშია, ხოშარა  
შუა ფშავია!  
სხვასაცა გაგვითერებენ ლაშარელაიხ  
ყმანია.

—მაშ მათურასა ჩავიდეთ, მოკლე  
დასჭრიან გზანია.

—ვერ ავალთ მათურაშია, არა ჰქონ  
ცხენის გზანია!

—გოგოლაურთას ხო ჩავალთ, ჩაკი-  
ბული ჰქონ გზანია.

—გოგოლაურთას ვერ ჩავალთ მა-  
ლალი არის მთანია!

კიბურს არ ჩაგვაცილებენ ლომხუზა-  
რანი ძმანია.

—მაშ ცაბაურთას ჩავიდეთ, ამოჭი-  
ტანოთ ცხვარია.

დეეცნენ ცაბაურთასა, მაშალეს ბე-  
ღელთ თავია,  
გოგოლაურთით დაექცნენ ლომხუზა-  
რელნი ძმანია,

ჯვარის წყალს ძირსა მოუსხდნენ,  
გაანახევრეს ჯარია.

არ დაანებეს ფშავლებმა, გადასავა-  
ლი მთანია,

შაუქრეს მუჭის ღელესა იმათ სავა-  
ლი გზანია,

თოვით იქ მოკლეს თინიბეკ, თინი-  
ბეკ ჯარის თავია.

სახლთ აქეთ გამოეგება მამამთილს  
თავის რძალია.

—რა უყავ, ბერო მამამთილ, თინი-  
ბეკ, ჩემი ქმარია

—გავსწირე მუჭის ღელესა წითლის  
არაყით მთვრალი!

წყლებურად მოდის ისარი, თავს მი-  
ცელავდა ხმალია!

ფშავლების შეწუხებულმა შვილდა  
ვერ იბრუენ თავია.

მოგვდევდეს ლომნუზარელნი, მაქონ-  
დის ისრებს ჩქამია

თავით კი დარჩა დროშაი, ნამტვრევი  
შუბის ტარია,


ჰბერავდა დილის ნიავი, უფრიალებდა  
ქარია.

განა იქ მარტო ის დარჩა გვერდითაც  
დარჩნენ ცხრანია!

თავს დაბრუნავდეს არწივი, ლომეუ-  
ზარელთა ძმანია.

უპოვნეს ძლეულთ ჯიბეში მამიდა-  
სია თმანია,

ზედ დაანათეს ხანჯლები, დაკაბეს,  
როგორც მხალია.




## ხოსტას ლექსი<sup>185</sup>

შატილს მოიღა ხოსტა,  
დიდგულად დაჯღა ჯარზედა.  
საით რას მოხვალ ხოსტავ,  
როგორ გაღმოხე მთაზედა?  
—კლდედაკლდე გაღმოვიარე,  
ჯინვებს გაღმოვჰყევ კვალზედა!  
შვიდნი ღავზარდე ვაჟკაცნი  
არწივის ნაბუღარზედა,  
შვიდთა ვუყიდე თოფები,  
დავჭკიდე შვითავ მხარზედა.

შვილთავ ჩაჩქები უყიდე,  
 შვილთავ დავხურე თავზედა,  
 საფშაოდ გამოისტუმრენ,  
 ახალის მუქარაზედა!  
 მთა გაქვისთ გადასავალი,  
 გზა მიღის მათურაზედა,  
 მათურის ჭალას გაივლით,  
 მარჯვნივ მიბრუნდა წყალშედა.  
 ბატარა ნოქვას აილით,  
 შახდებით მოედანზედა,  
 იქა დგა გოდერძის ციხე,  
 მიღით, შაცვივდით ბანზედა!  
 ახალს გოდერძის ციხეო,  
 ქვა ნულარამც დგა ქვაზედა,  
 საღ გასტყდი, რაღ არ გამაგრდი,  
 მტერი მოგადგა კარზედა!  
 იქით ჭალს გამოიყვანენ,  
 გიშლი უკერავ თმაზედა.  
 მაჰყავის გოდერძით ჭალი,  
 მაატირებენ გზაზედა.  
 სამშაბათ დილას შამახდეს  
 იმ საქარავნოს მთაზედა,  
 იქ დახვდათ თაღიაური,

წამოსარტყლული ტყავზედა.  
წინ გამარჯვებას მოასწრებს,  
ამბავსა ჰკითხავს ჰკუაზედა.  
— ქალი საითლა მოგყავისთ,  
რო მაატირებთ გზაზედა?  
— ე ქალ ახალით მოგვყავის,  
შატილში დავსვამთ ჯარზედა,  
ამის სამეფოც აქ არი,  
გაზრდილ ლერწამის ტანზედა.  
— თუ ეგ ქალ წაგაყვანინოთ,  
წვერიც ნუ მასხავ ყბაზედა!  
თხის ტყავან გაიყრევინა,  
თურმე ჯაჭვ ეცვა ტანზედა.  
დაჰკივლა, შამურბინა,  
ექვსთავ დასჭრა წამზედა,  
მეშვიდე დაჭრილ გაუშვა:  
— „მამას მიუდი კარზედა,  
მამას უთხრიდი ხოხობას  
შვილთ მაეგებოს გზაზედა,  
ან მოგებება რაღ უნდა,  
რიგი უყოლეს თავზედა.  
ქალი გზით გამაისტუმრა:  
— მშვიდობით დაო, გზაზედა,

ნუ იტყვი ჩემსა სახელსა,  
ფშავში რო დაგსმენ ჯარზედა!  
კიდევ რო შამოგეყრები,  
ვიყვნოდეთ დაძმობაზედა,  
ჩვენსა ფშაურსა წესზედა,  
კრთურთის დანდობაზედა!



## ტიტო აღვარდნიშვილი<sup>186</sup>

შე ვარ ტიტო მღებრიშვილი,  
ზაქარიას-ძეო,  
თუ ეს ბედი დამყვებოდა  
რათ დავიბადეო?  
დაბადებით დავიბადე,  
რათ გავიზარდეო.  
ოცდა ერთის წლის შევსრულდი,  
სალდათს წაველ მეო.  
სალდათობაც გავათავე,  
სახლში მოველ მეო;  
გული არ მიჩერდებოდა,  
რაზმიც შევკარ მეო.  
მოხელე და პრისტავები,  
არ მოვასვენეო,  
უსამართლობა, ძმებოჯან,  
ვერ მოვითმინეო.

მამასახლისი ხეთაგა

გადავიკიდეო,  
კირბალზე ჩამოვიარე  
ხეთაგა ვნახეო,  
მითხრა: ტიტო, გამარჯობა,  
ზაქარიას-ძეო!

ვატყობლი, რომ უცქეროდა  
ტიტოს ცუდ თვალზეო.  
მეც უთხარი: გაგიმარჯოს!  
კარგი მამის-ძეო.

ხეთაგა, ვერ შეგეყარე  
კარგ გუნებაზეო,  
თორემ ქეიფს ნაჩვევი ხარ,  
ვალი მმართებს მეო.

ხეთაგა მეუბნებოდა:  
მაგ შენი ქეიფიანად  
შორს დამეკარგეო.

ამ სიტყვების გაგონება  
ძიელ ვიწყინეო.

ვთქვი, კარგი საქმე არ არი  
თითზე ვიკბინეო.

მაშ ბიჭი ტიტო არ იყვეს,  
ვერ მოგაგონეო.

ის კირბალის თავქვეები  
ჩამოვაჭენეო,  
ჰემი, რაზმელი ბიჭები  
თანაც ვიახლეო.

უთხარ, ბიჭებო, ვიფიქრე  
ლა მოვიფიქრეო,  
ან სეთაგა უნდა მოკვდეს,  
ას მოვკვდები მეო.  
რღღომა დღე თენდებოდა,  
ლა მოვისაზრეო  
ბიჭებო, ღვინო დავლიოთ,  
ღჭვენი ჭირიმეო.  
ჩემი ნათჭვამი ასრულდა,  
და დავიძინეო.

ღილა აღრიან ავდეჭი,  
ღმერთი ვახსენეო  
ამ ღროს ეზოდან ძალლისა  
სმა გავიგონეო.


ვთჭვი, რას წავწკავებს ვერანი,  
კარი გავაღეო.

ნერა არ გამთენებოდა,  
ამებო ის ღამეო,  
ძაღლი თოვლზე სისხლში ეგდო,

ისლა ვიხილეო.

ხეთაგას თოფის გრიალზე  
გულს ტყვია ვიგრძნეო.  
რა უდროოდ, მამაძალლო,  
დღე გამიმწარეო.

თუ გულს სიკვდილი ჩაგედო  
რათ არ გავიგეო,  
გუშინდელ ჩემი შეხვედრა,  
რათ გავაცდინეო.  
ძმებოჯან, შემიბრალევით,  
ზაქარიას-ძეო,  
უნიშნაწყლოდ წამივიდა  
მე სიცოცხლის დღეო.  
ანდერძი მომისმინევით,  
რასაც გეტყვით მეო  
ჩემი ქამარ და ხანჯალი  
თან ჩამაყოლეთო,  
საფლავის ქვაზე ამბავი  
ლექსად დასწერეთო.



## ცოდო არის ციმბირს შასვლა<sup>187</sup>

ცოდო არის ციმბირს წასვლა,  
ჩემდროული ყმაწვილისა,  
მცხეთას მაჭმევენ საღილსა,  
ვლადიკავკავს ჩაივლისა.

გუდაური რო გაღაველ,  
დავაჩხრიალე ბორკილი,  
შშვიდობით, ცოლო და შვილო,  
ნულარ გაქვთ ჩემი ლოდინი.

ვლადიკავკავს რომ გაღაველ,  
სმატრიტელიც იცინისა,  
პური ღვთის მოყვანილია,  
ფიქრი ნუ გაქვს შიმშილისა.



## ცის ქუხილივით გაისძა<sup>188</sup>

ცის ქუხილივით გაისძა  
პირიქით დაჭრა გმირისა!  
სუყველა ემას ჩიოდა:  
გვეხსნება რკინის კარია!  
მძიმეთ აშბობენ დაჭრილსა  
გარასა დარცალისია!  
ვეღარ შველიან ეჭიმებ,  
სხედან, ჩუმათა სტირიან.  
ვეღარც შველიან მკითხავნი,  
ვეღრება იმათ პირისა.  
— მიზეზს რას ეძებთ სხვადასხვას,  
დღეს წერა იყო იმისა!  
— აფსუს, რა ვაჟკაც გვიკვდება!  
სუყველა იმას ჩივისა.

ცრემლებს აწვიმდენ ძალზედა;  
ტურთა ცისკარნი დილისნი,  
თან კუბოს უმზაღებდიან,  
კლდის ანათალი სიპისა!

— კარგი კუბო უნდა გარასა,  
არ ჩაუვიდეს წყალია!

ცოდვაი მიწამ შაჭამოს  
იმის ლერწამი ტანია!

მტრის ჯავრს არა სჭამს ვაუკაცი,  
არ გააგონებს კვნესასა.

მამას ამკაცრებს ღარცალის,  
გული წასვლიყო დედასა,  
უშლიდა შვილი მოხუცთა  
ტირილს, არ აძლევს ნებასა!

გარაის დისა ტირილი,  
სანთლად ენთებოდ ზეცასა,

აელოთ მთელი მთა-ბარი;

თამარის მოთქმა კვნესასა!

კოწლებ ღაიჭრა გიშლისა,  
სამათ ნაჭაპნი თმანია.

— მეც ძმასთან გამაყოლიდით,  
აქ ნუ ღამაგდებო ბეჩავსა!

ცოლის გულსაც ხვდა ლახვარი,

თუმც ტირილს ვერა ბედავსა;  
ჩუმად იტირებს ბეჩავი,  
როცა არავინ ხედავდა.

ხალხთ ჩვეულება დიღია..

ჰლგავს დევსა რკინის მკვნეტავსა!

სიკვდილსაც არა ღნებდებოდ,

კერპობა ჰქონდა წესადა!

უნდა ხმალი სცას მტარვალსა,

თუ სად მოუა ხელადა.

უჩინარია, ვის ებრძვის,

სული ამოდის ყელადა!

დედმამას ანდერძს უწირავს:

— შანშეს მიეცით ხმალია,

სხვის ხელში ნუამც მეგულებ,

სხვა ღირსი არვინ არია!

ხანჯარი თუნჯაიშვილსა,

ის კარგი მეომარია!

ფარი და ჯაჭვი ლეგასა,

ჯერ ომში შაუვალია!

ჩემ ცხენი ძმობილს მიეცით,


ხელ იმან უსვას გავასა!

ალალიც არის იმათზე,

ნურც თქვენ დაუწყებთ დავასა!

ესა სთქვა, გაქრა, როგორცა  
შანდალში ნაწვი სამთლისა!  
სახლში სულისა დალევა  
წესი არ არის ძველითა,  
დერეფანში წევს გარაი,  
თვალ დახუჭული მკვდარია.  
თავით დაუდევს ხანჯარი,  
ხმალ შეუალი რვალია!  
გვერდით დაუწყვეს იმასა  
თოფი, ფარი და ხმალია!  
ფეხით უდგია ლურჯაი,  
ორთ უპყრავ ლაგმის ტარია.  
ტოტს უცემს, ელის პატრონსა,  
დაუგვიანდა მგზავრია!  
რაღ არ ადგება გარაი,  
რაღ არ შეჯდება ჰედაო?!  
ის ხომ სახლს ვერა გასძლებსა,  
ღამე იაროს ბნელია.  
თუ მტრის ხმა არსაღ ეგულებ  
არდოტს იბარებს ქალია,  
ღამე ბნელ უჯობს გარასა,  
ვაჟკაცი გულიანია!  
ვენაცვალ იმის ბიჭობას,

ჭირიმე იმის გამზღვისა,  
რომ არ წაილო საფლავში,  
ლაფუით მოსვრილი პირია.  
პირნათლად წავა შავეთსა,  
საც იმის წინაპარია!



## გადუა ხეთეშაური 189

გადუა ხეთეშაური,  
ხევსურთ კას ეუბნებისა,  
ხმლებს ნუ დაიხსნით ხევსურნო,  
ზურაბ არ დაინდობისა,  
ალუდი ალექსაური,  
ზურაბ, რა რიგად მოგექცა?  
პირის მეღვინე მოგიკლა,  
თვითონ ცოცხალი გაგექცა.  
ღმერთსამც კი გაღმარჯვებიყო,  
ხმალ-დაშნას შენთვის მეეკრა.



## ქველი პშხავი<sup>190</sup>

ნუმც იხდის წევსურთ შვილები,  
ნახაღსა ბაღაისასა,  
სამჯერ გაყიდეს ბაღაი,  
ფასს ვერ იღებენ ტყვისასა.  
მეოთხედ დაღისტანშია,  
სულს აბნევს კახეთისასა,  
არ ღაღვა, გამოიპარა,  
მაღლსა ახსენებს ღვთისასა.  
წყურვილის შაწუხებული,  
ნამსა ლოკს ბალაზისასა,  
შიმშილის შაწუხებული,  
ჭუჩისა სძოვს მაღალ მთისასა.  
წინაც კაც შამაეყრება,  
სულს აბნევს ბუსურბნისასა,


დასვა და პური აჭმია,  
დანდობას დახე მტრისასა!  
მეორე გზა ჩამასწავლა,  
ჩასავლეთს ჩაჰყევ მზისასა.  
დღე არია თუ ღამე  
კაცო, მასწავლე ღვთის მაღლსა!  
გურჯო, ღღეც არის, მზეც არის,  
ძალს უქნავ შიმშილისასა.



## ბერიძის ცოლი<sup>191</sup>

საღაური ხარ დედილამ,  
საით მიგიდის ცხვარია  
ხოშარელი ვარ, შვილოჯან,  
ბერიძე მყვანდა ქმარია.  
შვილი გავზარდე წიწილი  
შვილივე ლომის დარია.  
დაგვეცნენ მთაში ყაჩალნი,  
იმათ შეაკლეს თავია.  
შვილივ ერთ დღეს დამიხოცეს,  
მამაც იმათთან მკვტარია,

შარტომ დავთხარე საფლავი,  
შარტომ დავმარჩე მკვდარია.  
შარტო ღა დავრჩით ქალები,  
ყველას გულები მკვდარია,  
სულ დაგვიხოცეს კაცები,  
არცერთი აღარ არია.



## დევები შაიყრებიან <sup>192</sup>

დევები შაიყრებიან,  
საცა რომ მსიღანია:  
ცხრანი ძმანია დევები,  
მეათე მამა ტანია.  
დევებმა ბალე გააბეს,  
სულ შაკრეს ფშავის წყალია.  
დაგუბებულა არაგვი  
შუაფხოსთან შამამღვარია.  
შაყრილა ღვთისა შვილები  
სამას სამოცდა ცხრანია.  
იმათ საგმირო ჩამოდგეს  
კვირე უჭირე თვალია,  
ყველამ ასწივა საგმიროს,  
ვერ გაუტარეს ქარია.  
ბოლოში იჯდა წამოდგა,  
ხატი ეგ იალსარია.

პირსჯვარი გადაიწერა,  
უფალო, მომეც ძალია.  
მივიღა ეხლა, ასწივა,  
ძირს გაუტარა ქარია.  
ღახტიან მათრახიანი  
ჩაგზავნეს იაღსარია.

დევს მოუქნივა საგმირო,  
კლდეს მიუფარა თავია.  
ცხრა დევებს დასჭრა თავები,  
მალ აქნევინა კარია.  
მეათე გამოქცევია,  
ისიც დაჭრილი არია.

მთა და მთა გამოქცევია,  
გამოყვა იაღსარია.

იმ დევსაც კარგად სცოდნიუო  
ბუდელაურის ტბანია.


შიგ დევი გადარეულა,  
გადაყვა იაღსარია.

იქაც დევები ყოფილა,  
დალივა შვიდი კვამია.

ჩახთა და ვეღარ ამოხთა,  
სისხლით გაიბა ტბანია.

— მიყიდეთ ძვირის ფასითა

ოთხ რქა, ოთხ ყურა ცხვარია!  
მივიღენ, იმით დანათლეს,  
მერმედ დაიხსნა ტბანია.  
შამოჯდა ბროლის ქვაზედა,  
შამაიბლერტყა მხარნია..



## ხალხური 193

### 1. ფანასკერტელი \*

ფანასკერტელო, ჯიუტო, მტერთაგან  
მოუქცეველო,  
ხორასანს რაზე გამგზავნე, შე ოჯახ  
დასაქცეველო?!

### 2. ვალადემური \*\*

ჩვენი გმირი წამობრძანდა,  
თან წამოჰყვა დიდი ჯარი,

---

\* ფანასკერტელი — ციციშვილი.

\*\* ლექსში მოყოლილი ამბავი ძოხდა 1725 წელს  
როცა გარეშე მტრებმა დაიპყრეს ქართლ-კახეთი თბი-  
ლისითურთ. დაბარუცხებულებმა სცადეს შებრძოლება  
ს. ზედაველაზე (ატენის ხ.), მაგრამ სასტიკად დამარც-  
ხდენ. ლექსში მოთხრობილია გმირობა გიორგი საკა-  
ძის (არა დიდმოურავის) და მისი შვილის ვალადემუ-  
რისა.

ატენის ბოლოს მოვიდნენ,  
ატენური ღვინით მოვრალი.  
გორიჯვარში ჩამობრძანდნენ,  
არ ილოცეს გორის ჯვარი,  
ზედაველაზე შეიბნენ:  
იმათი და ჩვენი ჯარი.  
შესვლაზე მოკლეს სამოცი,  
აადინეს სისხლის ღვარი,  
ამ მამაძალლმა გიორგიმ,  
რაზე ამოიგდო გვარი?  
ან შვილმა, ანუ მამამა,  
რაზე დაიხოცეს თავი?  
ვალადემურმა ცხრა მოკლა,  
ბოლოს მასაც მოსჭრეს თავი;  
დედას კაცი მოუვიდა,  
ვალადემურ მოგვაქვს მკვდარი...  
ვაი, შვილო, ვალადემურ,  
ვინ შენა და შენი ხმალი.  
შვილო, ქორწილს გიპირებდი,  
უნდა მამეყვანა რძალი.  
ტახტი შევკარ ჩილალრდნისა,  
ოქრომკერდით მოქარებული,  
ზედ ბატონი რძალი დავსვი,

იალქანით შეკაზმული,  
ზილიხანშა გაიგონა,  
გაიშალა გიშრის თმანი,  
ანახანუმ გაიგონა,  
თავს დაისხა ქალის ჯარი.



## თორმლვაის ქალი 194

შენ მამაჩემო თორმლვაო,  
ნუმც შაგიბამის ხმალიო.  
ნუმც გიხოცავის დუშმანი,  
ნუმც გიზიღნავის ხელიო!  
ვაჟებ შამიკრეს, ძალლებმა,  
იწრო წისკვილის კარიო.  
მავლინეს ფეხშიშველასა,  
თვირთვილიანი მთანიო.  
ქავთრის მთის გაღასაესა,  
უკუღმ მაბრუნეს ქარიო.  
ჩავნაყე საყურ-ბეჭედი,  
მაგით ჩავლიშნენ გზანიო.  
გამოგვიღგების მღევარნი,  
აგებ მოხელან ქვალიო...

ჩემა საქმარეშ ხიწვამა  
მაღლა შაიბის ხშალიო!..  
ოხშამზე გამოუჩინდენ  
ხუთნ სიძე-ცოლისძმანიო.  
გამოიტანონ ქვაბ-განძი,  
ცეცხლ დააღვარონ წყალიო.  
სახსარს კი ნუ ღონდებიან, -  
სათუშო აღარ ვარიო:  
რჯულიანთ ხელულრისები,  
ურჯულოთ ნებას ვარიო!“..  
ოხშამზე გადაუჩინდნენ  
ხუთნ სიძე-ცოლისძმანიო.  
გაწყვიტნეს ბევრგან ჯალაფნი,  
ცეცხლ დააღვარეს წყალიო.  
გამაიტანეს ქვაბ-განძი,  
გამაიჯარეს კარიო,  
გამაიყვანეს მონანი,  
ნახნა თუშეთის მთანიო.

---

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### I. შოთა ხალხურ შემოქმედებაში

1. ნათქვამია გ. ქაბუშანაურისაგან, ჩაწერა ბ. ჭე-  
იშვილმა.
2. აღექსი ბურდულისა, ჩაწერა იღო ბეჟანიშვილმა.
3. ლექსი ხალხური პოეტის ისაკო მირიანაშვილისა  
(იხ. „საუნჯის“ I ტომი).
4. ჩაწერა გ. ლომთათიძემ ს. ლიკოქში.

### II. სოციალისტური საქართველო

5. პარმენ კიკნაველიძისა. ჩაწერა კიკნაველეთში  
გ. აბრამიშვილმა.
6. ისაკო მირიანაშვილისა.
7. გიორგი გულაშვილისა. ჩაწერა დუშეთში პ. ყარ-  
მალანაშვილმა.
8. ს. ყვარელი სანდრო ახალკაცისა, ჩაწერა პ. ხუ-  
ბუამ
9. თათარა ჭინჭარაულისა.
10. ისაკო მირიანაშვილისა.
11. ს. თელიაშვილისა (გომი).
12. ს. წყნეთში ჩაწერა დ. ელიზბარაშვილმა.

13. ნათქვამი ოზარელი შოსე ქურხულიშვილისა, ჩაწერა ილიკო ქურხულმა.
14. ი. გრიგოლაშვილისა, ჩაწერა ხევში ირ. ხაჩიძემ.
15. გიორგი ქავთარაძის ნათქვამი. ჩაწერა ს. ხორხში ირ. ხუცურაულმა.
16. ისაკო მირიანაშვილისა.
17. ა. გიორგაძისა. ჩაწერა ფშავში ვ. ხორნაულმა.
18. მცირეჭლოვანის ფშავლის ფ. რაზიკაშვილისა — ჩაწერა ვ. კობახიძემ,
19. ჩაწერა ა. წყარუაშვილმა ნაოსარში.
20. ისაკო მირიანაშვილისა.
21. ჩაწერილია ირ. ქორქიას მიერ.
22. ჩაწერა ეპ. ძიგუამ.
23. ჩაწერა ვ. გულაშვილმა (დუშეთი).
24. ის. მირიანაშვილისა.
25. ჩაწერა ქვედაქედში გ. ხუმარაშვილმა.
26. ხევსურის თათარა ჭინჭარაულისა. ჩაწერა ი. ხორნაულმა.
27. იმავე თათარა ჭინჭარაულისა.

### III. სატრიუიალო — საყოფაცხოვრებო

28. ვასო აფციაურისა.
29. ს. ჩიტაძის ნათქვამი. ჩაწერა ს. ზვარეში ლ. ჩასვაძემ.
30. ჩაწერა ფშავში ვ. ხორნაულმა.
31. ჩაწერა ვ. ბუთლიაშვილმა.
32. ჩაწერა ს. დილომში ვ. სონღულაშვილმა.
33. ჩაწერა ესტ. შიშნიაშვილმა კახეთს.

34. ესტ. შიშნიაშვილის ჩაწერილი.  
 35. ჩაწერა დ. ლურსმანიშვილმა.  
 36. ნათქვამია ნ. ჭეიშვილისა (გურია). ჩაწერა ა. ჩხენ-  
     კელმა.  
 37. ჩაწერა ფშავში ვ. ხორნაულმა.  
 38. ჩაწერა ითიურიძის თქმით ზემოალგანში ვ. ბუთ-  
     ლიაშვილმა.  
 39. ჩაწერა ს. საგარეჯოში გ. იასეშვილმა.  
 40. ჩაწერა ს. გერგიშვილმა.  
 41. ჩაწერა ფშავში ვ. ხორნაულმა.  
 42. ნათქვამი საბათვიურისა, ჩაწერა ვ. ბუთლია-  
     შვილმა.  
 43. ჩაწერა კახეთს ე. შიშნიაშვილმა.  
 44. ჩაწერა გურიაში ა. ჩხენკელმა.  
 45. ჩაწერილია გედ. გელოვანის მიერ.  
 46. ჩაწერილია პოეტ გ. ლეონიძის მიერ.  
 47. ჩაწერა გ. ლომთათიძემ.  
 48. ჩაწერა გ. ლომთათიძემ.  
 49. ნათქვამი ს. არხოტში გ. ჯაბუშანაურისა, ჩაწე-  
     რეს ი. ჭეიშვილმა და კ. ფირცხალავამ.  
 50. ნათქვამი ს. ოზაანში მ. ქურხულიშვილისაგნ, ჩა-  
     წერა ი. ოზაანში.  
 51. ნათქვამი დ. სიხარულიძისა, ჩაწერა კ. ზამბა-  
     ხიძემ.  
 52. ნათქვამი იაკ. ნასარიძისა (ჭიათურა).  
 53. შიო ბურდულისა, ჩაწერა ი. ყესაშვილმა.  
 54. ჩაწერა ს. ქვიანში ი. მათითაიშვილმა.

55. ნათქვამი ნ. ბადრიაშვილისა, ჩაწერა გ. ბადრია-შვილმა.
56. ჩაწერა ს. თურმანაულმა.
57. ჩაწერა ფშავში გ. ავეტიკოვმა.
58. ჩაწერა ი. მირიანაშვილმა.
59. ჩაწერა ვ. ჩოხელის ს. ჩიროთში.
60. ჩაწერა გ. ხიმშიაშვილმა კახეთს.
61. ჩაწერა ჩ. თვალიაშვილმა ს. ხანდაკში (ქართლი).
62. ჩაწერა ი. ეჭვთიმიშვილის თქმით პოეტმა ი. მჭედლიშვილმა.
63. ნათქვამი ქუთაისში უსინათლო მოშაირის ილია ყუფარაძის მიერ. ჩაწერა პოეტმა მარიჯანმა.
64. ნათქვამი საბა მაისურაძისა. ჩაწერა ვ. ბუთლია-შვილმა.
65. ჩაწერა ფშავში ვ. წორნაულმა.
66. ნათქვამი ს. კობახიძისა, ჩაწერა ა. წყარუაშვილმა.
67. ჩაწერა ს. გურჯაანში ვ. გეთიაშვილმა.
- 68, 69, 70, 71, 72 — ჩაწერა ვ. ბუთლიაშვილმა.
73. ჩაწერა რ. ელანიძემ.
74. ჩაწერა რ. ელანიძემ.
75. ჩაწერა ს. დილომში ვ. სონღულაშვილმა.
76. ნათქვამი დაბალი მელქო ზურაბოვისა, ჩაწერა ტფილისში სურენ ოვჩიანმა.
77. ჩაწერა რაჭაში შ. ძიძიგურმა.
78. ჩაწერა ვ. ბუთლიაშვილმა.
79. ასლან სურდაყულოვი ცნობილი მეთარე — მომღერალი და მოშაირე იყო (იხ. „ივერია“ 1904 წ.).

№ 124). მისი ლექსები ცოტა დარჩენილა წალე  
ში, ეს ორი სიმღერა გადმოგვცა პოეტმა ი. გრი-  
შაშვილმა.

80. ჩაწერა მ. ფოცხვერაშვილმა კახეთს.
81. ჩაწერილია ალ. უგონურაშვილისაგან.
82. ჩაწერილი ალ. ყაზბეგის მიერ.
83. ჩაწერა ანაგაში ი. მირიანაშვილმა.
- 84, 85. ჩაწერა ვ. ხორნაულმა.
86. ნათქვამი გიორგი ბუშანურისაგან, ჩაწერა ი. ჭე-  
შვილმა.
87. ჩაწერა ს. ხომში ა. უგონურაშვილმა.
88. ჩაწერა ვ. ლომთათიძემ ს. ლიქოვში.
89. ჩაწერა ს. დილომში ვ. სონდულაშვილმა.
90. ჩაწერა ზემო ალვანში ვ. ბუთლიაშვილმა.
91. ჩაწერა ვ. ხორნაულმა.
92. ჩაწერა ს. საგარეჯოში ვ. იასეშვილმა ლაზ. მა-  
თიაშვილის თქმით.
93. ნათქვამი გ. ბერიაშვილისა, ჩაწერა ქიზიყს ს. გერ-  
გიშვილმა.
94. ნათქვამი იაკოფ ნასარიძისა.
95. იაკოფ ნასარიძისა.

#### IV. იმპერიალისტური ოში და სალდათობა

96. ჩაწერა მთიულეთში შ. ძიძიგურმა.
97. ჩაწერა ლაგოდეხს გ. ნოჩაძემ.
- 98, 99 ჩაწერა გ. ჩიქოვანმა.
100. ჩაწერა ვ. ქადაგიშვილმა.

101. ჩაწერა ფშავში ნ. ჭკერვალიძემ.  
 102. ჩაწერა გ. კალანდაძემ.  
 103. ჩაწერა აბაშაში ივ. ბუხაიძემ.  
 104. ჩაწერა ა. თომაძემ.  
 105. ჩაწერა ს. გურჯაანში გ. ირემაშვილმა.  
 106. ჩაწერა ყვარელში ი. გიგაურმა.  
 107. ჩაწერილია კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის  
     მიერ.  
 108. ჩაწერა ს. სვირში დ. გეჭაძემ.  
 109. ჩაწერა ი. ბურდულმა.  
 110, 111. ჩაწერა ხევსურეთში კვ. ფირცხალაიშვილმა  
 112, 113, ჩაწერა ვ. ხორნაულმა.  
 114. ვ. კობახიძის ნათქვამი.  
 115. ჩაწერილია რაჭაში. მოგვაწოდა პოეტმა კ. ჭი-  
     ჭინაძემ.  
 116. ჩაწერა ვ. ხორნაულმა.  
 117. ჩაწერა თიანეთში ვ. მაჩურიშვილმა.  
 118. ჩაწერა შ. ჩიქოვანმა.

#### V. კლასთა ბრძოლა

119. ჩაწერა არ. ქოიავამ.  
 120. ჩაწერა ფშავში შავი გიორგას თქმით ვ. ხორნა-  
     ულმა.  
 121. ჩაწერა ვ. ბუთლიაშვილმა.  
 122. ა. ბაკურიძის ნაამბობი, ჩაწერა რ. ელანიძემ.  
 123, 124, 125 — ამოღებულია დ. ჯანელიძის კრებუ-  
     ლიდან.

126. ჩაწერა რაჭაში ი. კობახიძემ.  
 127, 153. მოგვაწოდა კრებულიდან დ. ჯანელიძემ.  
 154. ჩაწერა მ. ცაკაშვილმა.  
 155. ჩაწერა გვ. ფირცხალავამ.  
 156. ჩაწერა მ. ცაკაშვილმა 75 წლის ფ. ბელადიშვილის მიერ.  
 157. ჩაწერა მ. ცაკაშვილმა.  
 158 ჩაწერა ივ. ტერ-სტეფანოვმა დარია ტერმინასო-  
     გის თქმით.  
 159. ამოღებულია ე. გაბლიანის წიგნიდან „ძველი და  
     ახალი სვანეთი“.  
 160, 161 — მოგვაწოდა დ. ჯანელიძემ.  
 162. ჩაწერა ალ. ნათიბაშვილმა.  
 163. ჩაწერა ალ. კოპალეიშვილმა ლიბანში.  
 164. ჩაწერა გ. ბუთლიაშვილმა.  
 165. ჩაწერა ჭიათურაში 105 წლ. ეფროსინე აბაშიძის  
     თქმით გრ. მაჭავარიანმა.  
 166. ნათქვამი ლუდუშაურისა, ჩაწერა ი. ხართიშვილმა  
 167. ჩაწერა ვ. უგონურაშვილმა.  
 168. ჩაწერა კახეთს ა. ბეგიაშვილმა.  
 169. ჩაწერა პოეტა ი. მჭედლიშვილმა.  
 170. ჩაწერა დუშეთში ვ. თევდორაძემ.  
 171. ჩაწერა მცხეთაში მ. რუხაძემ.  
 172. ჩაწერა მთაში გ. ნადიბაძემ.  
 173. ჩაწერა ს. უზუნდარაში კ. ბეჟუაშვილმა.  
 174. ჩაწერა კ. ბეჟუაშვილმა.  
 175. ჩაწერა კ. ბეჟუაშვილმა.  
 176. ჩაწერა ი. მოისწრაფეშვილმა.

177. ჩაწერა ა. რამიშვილმა.
178. ჩაწერა შ. მჭედლიშვილმა.
179. ჩაწერა ა. წყარუაშვილმა.
180. ჩაწერა ფშავში ალ. არაბულმა.
181. ჩაწერა კვ. ფირცხალავამ.
182. ჩაწერა ზ. ბოსტოლანაშვილმა.
183. ჩაწერა ვ. ბუთლიაშვილმა.
184. ჩაწერა ვ. არუთინოვმა ხევსურეთში.
185. ჩაწერა ვ. ხორნაულმა.
186. ჩაწერილია ს. მეჯვრისხევში.
187. ჩაწერა პოეტმა გ. ლეონიძემ მოშაირე მიხა ურთა-  
შვილის თქმით.
188. ჩაწერილია ი. ითიურიძის თქმით.
189. ჩაწერა ხევსურეთში ვ. ბუთლიაშვილმა.
190. ჩაწერილია გომბორს გ. წურაბიშვილის თქმით.
191. ჩაწერილია ავლანში, წარმოადგენს „ბახტრიონის“  
ერთი ადგილის ხალხურ ვარიანტს.
192. ჩაწერა ს. მაღრანში ი. სიმონიშვილმა ლიდება ჩო-  
ხელის თქმით.
193. ჩაწერა ს. გოროვანს პოეტმა გ. ლეონიძემ.
194. ჩაწერა გ. ლომთათიძემ ს. ლიქოჭიში შ. სისაფრის  
თქმით.

პარტგამომცემლობის I-ლი სტამბა, ლენინის ქ. № 3.

შეკ. № 510. მთავლიტი № 7.003. ტარაჟი 10.000.

